პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. ...) ქ. № 68, მეო[illegible]ართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—36
) მდივნის 16—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- შვეიცარიის კომპარტიის ცეკას მოწოდება.
- ვან-ჩენ-ტინი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
- ახლო ხანში განახლდება ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკება.
- მაროკოში გრძელდება სამხედრო მოქმედება არაბთა ტომების წინააღმდეგ.
- კომუნისტ დეპუტატების დევნა ჩეხო-სლოვაკიაში.
- დაიხურა კანადის კომპარტიის ყრილობა.—ყრილობამ საზეიმო მოიწონა კომინტერნის აღმასკომის წერილი.
- ამხ. მიქოიანის სიტყვა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სესიაზე.

კვირა, 23 ივნისი 1929 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 142 (2488)

25 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში
(ყორესის ქუჩა)

მოწვეულია

თბილისის მე-X პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და სოფლად მუშაობა (ამხ. ლ. ლოლობერიძის მოხსენება)
2) კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (ამხ. კანდელაკის მოხსენება)
3) დელეგატების არჩევა პარტიის მე-6 სრულიად საქართველოს ყრილობისთვის.

კონფერენციის დელეგატები ბილეთებს მიიღებენ რაიკომებში 22 ივნისიდან.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომ. პრეზიდიუმი.

სამშაბათს, ივნისის 25-ს, მთავრობის სასახლეში

შესდგება

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სხდომა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

საქ. სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭ. საქმ. მმართველი პრ. მეგრელიშვილი

პარტიის წმენდის პრაქტიკული საკითხები

საბჭოთა აპარატის წმენდის დრო ახლოვდება, სამზადისი კი ამ უაღრესი მნიშვნელობის მორიგი ამოცანის ჩასატარებლად ჯერ კიდევ თითქმის არც დაწყებულა. ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები და მათთან ერთად აპარატის მუშაკთა მასა არ იცნობს, როგორც ეს საჭიროა, წმენდის ჩატარების პრაქტიკულ საკითხებს. ამ ნაკლის გამოსწორება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ აპარატის შემოწმების საქმე წარმატებით იქნას განხორციელებული.

საბჭოთა აპარატის წმენდის მიზანია ჩვენი მართვა-გამგეობის ორგანოების მუშაკთა შემადგენლობის გაცხრილვა: ყველა გახრწნილ, პოლიტიკურად მავნე და საქმისათვის გამოუსადეგარ ელემენტებისაგან, წმენდის მიზანია დაუნდობლად გაძევება ჩვენი დაწესებულებების კედლებიდან იმ პირებისა, რომელნიც ამახინჯებენ საბჭოთა კანონებს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დახმარებას უწევენ ქალაქისა და სოფლის სხვადასხვა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტებს, ხელს უშლიან აპარატის გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარებას, პირადი ანგარებისათვის იყენებენ თავის თანამდებობრივ მდგომარეობას და სხვ. ყველა ასეთი კატეგორიის მუშაკი, რა სოციალური მდგომარეობისაც არ უნდა იყვეს ის, უნდა განიდევნოს საბჭოთა აპარატიდან. ამასთანავე აპარატის შემოწმების დროს მეტი მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ პარტიის წევრ მუშაკებს. უნდა გამოირკვეს, რამდენად ამართლებენ ისინი ყოველი კომუნისტი — საბჭოთა მუშაკის მოვალეობას, რამდენად მტკიცედ ატარებენ პარტიის დირექტივებს, იჩენენ თუ არა საჭირო ბეჯითობას დაწესებულების საქმიანობაში და სხვ.

მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს წმენდას, ეს არის საქმის ინტერესი. არა აპარატი მუშაკებისათვის, არამედ მუშაკები აპარატისათვის. ამიტომ შემოწმების დროს არ უნდა ვიხელმძღვანელოთ მარტო იმით, რომ ესა თუ ის პირი უცხო სოციალური წრიდან არის გამოსული, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მივსცეთ იმას, თუ რამდენად სასარგებლოა საქმისათვის შესამოწმებელი მუშაკი, რამდენად ენერგიულად და კეთილსინდისიერად ასრულებს ის დაკისრებულ მოვალეობას. ამასთანავე მეტი სიფრთხილეა საჭირო კვალიფიციურ მუშაკთა და ხელმძღვანელ პერსონალის შემოწმების დროს. პარტია დიდათ აფასებს საქმის მცოდნე პირთ, ყველა სპეციალური ცოდნით აღჭურვილ მუშაკებს, რომელთაც სარგებლობა მოაქვთ საქმისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანდობილ უნდა იქნან ეგრედ წოდებული ცრუ სპეციალისტები. მაღალ კვალიფიციურ მუშაკების დიდ სიმცირის პირობებში ცრუ სპეციალისტობა საკმაოდ გავრცელებულ სენს წარმოადგენს. წმენდის დროს უნდა გამომჟღავნებულ იქნან ასეთი ელემენტები და თავიანთი ადგილი უნდა მიეჩინოს მათ.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი გარემოება: ჩვენს სინამდვილეში, სადაც დაწესებულებათა მუშაობას ადგილობრივ მოსახლეობის ენაზე უაღრესი მნიშვნელობა აქვს, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს წმენდის ჩატარებას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მცირე ეროვნებებით დასახლებულ რაიონებში. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რათა წმენდამ არ იქონიოს უარყოფითი გავლენა ჩვენს ნაციონალურ პოლიტიკაზე. ამიტომ მიზნად უნდა დავისახოთ, რომ ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში გაწმენდილები შესცვალონ ადგილობრივ ძირითად მოსახლეობის მშრომელ ელემენტებმა.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა აპარატში ადგილი არ უნდა ექნეს ყოფილ პოლიციელებს, ყოფილ კაპიტალისტებს და რელიგიური კულტის მსახურთ, მაგრამ იმისათვის, რათა აქ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ის პირნი, რომელნიც წინად ეწეოდნენ საეკლესიო სამსახურს, ხოლო ამჟამად პატიოსან შრომას მისდევენ, არ უნდა იქნან მოქცეულნი ზემოხსენებულ ანტისაბჭოთა ელემენტების რიგებში.

საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ აპარატის წმენდა პირველ რიგში შეეხოს იმ დაწესებულებებს, რომელთაც მეტი უშუალო კავშირი აქვთ ქალაქისა და სოფლის ფართო მშრომელ მასებთან. ასეთები კი არის, მაგალითად, მიწადმოქმედების და იუსტიციის ორგანოები, ფინანსთა და შრომის კომისარიატის აპარატი, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი, მილიცია და სხვ. ეს თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ წმენდა არ იქნას გაგებული ისე, თითქოს მიზნად არის დასახული საბჭოთა აპარატის ყველა დარგის ამთავითვე შემოწმება. ეს საჭიროა ვიცოდეთ იმისათვისაც, რომ ადგილი არ დაურჩეს რაიმე გაურკვევლობას, წინასწარ უმიზნო მზადებას, დროისა და ენერგიის უსარგებლოდ დაკარგვას.

საბჭოთა აპარატის შემოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს მიზანს, თუ ჩვენ შევსძლებთ გაწმენდილ ელემენტების საბოლოოდ განდევნას ჩვენი დაწესებულებებიდან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ „კარებიდან გაძევებულნი, — სარკმელში არ შემოძვრნენ". არის მთელი რიგი იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ ერთი დაწესებულებიდან დათხოვნილი აშკარა ბოროტმოქმედნი, საბჭ. აპარატისათვის შეუფერებელი ელემენტები თავშესაფარს პოულობენ მეორე ადგილას. უფრო მეტი, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აღმატებასაც კი ღებულობენ. ასეთ ყოვლად უმზგავსო შემთხვევებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ამ სენის აღმოსაფხვრელად გარდა გადამწყვეტი ადმინისტრაციულ და მორალურ ზეგავლენის ზომებისა უნდა მივმართოთ სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვან ღონისძიებებს. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს ახალი კადრების წამოყენება საბჭოთა აპარატში სამუშაოდ. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშების, მოჯამაგირეებისა და ღარიბ-ღატაკ გლეხების დაწინაურების გაძლიერებას, ამასთანავე უფრო მასიურად უნდა იქნან ჩაბმული სახელმწიფო აპარატში ახალგაზრდა სპეციალისტები და საბჭოთა სკოლებში კურსდამთავრებულნი.

აპარატის წმენდის წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასის აქტიურ მონაწილეობას ამ საქმეში. იმისათვის, რომ ეს აქტიობა ფართოდ გაიშალოს, საჭიროა სათანადო ახსნა-განმარტების ჩატარება მუშა-მოსამსახურეთა შორის, საჭიროა ამხანაგური განწყობილების შექმნა დაწესებულების მუშაკებში. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ თვითეულ შესამოწმებელ პირს სრული შესაძლებლობა მიეცემა თავის გასამართლებლათ იმ შემთხვევაში, თუ მას წინააღმდეგ წამოყენებულ იქნა რაიმე ბრალდება. საბჭოთა აპარატის მუშაკთა მასამ მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ წმენდა მიმართული არაა მთელი ამ მასის წინააღმდეგ, არამედ ის მიზნად ისახავს ჩვენი დაწესებულებების გაწმენდას ისეთ ელემენტებისაგან, რომელნიც ზიანს აყენებენ საქმეს და რომელნიც ჩირქს სცხებენ პატიოსან საბჭოთა მუშაკების სახელს.

წმენდის დაწყება განზრახულია მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. დრო არც თუ ისე ბევრი რჩება. საჭიროა წინასწარი საფუძვლიანი სამზადისი. საჭიროა აქედანვე შევუდგეთ საქმეს.

პაციფისტური მოჩვენება

მზადდება დასადგმელად „განიარაღების" ახალი ფილმი. მრავალრიცხოვანი ეფექტიანი ტრიუკებით. რეჟისორები აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია „ვარსკვლავების", უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეების მონაწილეობა. დამდგმელები არიან, ერთის მხრით, მისი უდიდებულესობის პრემიერი მაკდონალდი და, მეორეს მხრით, პრეზიდენტი ჰუვერი. მაკდონალდმა ლოსიმაუტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ის „წუთის დაუკარგავად" შეუდგება განიარაღების და ინგლის-ამერიკის ურთიერთობათა მოგვარების პრობლემების გადაწყვეტას. იგი ამერიკის ახლად დანიშნულ ელჩთან ლონდონში დაუესთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომელიც „ნაკარნახევია სურვილით მოამზადოს გზა მშვიდობიანობის და ურთიერთობის საქმეში სხვა ხალხებთან თანამშრომლობისა არა იარაღის საშუალებით, არამედ იარაღის უარყოფის საშუალებით". იმავე დღეს პილიგრიმების კლუბში ანალოგიური სიტყვა წარმოსთქვა გარეშე საქმეთა მინისტრ გინდერსონმა, რომელიც, დაუესის ხანგრძელი ჩიბუხით ხელში, არ ზოგავდა სიტყვებს შესახებ „აღთქმული სამოთხის, მშვიდობიანობის, მეგობრობის და თანამშრომლობისა, რომლებისთვისაც იბრძოდა მრავალი თაობა".

იმავე კლუბში დაუესმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც წამოაყენა განიარაღების ფართე კონფერენციის მოწვევის იდეა. ეს კონფერენცია, გვაუწყებს დაუესი, იმუშავებს სრულიად ახალი წესით, გავლენიანი პირების მონაწილეობით, „განიარაღების ტექნიკის ახალი გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებით და სხვ. ეს გამოსვლა მჭიდროთაა დაკავშირებული ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეთა სხვა გამოსვლებთან, რომლებიც მოწმობენ, რომ ახალ პრეზიდენტ ჰუვერს გადაწყვეტილი აქვს ახალი ხელისუფლების მიღება პაციფისტური ჟესტით, რომელმაც თავისი ბრწყინვალებით უნდა დაჩრდილოს პრეზიდენტ კულიჯის უკანასკნელი ნაბიჯი — კელოგის პაქტი. ჰუვერის მინდობილობით, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის აპრილის სესიაზე ამერიკის წარმომადგენელმა გიბსონმა წამოაყენა წინადადება სამხედრო-საზღვაო მშენებლობის შემცირების სასარგებლოდ.

შემდეგ, დალუპულ მხედართა ხსოვნის დღეს 30 მაისს ჰუვერმა არლინგტონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მწარედ მოთქვამდა განიარაღების არასაიმედო მდგომარეობის გამო. მოჰყავს რა კელოგის პაქტიდან „საქვეყნოდ აღიარებული" ვალდებულება ომის დაგმობის შესახებ, ჰუვერი აცხადებს: „მაგრამ ამ კეთილშობილური მტკიცების მიუხედავად, ყველა ქვეყანაში გრძელდება მზადება ომისათვის. შედეგად კი პესიმისტები ამ ხელშეკრულებას გარეშე საქმეთა სამინისტროების ცალიერ განცხადებას და დიპლომატების მიერ კაცობრიობის იმედების აბუჩად აგდებას უწოდებენ".

რასაკვირველია, მისტერ ჰუვერი არ ეთანხმება ამ „პესიმისტებს", რომლებიც პატივს არ სცემენ დიპლომატების უდიდეს ნაშრომს. და რათა დაამტკიცოს თავისი მხურვალე ერთგულება მშვიდობიანობის საქმისადმი, წინადადებას აძლევს სახელმწიფოებს შეთანხმდენ შეიარაღების შემცირების საკითხში. ამავე დროს აყენებს თავისი სიმარტივით „გენიალურ" იდეას: ექსპერტებმა (სწორეთ იმ მეისრეებმა, რომელთაც აკისრებენ განიარაღების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების ყველა უკანასკნელი დამარცხების მთელ ბრალს) უნდა გამოიმუშაონ რაღაცნაირი შერეული „რაციონალური საზომი" ფლოტების შესადარებლად, მათი შემოკლების მიზნით; ამ „საზომში" უნდა გამოიხატოს სამხედრო გემების ბრძოლის უნარიანობის სხვადასხვა ელემენტები სისწრაფე, შეიარაღება, ხნოვანება და სხვ.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ მშვიდობიანობის ნაფიც მოყვარულთა, ომის საფრთხის საწინააღმდეგო სხვადასხვა პატენტიან საშუალებების გამომგონებელთა მოღვაწეობის სასწრაფო გამოცოცხლებას. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სამხედრო საფრთხემ იმდენად აშკარა და ყველასათვის დასანახი ფორმები მიიღო, რომ ბურჟუაზიული მთავრობები ჩქარობენ შეშფოთებულ ხალხებს მოაფარონ ცრუ-პაციფისტური ხლოროფორმით გაჟღენთილი ნიღაბი, მიაძინონ მათი სიფხიზლე და გადააქციონ ისინი თავიანთი მილიტარისტული მტაცებლური მიზნების იარაღად.

ბურჟუაზიული, სოციალ - ბურჟუაზიული პარლამენტარების სინდისის ფუყუფთაობას არაპირდაპირ გზით ამჟღავნებს გენდერსონის დასახელებული სიტყვა: „ყველა ქვეყნის ხალხები, განაცხადა მან—ოცნებობენ თავისუფლებაზე, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ყველა ომის შეწყვეტის შემდეგ. ხალხი ფიქრობს, რომ დროა ამოქმედებისათვის. ხალხები მოუთმენლად ელიან შედეგებს". რომ ხალხები მოატყუონ, რომ აიცილონ თავიდან მშრომელთა ფართე მასების მიერ იმ მექანიზმის საიდუმლოების გამომჟღავნება, რომელიც ომს ქმნის, ხერხიანად მიჩქმალული მოტყუილებისა და უსინდისო დემაგოგიის პირობებში შემცირების ახალი კონფერენცია მზადდება. ამ საქმის პერსპექტივებზე მსჯელობა ძნელი არ არის, ამისთვის არსებობს უმდიდრესი გამოცდილება. მოვიგონოთ თუნდაც სამარცხვინოდ გაკოტრებული სამთა კონფერენცია ჟენევაში 1927 წელს (ინგლისი, შეერთებული შტატები და იაპონია). გაუმჯობესდა მას შემდეგ რამე? ჟენევაში გამწვავებული დავის საგანს წარმოადგენდა იგივე შეერთებული შტატების და ინგლისის ფლოტების თანასწორობა, რასაც ახლა დაჟინებით მოითხოვენ ჰუვერი და დაუესი. მართალია, ინგლისის დელეგაცია მოლაპარაკების მსვლელობაში იძულებული შეიქნა ფორმალურად დათანხმებულიყო დამხმარე ფლოტების გათანასწორებაზე (მსხვილი გემების ტონაჟი ჯერ კიდევ ვაშინგტონის კონფერენციაზე 1922 წელს იქნა გათანასწორებული). მაგრამ პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ ტონაჟის ციფრებში გათანასწორების შესახებ მიღწეულ შეთანხმებასა და სამხედრო-საზღვაო პროგრამის შესახებ სრულ მორიგების შორის ძალიან დიდი მანძილია. ატყდა სასტიკი დიპლომატიური ბრძოლა იმ საკითხზე, თუ როგორ განაწილებულიყო ეს ტონაჟი. და აქ მოხდა საინტერესო კომედია: თვითეული მხარე ცდილობდა აეძულებინა მეორე, რომ მას შეემცირებინა სამხედრო გემების მისთვის საჭირო ტიპების მშენებლობა და ამავე დროს სულგრძელობით აძლევდა მას ნებას გაეფართოვებინა ფლოტის ისეთი ერთეულების მშენებლობა, რომელნიც მას ნაკლებ სჭირდებოდა. იცავდა რა საშუალო კრეისერების მშენებლობის გაფართოების უფლებას, ადმირალი ჯელიკო ამას ასაბუთებდა ინგლისის სავაჭრო ინტერესებით და ზღვის იქითა სამფლობელოებთან შეუფერხებელი კავშირის დაჭერის საჭიროებით, ესე იგი, არსებითად რომ ვსთქვათ, იცავდა დიდი ბრიტანეთის პირველობის ტრადიციულ „უფლებას" ზღვაზე.

ეს „უფლება" ყველაზე უფრო აგრესიულმა შუბლმაგარმა ბრიტანელ იმპერიალისტებს შორის, ვინსტონ ჩერჩილმა ჩამოაყალიბა ამგვარად: „არაფერმა მსოფლიოში, არაფერმა, რაც კი შეიძლება მოგივიდეთ თავში სიზმრად თუ ცხადად, ან რაც არ უნდა გითხრან თქვენ, არავითარმა არგუმენტმა, არავითარმა მოწოდებამ, არაფერმა არ უნდა გაიძულოთ უარჰყოთ პირველობა ზღვაზე, რომელსაც ემყარება ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება". იმავე ჩერჩილმა დაუესსა და მაკდონალდს შორის მოლაპარაკების დროს უკანასკნელს მოაგონა, რომ ინგლისი თავისი ფლოტის გათანასწორებას ამერიკის ფლოტთან სცნობს მხოლოდ შენიშვნების დართვით, უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, არ სცნობს.

და სავსებით შესაძლოა, რომ ახალი კონფერენცია ჟენევის კონფერენციის მსგავსად ჩიხში მოემწყვდევა სწორედ თანასწორობის საკითხის განხილვის დროს ან თანასწორობის ცნობილი „რაციონალური საზომის" შემუშავების დროს, რადგან ცხადია, რომ მთელი ეს ტექნიკა არის პირშებრუნებული პოლიტიკა. დავა ტონაჟისა, იარაღის ყალიბისა და სწრაფმავლობის ირგვლივ წარმოადგენს იმ დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური კონფლიქტების ტეხნიკურ გამოხატულებას, რომლებიც წარმოშობილია საზღვაო გემებზე, ნედლეულის წყაროებზე და ბაზრებზე კონტროლის გამო; ეს დავა წარმოადგენს იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოხატულებას, რომელიც მსოფლიო ბრიტანეთისათვის სწარმოებს.

მაგრამ არსებობს სხვა შესაძლებლობაც—რაიმე დროებითი დამპალი კომპრომისის მიღწევა.

ინგლისის მდგომარეობა ეხლა ისეთია, რომ იგი შეიძლება იძულებული შეიქნეს ამ მომენტში მოახდინოს მანევრი და ნაწილობრივ დროებით დათმობებზე წავიდეს ძლიერი და საშიში კონკურენტის მიმართ. ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტიმსონმა ჰუვერის სიტყვის კომენტარიის დროს მეტად „თავაზიანი" ფორმით აგრძნობინა მაკდონალდს, რომ თუ ახალი კონფერენცია ჩაიშლება, შეერთებული შტატები ბოლომდე შეასრულებენ გემთშენების ოპტიმალურ პროგრამას, ე. ი. ააშენებენ 71 საომარ გემს დამხმარე ფლოტისათვის 725 მილიონი დოლარის ღირებულებით და გარდა ამისა 12 ჯავშნოსანს 480 მილიონ დოლარის ღირებულებით (40 მილიონი „თითო ცალი"); სულ დახარჯული იქნება 1.205 მილიონი დოლარი. ცხადია, რომ ინგლისელი დიპლომატები იძულებულნი იქნებიან ანგარიში გაუწიონ მილიარდერების ამ არგუმენტებს, რადგან ინგლისისათვის ძალიან ძნელია თავის მდიდარ მეტოქეს წაართვას პირველობა შეიარაღებისათვის თანხების გაღებაში. ამიტომ ინგლისი, შესაძლოა, დათანხმდეს ისეთ დათმობებზე, რომლებიც რაიმე ნახევარ შეთანხმებას გამოიწვევენ.

მაგრამ კონფერენცია რომ დამთავრდეს ასეთი შედეგით, წმინდა ფორმალურ მიღწევებს პრაქტიკაში ეწევა ისეთივე ბედი, როგორიც ეწვია ვაშინგტონის 1922 წლის შეთანხმებას. ინგლის-ამერიკის ბრძოლა გაგრძელდება და გამწვავდება და ყოველი მხარე გვერდს აუხვევს შეთანხმებას, რომელიც ძალიან მალე არარაობად გადაიქცევა. თვით მაკდონალდმაც ხელისუფლების სათავეში ჩადგომის წინ ინგლის-ამერიკის ბრძოლის შესახებ სთქვა, რომ სასაცილოა ამ ბრძოლის დამთავრებას ველოდეთ რაღაც ქაღალდზე ხელმოწერის შემდეგო. „დიდი ბრიტანეთის და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, სწერს იგი ამერიკულ ჟურნალ „ნეიშენ"-ში 30 იანვრის თარიღით, მთლიანად იმეორებს იმ პოლიტიკას, რომელიც წინ უსწრებდა მსოფლიო ომს და რომელმაც მოამზადა იგი". მაკდონალდი ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ საქმე გააფუჭეს ვიწრო სამხედრო სპეციალისტებმა, რომ არ არსებობდა სწორი მიდგომა პრობლემისადმი და სხვ. სულ სხვა საქმე იქნება, როცა ინგლისის სახელმწიფო ხომალდის საჭეს ხელთ იპყრობს თვით იგი, მაკდონალდიო.

მაგრამ მთელი ეს ლაპარაკი აშკარა მოტყუებაა (არა თვითმოტყუება, რადგან მეორე ინტერნაციონალის „პაციფისტები" სრულებითაც არ არიან ისეთი გულუბრყვილონი, როგორც სურთ მოგვაჩვენონ თავი), ეს არის უბოროტესი, უსაძაგლესი და უსაზიზღრესი მოტყუება, რომლის მიზანია მშვიდობიანობის შესახებ მყვირალა ფრაზების საშუალებით დაფაროს ომისათვის მზადება. მაკდონალდის ბურჟუაზიული მთავრობის ჩადგომა ინგლისის ხელისუფლების სათავეში ისეთივე გავლენას მოახდენს ინგლ.-ამერ. ბრძოლაზე, როგორც კაპიტნების შეცვლა ზღვის ღელვის მდგომარეობაზე. ამ მძაფრ და მწვავე ბრძოლას მაგრად აქვს გადგმული ფესვები თანამედროვე მსოფლიო იმპერიალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა სიღრმეში და ვერავითარი „მშვიდობიანობისმოყვარეობაზე" ლაყბობა და სიტყვების ფრქვევა ვერ შეაჩერებს მისი გამწვავების ისტორიულ პროცესს.

კიდევ მეტი, მთელი ეს ყალბი პაციფისტური ლაყბობა თავისთავად წარმოადგენს უდიდეს საშიშროებას, რამდენადაც იგი მშრომელი მასების ყურადღებას აშორებს ომის საფრთხეს, ომის, რომელსაც გაძლიერებული ტემპით ამზადებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მუშებმა უკვე დიდი ხანია იციან, თუ რა ფასი აქვს მაკდონალდების, ბონკურების, ვანდერველდების და სხვ. ლაყბობას მშვიდობიანობაზე. საბჭოთა კავშირის მუშებს შორის ამ მხრივ არ არსებობს არავითარი ილუზია. მაგრამ დასავლეთში, კერძოდ, ინგლისში მუშათა დიდ მასებზე შეიძლება იქონიოს გავლენა იმ დემოკრატიულ - პაციფისტურმა პროპაგანდამ, რომელიც, უნდა აღინიშნოს მისი რეჟიმების სასახელოდ, დიდის ოსტატობით, მოხერხებით და მოხდენილი დემაგოგიით სწარმოებს. ამ გარემოების ჯეროვნად შეუფასებლობა დიდი შეცდომა იქნება დასავლეთის ჩვენი ძმური პარტიებისათვის.

ახალი ცრუ-განიარაღების კამპანია კომინტერნის სექციების წინაშე აყენებს განსაკუთრებულ ამოცანებს, რომლებიც ორგანიულად არიან დაკავშირებულნი ომის საწინააღმდეგო დღის მომზადებასთან.

საჭიროა ყოველდღიურად, სისტემატიურად და მტკიცედ ვამხილოთ კონკრეტიული მაგალითების საშუალებით ამერიკის იმპერიალისტების, ინგლისის „მუშათა" პარტიის და მეორე ინტერნაციონალის სხვა პარტიების წრიდან გამოსული იმპერიალისტების ახალი მანევრის ნამდვილი აზრი, რათა მუშათა ფართო მასებს ნათლად და ზედმიწევნით უჩვენოთ იმ რთული იმპერიალისტური მექანიზმის მუშაობა, რომელიც ომს ამზადებს.

მუშათა მასებს უნდა განვუმარტოთ, რომ ბურჟუაზიულ ან სოციალ - ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც აგებულია მტაცებლობაზე და კოლონიალურ ძარცვაზე, არ სურთ და არ შეუძლიათ მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება, რომ ისინი სისტემატიურად ამზადებენ ომს და მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მშვიდობიანობის დასაყრდენი.

„პრავდა", 22 ივნისი.

იუნგის გეგმა და მოკავშირეთა ვალები

გერმანიის მრეწველები აცხადებენ: „იუნგის გეგმა გერმანიის ხალხს ისეთ ტვირთს აკისრებს, რომელიც გერმანიის გადახდის უნარიანობას აღემატება."

საფრანგეთის სამხედრო ვალი 4 მილიარდ დოლარს უდრის

გაიხსნა ლიტვა-ლატვიის დაახლოების კონგრესი

იუნგის გეგმის გარშემო

გერმანელ მრეწველთა რეზოლუცია

ბერლინი, 21 ივნისი. გერმანელ მრეწველთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოიტანა რეზოლუცია იუნგის გეგმისადმი დამოკიდებულების შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ იუნგის გეგმა გერმანიის ხალხს ისეთ ტვირთს აკისრებს, რომელიც გერმანიის გადამხდელ უნარიანობას აღემატება (ადს).

საფრანგეთის ვალის გადახდის ვადის გადიდება

ვაშინგტონი, 21 ივნისი. კონგრესმა დაადგინა—გაუგრძელდეს საფრანგეთს ამ წლის 1 აგვისტოდან 1930 წლის 1 მაისამდე იმ 400 მილიონი დოლარის გადახდის ვადა, რომელიც ეკუთვნება ამერიკას სამხედრო შეკვეთებში, თუ ამ ვადამდე საფრანგეთი მოახდენს მელონ-ბერანჟეს შეთანხმების რატიფიკაციას (მთელი ვალის რაოდენობა, რომელიც საფრანგეთმა ამერიკას უნდა გადაუხადოს და რომელსაც მელონ-ბერანჟეს შეთანხმება შეეხება, უდრის 4 მილიარდ დოლარს).

კონგრესის სესია შესწყდა ოქტომბრამდე (ადს).

„დეილი ტელეგრაფ"-ის შიში

ლონდონი, 21 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი"-ს დიპლომატიური მიმომხილველს აშინებს ის გარემოება, რომ ინგლისის მთავრობას ჯერ კიდევ არ წამოუყენებია რაიმე წინადადება იუნგის გეგმის ცხოვრებაში გატარების შესახებ.

მიმომხილველის აზრით „პუანკარე არ ფიქრობს დასთანხმდეს იმაზე, რომ კონფერენცია მოხდეს ლონდონში ინგლისელის თავმჯდომარეობით. ის სცდილობს, კონფერენცია მოხდეს ნეიტრალურ ადგილას მისი თავმჯდომარეობით. მიმომხილველის აზრით, საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობები სცდილობენ —კონფერენცია 15 ივლისამდე მოიწვიონ, რომ მუშათა პარტიის მთავრობას წაართვან საშუალება განსაზღვროს თავისი პოლიტიკა რეპარაციების, მოკავშირეთა ვალების და რეინისა და საარის ოლქების ევაკუაციის საკითხებში (ადს).

ლიტვა-ლატვიის დაახლოების კონგრესი

კოვნო, 21 ივნისი. გაიხსნა ლიტვა-ლატვიის დაახლოების კონგრესი.

ოფიციოზი „ლეტუკას აიდას"-ი, ესალმება რა კონგრესს, მცირე ქვეყნების ერთობის მიზანშეწონილობას, „მიუხედავად იმისა, რომ ყველას არ მოელის ერთნაირი საფრთხე".

„იმ დროს —სწერს გაზეთი,—როდესაც ლიტველები, ბელორუსები და უკრაინელები პოლონეთის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ იტანჯებიან, ფინებსა და ესტონელებს უსაფუძვლოდ აქვთ საბჭოთა კავშირის შიში".

ოფიციოზი მოაგონებს ბალტიის სახელმწიფოებს, რომ საბჭოთა კავშირმა სცნო მათი დამოუკიდებლობა და პატივსა სცემს მათ საზღვრებს (ადს).

ბომბეის ფეიქართა გაფიცვა

ლონდონი, 21 ივნისი. რეიტერის სააგენტო ბომბეიდან იუწყება:

„შესდგა ბომბეის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი ფეიქართა გაფიცვის მოგვარების შესახებ. მოელიან, რომ ამ კონფერენციის შედეგად მთავრობა იხელმძღვანელებს შრომის კონფლიქტების კანონით და შექმნის სამედიატორო სასამართლოს გაფიცვის საქმის მოსაგვარებლად. ამასთან ერთად მთავრობას აზრადა აქვს მიიღოს ზომები შტრეიკბრეხერების საცავად (ადს).

ჯავახარლალ ნერუ „გირნი კამგარის" შესახებ

ლონდონი, 21 ივნისი. „ბომბეი ლეიბორ გაზეტ"-ს მოჰყავს შემდეგი საინტერესო ფაქტი:

„ჯერ კიდევ 1928 წლის სექტემბერში კავშირს გირნი კამგარს ჰყავდა 24 წევრი, 1929 წლის იანვრის პირველისთვის კი ეს რიცხვი 65.000 კაცამდე ავიდა".

პროფკავშირთა სრულიად ინდოეთის გაერთიანების თავმჯდომარე ჯავახარლალ ნერუ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგისადმი მიმართულ წერილში შემდეგს სწერს გირნი კამგარის შესახებ.

„ამჟამად ინდოეთში ყველაზე უფრო დარაზმული და ძლიერი მუშათა კავშირი არის ფეიქართა გაერთიანება „გირნი კამგარი", რომელმაც შარშან დიდი წარმატებით ჩაატარა 100.000 მუშის გაფიცვა 6 თვის განმავლობაში. კავშირის ჩახშობის მიზნით პოლიციამ დააპატიმრა ცნობილ ხელმძღვანელთა უმრავლესობა. ეს ხელმძღვანელნი მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. ყოველივე ამის მიუხედავად „გირნი კამგარ"-მა გააძლიერა თავისი მოღვაწეობა", და რამდენიმე კვირის წინად ფაბრიკანტებსა და მუშებს შორის წარმოიშვა კონფლიქტები პროფრწმუნებულთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების გამო. ამ მიზეზით, 100.000 მუშაზე მეტმა გაფიცვა გამოაცხადა, რითაც დაამტკიცა, რომ მოძრაობის ძალას წარმოადგენენ არა ცალკე პიროვნებები, არამედ კავშირის წევრთა ფართო მასები, რომლებიც გამსჭვალულნი არიან კლასობრივი სოლიდარობით. დამქირავებლების, მთავრობისა და მუშათა ზოგიერთ ბელადების ერთი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაფიცვა გრძელდება" (ადს).

შვეიცარიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ბერლინი, 21 ივნისი. შვეიცარიის კომპარტიის ცეკამ მიმართა მუშებს მოწოდებით—კომინტერნის დროშის ქვეშ გამართონ 1 აგვისტოს იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო და საბჭოთა კავშირის დაცვის დემონსტრაცია. მოწოდება აღნიშნავს, რომ შვეიცარიის ბურჟუაზია საბჭოთა კავშირის უბოროტესი მტერია. მოწოდება მოაგონებს მუშებს, რომ შვეიცარიის მიწაზე მოხდა ვოროვსკის მკვლელობა და მკვლელი გამართლებული იქნა. შვეიცარიაში იმყოფება მთავარი რეზიდენცია არა მარტო იმპერიალისტური ერთა ლიგისა, არამედ საერთაშორისო ანტიბოლშევიკური ლიგისაც. არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება იმის ხელის შესაშლელად—რევოლიუციონურ კლასთა ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებისათვის

ლონდონი, 21 ივნისი. პარასკევს კაბინეტის სხდომაზე განხილულ იქნა სეფე-სიტყვის პროექტი. პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ სეფე-სიტყვაში აღძრული იქნება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი.

კენვორტის დანიშვნის გამო

ლონდონი, 21 ივნისი. „დეილი ექსპრეს"-ის პოლიტიკური მიმომხილველის გადმოცემით, არ შეეფერება სინამდვილეს ხმები იმის შესახებ, ვითომ თემთა პალატის წევრი კენვორტი ინიშნება ინგლისის ელჩად მოსკოვში. მიმომხილველის აზრით, კენვორტი დაინიშნება საგარეო ვაჭრობის მინისტრად (ადს).

ურკვარტის რჩევა

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. ინგლისის ცნობილი მრეწველი, რუსეთ-აზიის კომპანიის თავმჯდომარე ლესლი ურკვარტი, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკში იმყოფება, გამოვიდა გაზეთებში განცხადებით, რომელშიაც ამბობს, რომ „მაკდონალდმა და ჰუვერმა ერთად უნდა შეიმუშაონ" საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო გეგმა, რაც პირველ რიგში, „საერთაშორისო ეკონომიური გამოსვლაში" უნდა გამოიხატოსო (ადს).

შვეციის კომპარტიის ცეკა

ომის საფრთხესთან ბრძოლის შესახებ

სტოკჰოლმი, 21 ივნისი. შვეციის კომპარტიის ცეკამ გამოსცა მოწოდება, რომელიც მოუხმობს მუშებს—გამართონ მასიური დემონსტრაციები საერთაშორისო წითელ დღეს—1 აგვისტოს. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ შვეციის კაპიტალიზმის მჭიდრო კავშირს გაბატონებულ იმპერიალისტურ ქვეყნებთან შვეცია მიჰყავს სამხედრო ბლოკისაკენ ბალტიის ქვეყნებთან. ეს ბლოკი კი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შვეციის სოციალ-დემოკრატიის პაციფისტური პოლიტიკა, რომელიც ასუსტებს მუშათა კლასის სიფხიზლეს, ხორციელდება შვეციის ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ და მით ხდება „მუშათა კლასის მიბმა ბურჟუაზიის სამხედრო მატარებელზე".

მოწოდება აღნიშნავს, რომ შვეციის ფაშისტური ორგანიზაციების ზრდა მუშათა მოძრაობის წინაშე სვამს მუშათა ანტიფაშისტური თავდაცვის ორგანიზაციის სწრაფად შექმნის საჭიროების საკითხს. საერთაშორისო ანტიიმპერიალისტურმა დღემ 1 აგვისტომ მუშათა კლასის წინაშე უნდა დასვას ომის საფრთხესთან ბრძოლის მეთოდების საკითხი.

მოწოდება მიმართავს მუშებსა და ჯარისკაცებს —შექმნან მთლიანი ფრონტი, რომელიც ხელს შეუშლის შვეციის ბურჟუაზიის სამხედრო ზრახვებს.

ანტიიმპერიალისტური დღის მომამზადებელი კომიტეტი

სტოკჰოლმი, 21 ივნისი. შვეციის კომპარტიის ცეკამ შექმნა საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური დღის ჩატარების მომზადებელი საგანგებო კომიტეტი. კომიტეტის ამოცანაა—უხელმძღვანელოს შვეციის კომუნისტურ ორგანიზაციებს საერთაშორისო დღისთვის წარმოებულ აგიტაციაში და ხელი შეუწყოს ამ დღეს მუშათა მასების მონაწილეობას დემონსტრაციაში (ადს).

ბროუნლი შეტევით იმუქრება

ლონდონი, 21 ივნისი. მოხდა მანქანათამშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირებისა და დამქირავებლების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირი მოწვეულ იქნა 500.000-ზე მეტი მუშის გამაერთიანებელი პროფკავშირების მოთხოვნის თანახმად ხელფასის გადიდების საკითხის განსახილველად.

ბროუნლიმ პროფკავშირების სახელით აღნიშნა, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ეს არის მეთვრამეტე უშედეგო თათბირი. თუ დამქირავებლები ისეთსავე პასუხს გაგვცემენ, როგორც წინათ, პროფკავშირები, თუმცა ცდილობენ მშვიდობიანობის დაცვას მრეწველობაში, მაგრამ იძულებულნი იქნებიან შეტევაზე გადავიდნენ.

...დამქირავებელთა სახელით ბლანსმიტმა განაცხადა: საჭიროა მოლაპარაკება გადაიდოს ექვსი თვით, „რათა შესწავლილ იქნას მაკდონალდის მთავრობის გეგმები და მათი გავლენა მრეწველობაზე". პროფკავშირების წარმომადგენელნი დასთანხმდნენ გადაიდოს მოლაპარაკება ივლისის დამლევამდე. გადასწყდა თათბირის ხელახლა მოწვევა 25 ივლისისათვის (ადს).

ომი მაროკოში

აიტი აკუბი განთავისუფლებულია

პარიზი, 21 ივნისი. სამხედრო სამინისტრო იუწყება: აიტი-აკუბი (მაროკო), რომელსაც ალყა შემოარტყეს არაბთა ტომებმა სრულიად განთავისუფლებულია გარემოცვისაგან (ადს).

სამხედრო მოქმედება არაბთა ტომების წინააღმდეგ გრძელდება

პარიზი, 21 ივნისი. პრესის ცნობებით, აიტი აკუბის განთავისუფლების შემდეგ საფრანგეთის ჯარი განაგრძობს სამხედრო მოქმედების განვითარებას არაბთა ტომების წინააღმდეგ (ადს).

ჩინეთში

ვან-ჩენ-ტინი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

შანხაი, 21 ივნისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეროვნული მთავრობის გარეშე საქმეთა კომისიას ფორმალურად ჯერ კიდევ არ განუხილავს საკითხი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. მიუხედავად ამისა, კომისიის ბევრ წევრს შორის ამ საკითხის გამო უკვე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გარეშე საქმეთა მინისტრის ვან-ჩენ-ტინის სიტყვით, ამჟამად ისეთი მძიმე მდგომარეობა აღარ არის, როგორც წინად იყო (ადს).

ჩინეთ-იაპონიის მომავალი მოლაპარაკება

შანხაი, 21 ივნისი. ვან-ჩენ-ტინმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ნანკინში მოელიან იაპონიის ელჩის ჩინეთში იოსიზავას, რომელიც გამართავს მოლაპარაკებას ჩინეთ-იაპონიის ახალი ხელშეკრულების დასადებად (ადს).

უშედეგო ჩხრეკა

შანხაი, 21 ივნისი. ჩინეთის ხელისუფლების თხოვნით, საერთაშორისო უბნის პოლიციამ გაჩხრიკა კანტორა ჩინური ფირმის, რომელიც საბჭოთა ფართლეულით ვაჭრობს. როგორც ინგლისური გაზეთი „შანხაი ტაიმს"-ი იუწყება, ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო (ადს).

კომუნისტების დევნა

პრაღა, 21 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა შეუდგა საოლქო ლანდტაგის კომუნისტ დეპუტატების დევნას. კომუნისტებმა დეკლარატიული განცხადებანი წარუდგინეს საოლქო ლანდტაგებს. ამან გამოიწვია სამოსამართლო დევნა განცხადებით გამოსულთა წინააღმდეგ, რომელთაც უყენებენ ბრალდებას რესპუბლიკის დაცვის კანონის ძალით. ბრნოში (მორავიის მთავარი ქალაქი) სასამართლომ ლანდტაგის ერთ კომდეპუტატს მიუსაჯა სამი თვის პატიმრობა და ათასი კრონი ჯარიმა ჯარისკაცთა მოწოდებისათვის ურჩობისაკენ. მეორე კომდეპუტატს მიესაჯა ერთი თვის საპყრობილე და 200 კრონი ჯარიმა რესპუბლიკის შეურაცხყოფისათვის. მისი სიტყვის საგანს შეადგენდა ის, რომ ლანდტაგებს მცირე უფლებები აქვთ დათმობილი. (ადს).

სხვადასხვა

● **დემონსტრაცია პოლიციის ტერორის წინააღმდეგ.** ჩიკაგოში გაიმართა დემონსტრაცია პოლიციის ტერორის წინააღმდეგ, რადგან ამ ტერორით ხელისუფლება ცდილობს ესტონიის ფეიქართა გაფიცვის ჩაქრობას. დააპატიმრეს 27 დემონსტრანტი, რომელთაც აბრალებდნენ „აჯანყების წაქეზებას" (ადს).

● **სანდინო გონდურასში იმყოფება.** ნიკარაგუელ აჯანყებულთა ბელადი სანდინო გონდურასში იმყოფება. იგი მექსიკაში მიემგზავრება.

● **შეიარაღებათა შემცირება.** იაპონიის პრემიერმა ტანაკამ აცნობა შეერთებულ შტატებს, რომ იაპონია მზადაა ხელი შეუწყოს იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც მიმართულია შეიარაღებათა შემდეგი შემცირებისაკენო. (ადს).

● **„მატენ"-ის სენსაციური მხილებანი.** „მატენ"-ი აქვეყნებს მის მიერ აღმოჩენილი სენსაციურ ბოროტმოქმედებას, რომელიც შეეხება ამერიკის სამთო-სამრეწველო საზოგადოების სპეკულიანტურ მახინაციებს აქციების გარშემო და რომლის შედეგად რამდენიმე ათი მილიონით დაზარალდნენ აქციების წვრილი მეპატრონენი. პროკურატურა სპეკულიანტებს პასუხისგებაში აძლევს. (ადს).

● **„ფოლკს ეხო"-ს აკრძალვის მოხსნა.** ბერლინის სასამართლომ მოხსნა აკრძალვა პროვინციალურ კომუნისტურ გაზეთს „ფოლკს ეხო"-სი, რომელიც ცერგიბელმა აკრძალა „როტე ფანე"-სთან ერთად იმ საბაბით, რომ ამ გაზეთებს მარტო სახელები აქვთ სხვადასხვანაირი, შინაარსით კი ერთნაირი არიანო. (ადს).

კოლმეურნეობათა სრ. საკავშირო საბჭოს სესია

ამხ. მიქოიანის სიტყვა

მოსკოვი, 22 ივნისი. კოლმეურნეობათა სრ. საკავშირო საბჭოს სესიაზე გამოვიდა ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. მიქოიანი. მან სთქვა:

„კოლმეურნეობათა წინაშე იშლება მოქმედების ფართო ასპარეზი. კოლმეურნეობათა მშენებლობა უდიდეს როლს ითამაშებს გლეხური დაქუცმაცებული მეურნეობის გარდაქმნის საქმეში. ეს გარდაქმნა უნდა მოხდეს მსხვილი განსაზოგადოებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნიადაგზე. სოფლის მეურნეობა ჩამორჩება ქალაქისა და მრეწველობის ზრდის გზაზე შემდგარ მოთხოვნილებას, ხოლო ეს ჩამორჩენა შედეგია გლეხური მეურნეობის მეტის-მეტი დაქუცმაცებისა. ოქტომბრის რევოლიუციამდი არსებობდა 15 მილიონი გლეხური მეურნეობა, დღეს კი არსებობს 27 მილიონი მეურნეობა. შეუძლებელია სოციალური მეურნეობის მშენებლობა ამ დაქუცმაცებულ და დაქსაქსულ მეურნეობათა ბაზისზე. აი რატომ გადაიქცნენ კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხები უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებად. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კოლმეურნეობებში მიილტვის არა მარტო ღარიბი გლეხობა, არამედ გლეხობის ძირითადი საშუალო უმრავლესობაც. ეს მაჩვენებელია იმის, რომ სოფლის ძირითად ფენას ჩვენ პირი ვაბრუნებინეთ განვითარების არაკაპიტალისტურ გზისაკენ".

შემდეგ ამხ. მიქოიანი შეჩერდა კოლმეურნეობათა მდგომარეობაზე და მათ მორიგ ამოცანებზე.

სესიამ დაადგინა —გამოსცეს ამხ. მიქოიანის სიტყვა ცალკე წიგნაკად, როგორც სახელმძღვანელო კოლმეურნეობათა მუშაკებისათვის. სესიამ ამხ. მიქოიანი ერთხმად აირჩია კოლმეურნეობათა სრ. საკავშირო საბჭოს წევრად (ადს).

საკავშირო ლენინური კომკავშირის კონფერენცია

ამხ. ხითაროვის მოხსენება

მოსკოვი, 22 ივნისი. საკავშირო ლენინურ კომკავშირის კონფერენციაზე ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხითაროვი.

„კაპიტალისტური რაციონალიზაცია,— სთქვა მომხსენებელმა,— აძლიერებს ახალგაზრდობის როლს წარმოებაში. გერმანიაში 1907—1925 წლებში მუშათა კლასი 25 პროცენტით გაიზარდა, მუშა-ახალგაზრდობა —40 პროცენტით. მზადება ომისათვის და მოსახლეობის მილიტარიზაცია უფრო აძლიერებს ახალგაზრდობის როლს. მთელი რიგი კომპარტიები კი სათანადოდ არ აფასებენ ახალგაზრდობის შორის კომუნისტური მუშაობის მნიშვნელობას. ამ ბოლო დროს ჩაისახა გარდატეხა. ამჟამად კომკავშირი საზღვარგარეთ თვალსაჩინო როლს თამაშობს კომპარტიების ბოლშევიზაციის საქმეში. საფრანგეთში იგი მოწინავე მებრძოლი იყო კომინტერნის ხაზისათვის, ლოზუნგისათვის „კლასი კლასის წინააღმდეგ". საპირველმაისო ბარიკადებზე ბერლინში უმთავრესად იბრძოდნენ ახალგაზრდები, კომკავშირელნი. ბოლგარიის, პოლონეთის და იტალიის კომკავშირელნი, ფაშისტური ტერორის მიუხედავად, განაგრძობენ მუშაობას არალეგალურ პირობებში. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის თითქმის ყველა საზღვარგარეთული სექციის არსებით ნაკლს შეადგენს ერთგვარი შეუფარდებლობა სწორე პოლიტიკურ ხაზსა და ადგილობრივი ორგანიზაციების პრაქტიკულ მოქმედებას შორის. ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში, საბჭოთა ქვეყნის კომკავშირის გარდა, ირიცხება 100.000 წევრი. კავშირები არ არიან დაკავშირებულნი მასებთან. კავშირი გაერთიანებულია მეტ წილად ტერიტორიალურად და არა საწარმოთა მიხედვით. საკმაოდ დამაკმაყოფილებელი და კონკრეტული არ იყო აგრეთვე საერთაშორისო ხელმძღვანელობა. ამ დეფექტების მიუხედავად, უცხოეთის კომკავშირის ასიათასიანი არმია კვლავ მრისხანე ძალას წარმოადგენს. კომკავშირი ფეხს იკიდებს ისეთ ქვეყნებშიც, როგორიც არის ფინეთი".

დასასრულ, მომხსენებელმა საჭიროდ სცნო კომკავშირის ინტერნაციონალური მუშაობის გაძლიერება (ადს).

კულტურული რევოლიუცია და მასიური წიგნი

მოსკოვი, 22 ივნისი. სრ. საკავშირო თათბირზე წიგნით ვაჭრობის შესახებ. ამხ. ხალატოვმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „კულტურული რევოლიუცია და მასიური წიგნი". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა წიგნის პროდუქციის რაოდენობის მხრივ 2 ნახ.-ჯერ გაუსწრო ომის წინადროინდელ რუსეთს. 1913 წელს ბაზარზე გამოშვებულ იქნა 100 მილიონი წიგნი, ხოლო 1928 წელს— 240 მილიონი წიგნი. საბჭოთა წიგნი გამოდის საბჭოთა კავშირის ეროვნებათა 57 ენაზე. რევოლიუციის წინადროინდელ ხანაში ლიტერატურა საზოგადო - ეკონომიურ საკითხებზე საერთოდ შეადგენდა სულ 5 პროცენტს, ეხლა კი შეადგენს 50 პროცენტს. მაგრამ მასიური წიგნის რაოდენობა წიგნის მთელი პროდუქციის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს. ეხლა მორიგ ამოცანას წარმოადგენს ამ რაოდენობის გადიდება. თუ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში წიგნით ვაჭრობა არსებითად არ განსხვავდება სხვა რომელიმე საქონლით ვაჭრობისაგან, სამაგიეროდ, საბჭოთა ქვეყანაში წიგნის გავრცელება არსებითად არის კულტურულ - საზოგადოებრივი ფუნქცია და ამიტომ თვით ტერმინი წიგნით ვაჭრობა უნდა შეიცვალოს წიგნის გავრცელებად.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებაში მასიური წიგნის შესახებ ნათქვამია, რომ ცეკას საჭიროდ მიაჩნია მასიური წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში, გამომცემლობათა გარდა, ჩაბას ყველა კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაცია, კომკავშირის და ყველა მოხალისე საზოგადოება. კომკავშირის ცეკამაც დაადგინა, რომ კომკავშირის ორგანიზაციები მოვალენი არიან თავიანთი ჩვეულებრივი მუშაობის ფარგლებში ჩაურთონ წიგნის გავრცელება. ეს დადგენილებები საჩქაროდ უნდა გატარდეს ცხოვრებაში. წიგნის გავრცელების საქმეში ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: წიგნის გამავრცელებელი ქსელის შემდგომი განვითარება იმ ვარაუდით, რომ მოსახლეობისთვის წიგნის მიწოდების საქმეში ხუთი წლის განმავლობაში დავეწიოთ დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს და წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციების პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კავშირების განმტკიცება. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

ლონდონი, 22 მაისი. მაკდონალდის მთავრობის სხდომაზე ირჩეოდა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების საკითხი. ამის გამო „დეილი ჰერალდ"-ის პოლიტიკური მიმომხილველი სწერს: „მთავრობა ერთხმად მომხრეა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის განახლებისა. შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს, რომ ამ საკითხებში ადგილი არ ექნება საქმის გაჭიანურებას".

მთავრობის სხდომაზე მოსმენილი იყო ცალკე მინისტრების მოხსენებები. გაზეთების სიტყვით, „განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდნენ ტომასის მოხსენებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღებაც განზრახული აქვს სამინისტროს უმუშევრობასთან საბრძოლველად. საზღვაო მინისტრმა ალექსანდერმა გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელშიაც განმარტებულია საზღვაო წრეების დამოკიდებულება მაკდონალდისა და დაუესის მოლაპარაკებისადმი საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ. სხდომაზე განხილული იქნა აგრეთვე საკითხები სარეპარაციო შეთანხმებისა და რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ.

ნანკინი დათმობაზე მიდის

შანხაი, 22 ივნისი. მიღებული ცნობების თანახმად, ნანკინის და ფინ-იუი-სიანის კონფლიქტი უკვე მოგვარებულია. ნანკინი დათანხმდა გადაუხადოს ფინ-იუი-სიანის ჯარებს დავალიანება და ამ მიზნით დაუყოვნებლივ გადაუგზავნა ენ-სი-შანს 3 მილიონი დოლარი. ფინ-იუი-სიანის არმია რჩება ისევ ლუ ჩუნ-ლინის სარდლობის ქვეშ, რომელიც დანიშნულია ფინ-იუი-სიანის მიერ. ლუ ჩუნ-ლინი რამოდენიმე წელიწადია თანამშრომლობს ფინ-იუი-სიანთან. პროვინცია შანსის და განსუს მთავრობის ხელმძღვანელები რჩებიან თავიანთ პოსტებზე. ფინ-იუი-სიანი ნანკინის მთავრობისაგან საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის ღებულობს 200.000 დოლარს.

ენ-სი-შანი დროებით შეითავსებს ჩრდილოეთ-დასავლეთ ოლქის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის საქმეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას დავალებული აქვს მოხსნას „ფინის საქმე". ზოგიერთი წრეები ფიქრობენ, რომ ფინი შესწყვეტს აქტიურ მოღვაწეობას, მაგრამ ჩინეთში დარჩება, რომ თვალყური ადევნოს, თუ რამდენად ასრულებს ნანკინი თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს. ეს ცნობები ჯერ არ არის დადასტურებული ოფიციალური წყაროებიდან. ორივე მხარე კმაყოფილია კომპრომისით.

ჰილფერდინგის გამოსვლა რეიხსტაგში

ბერლინი, 22 ივნისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „რეიხსტაგში გამოსვლის დროს ფინანსთა მინისტრმა ჰილფერდინგმა განაცხადა, რომ 1929 საბიუჯეტო წელში გერმანიის მეურნეობას რეპარაციების სახით მოუხდება ოთხნახევარ მილიარდ მარკის გაღება. საბიუჯეტო თანხები ამ მიზნისთვის წელს გადიდებული იქნება 312,5 მილიონ მარკით. ამ ტვირთის შემცირება, გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენასთან ერთად არის მთავრობის სარეპარაციო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა. მთავრობამ ერთხმად დაადგინა ექსპერტების მიერ ხელმოწერილი გეგმა მიიღოს დასაყრდენათ საერთაშორისო პოლიტიკური კონფერენციისათვის, რომლის შემდეგაც გაუქმებული უნდა იქნეს მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი ყველა მოუგვარებელი საკითხები. მხოლოდ პოლიტიკური კონფერენციის საერთო ჯამის საფუძველზე შეუძლიათ მთავრობებსა და საკანონმდებლო დაწესებულებებს მიიღონ საბოლოო დადგენილება ექსპერტების გეგმის შესახებ. გეგმის წინასწარ განხილვას შეუძლია გავლენა მოახდინოს მომავალ კონფერენციის დროს გერმანიის მოქმედების პოლიტიკურ თავისუფლებაზე. მთავრობა მოითხოვს თავისთვის მოქმედების პოლიტიკურ თავისუფლებას, რათა საშუალება ექნეს მიიღოს თავის თავზე დიდი პასუხისმგებლობა. ამიტომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ჯერ-ჯერობით თავი შეიკავოს ექსპერტების გეგმის შესახებ მსჯელობისაგან და სთხოვს რეიხსტაგს ამ მხრივ დაიცვან ასეთივე თავდაჭერილობა. (ადს).

ვანდერველდე ვარშავაში

ვარშავა, 22 ივნისი. ამჟამად ვარშავაში იმყოფება ვანდერველდე. ამ დღეებში მან ერთ-ერთი სასწავლებლის დარბაზში მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, თუ რატომ ვითარდება სუსტად ამერიკის პროლეტარიატში სოციალისტური მოძრაობა. ნაციონალ - დემოკრატ სტუდენტებმა, კორპორაციების წევრებმა, ვანდერველდეს სიტყვის დროს მოაწყვეს მისი საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

კანადის კომპარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. დამთავრდა კანადის კომპარტიის ყრილობა. ყრილობამ მთლიანად მოიწონა კომინტერნის აღმასკომის წერილი და დაადასტურა კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ კანადაში. ყრილობამ დაადგინა — მოახდინოს პარტიის რეორგანიზაცია საქარხნო-საფაბრიკო უჯრედების საფუძველზე. (ადს).

ბელგიის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 21 ივნისი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, ბელგიის კომპარტიის ბიურომ მიმართა მოწოდებით ბელგიის მშრომელებს მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო წითელი დღის 1 აგვისტოს მომზადებაში. (ადს).

გერმანიის პოლიცია მუშაობს

ბერლინი, 21 ივნისი. კენიგსბერგში მოხდა კომუნისტური დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ გარეკა იმ საბაბით, რომ დემონსტრაციის ზოგიერთი მონაწილე წითელფრონტელთა კავშირის ფორმაში იყო. პოლიციამ დააპატიმრა ყველა, ვინც კავშირის ფორმაში იყო, დანარჩენები გაფანტა რეზინის კეტებით. დემონსტრაციის გარეკვის ამბავმა მუშათა უბნებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ქუჩებში დაიწყო სტიქიური მსვლელობა. მისი გაფანტვის დროს პოლიციამ ოთხი მუშა მძიმედ დასჭრა (ადს).

გერმანელ კაპიტალისტთა შიში

ბერლინი, 21 ივნისი. გერმანელ კაპიტალისტთა კავშირები იწყებენ აგიტაციას 8 საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ. მათ შიში აქვთ, რომ მაკდონალდის მთავრობა მოახდენს ვაშინგტონის შეთანხმების რატიფიკაციას და გერმანია წაბაძავს მის მაგალითს (ადს).

საბჭოთა პროფკავშირთან თანამშრომლობისათვის

სტოკჰოლმი, 21 ივნისი. შვეციის სახერხი ქარხნების მუშათა პროფკავშირის გამგეობა წინადადებას აძლევს პროფკავშირის მომავალ ყრილობას — არ დაამყაროს არავითარი ურთიერთობა ფინლანდიის ხე-ტყის წარმოების მუშათა პროფკავშირთან. ამ წინადადებას გამგეობა იმით ასაბუთებს, რომ ფინლანდიის კავშირმა დაადგინა—თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ხის დამმუშავებელთა პროფკავშირთან. (ადს).

რეპრესიები გაფიცულთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. ბეწვეულის მუშათა გაფიცვა ნიუ-იორკში, რომელიც მკერავეთა რევოლუციონურმა პროფკავშირმა გამოაცხადა, ვრცელდება 400 წარმოებაზე. გაფიცულთა წინააღმდეგ გაძლიერდა პოლიციის რეპრესიები. პოლიციამ სცემა და დააპატიმრა გაფიცულთა 26 პიკეტი. პროფკავშირი იუწყება, რომ პიკეტებში 4.000 მუშა მონაწილეობს. (ადს).

მაკდონალდის წერილი ჩან-კაი-შისადმი

შანხაი, 22 ივნისი. ინგლისის ელჩმა მაილს ლემპსონმა ჩან კაი-შის გადასცა მაკდონალდის წერილი. ამ წერილში, რომელიც შედგენილია „მეგობრული კილოთი", მაკდონალდი იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლის-ჩინეთის მეგობრობა კიდევ უფრო გამტკიცდება. (ადს).

საბჭოთა კავშირში

1929 წლის დიდი გადაფრენები

მოსკოვი, 22 ივნისი. 1929 წლის დიდი შემოფრენა ევროპის გარშემო დაიწყება ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, 28-დან 30-მდე. შემოფრენა მოხდება „ანტ—9" ტიპის თორმეტადგილიან და სამ-მოტორიან თვითმფრინავზე—„საბჭოთა ფრთებ"-ზე, რომელიც აგებულია საბჭოთა ალუმინისაგან. მისი მაქსიმალური სისწრაფე უდრის 210 კილომეტრს საათში. მარშრუტი: მოსკოვი—ბერლინი—პარიზი—რომი—ვენა—ვარშავა—მოსკოვი. თვითმფრინავს განაგებს ამხ. გრომოვი. (ადს)

მუშათა ბრიგადების გაგზავნა

მოსკოვი, 22 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო, „სოიუზხლებ"-თან ერთად, 5 ივლისამდე მოაწყოს მუშათა ბრიგადები იმ რაიონებში გასაგზავნად, სადაც საბჭოთა და კოლმეურნეობებია, აგრეთვე იმ რაიონებში, რომლებზედაც გავრცელებულია მარცვლეული კულტურების კონტრაქტაცია. ბრიგადებში შემავალ მუშებს შეუნახავენ სამსახურს და საშუალო ხელფასს (ადს).

ამხ. მალიშევის დანიშვნა

მოსკოვი, 21 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამხ. მალიშევი დანიშნა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარედ. (ადს).

ბეჭდვითი სიტყვის მუშათა სექციის ც. ბიუროს პლენუმის დადგენილება

მოსკოვი, 21 ივნისი. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ც. ბიუროს ახლად დამთავრებულმა პლენუმმა დაადგინა — მოხდეს სექციის რეორგანიზაცია ისე, რომ მასში გაერთიანდნენ მხოლოდ ისეთი მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ჰქმნიან გაზეთს და წიგნს წარმოების ყველა საფეხურზე. (ადს).

პლენუმმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გაზეთის რეპორტიორებს, ჰონორარის ნაცვლად, დაენიშნოთ მტკიცე ჯამაგირი. (ადს).

ამხ. სურიცის და უსტინოვის ჩამოსვლა

მოსკოვი, 21 ივნისი. ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში — ამხ. სურიცი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბერძნეთში— ამხ. უსტინოვი (ადს).

საჰაერო მიმოსვლა ლენინგრადი-ბერლინი

ლენინგრადი, 21 ივნისი. დაიწყო რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ბერლინსა და ლენინგრადს შორის. მზადდება ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის რეგულიარული საჰაერო მიმოსვლის მოსაწყობად. გადაფრენა მოსკოვიდან პეკინამდე გასტანს სულ 3—4 დღეს (ადს).

ნავთი ჩუსოვოის მიდამოებში

პერმი, 21 ივნისი. ჩუსოვოის მიდამოებში ნავთით აივსო ორი საწყაო. თვითეული იძლევა 53 ტონას. დაიწყო მეორე კოშკის აგება. (ადს).

ახალი ნავთიანი ფენა

ალექსანდროვსკი, 21 ივნისი. სახალინზე აღმოჩნდა ახალი ნავთიანი ფენა, რომელიც დღე-ღამეში 80 ტონა ნავთს იძლევა. 80 ტონა ახალი ნავთიანი ფენის აღმოჩენა საგრძნობლად აფართოებს სახალინის ნავთის წარმოების პერსპექტივებს. (ადს)

ვოლხოვის ჰიდროსადგურის დატვირთვა

ლენინგრადი, 21 ივნისი. ვოლხოვის ჰიდროსადგური განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობს. ამჟამად ჰიდროსადგური თითქმის 70 პროცენტით აკმაყოფილებს ლენინგრადის მრეწველობისა და განათების ქსელის მოთხოვნილებას.

ამხ. შვარცის გამგზავრება შვეციაში

მოსკოვი, 21 ივნისი. საბჭოთა მემაღაროე მუშების კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე ამხ. შვარცი გაემგზავრა შვეციის მემაღაროების კონგრესზე. (ადს).

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

ბაქო, 22 ივნისი. ბაქოს ნავთსადენის სამუშაოებიდან დაბრუნდა „აზნავთსტროი"-ს უფროსი ინჟინერი ბულგაკოვი, რომელიც იტყობინება, რომ ნავთსადენის აგების სამუშაოები მალე დამთავრდება. 20 ივნისისათვის ნავთსადენის მთელ სიგრძეზე გადასაბმელი დარჩა მხოლოდ 145 კილომეტრი მილი. მილების გადაბმა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და ეჭვი არ არის, რომ დანიშნულ ვადისათვის ნავთსადენი მზად იქნება. ნავთსადენის მზა უბნებზე ნავთის გადაქაჩვა შეუჩერებლივ სწარმოებს.

„აზნავთსტროის" დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქარხნის შეუწყვეტელი მუშაობა. ეს ქარხანა ამუშავების შემდეგ ერთხელაც არ შეჩერებულა. ამჟამად ქარხანა დღეში ამუშავებს 1.600 ტონა ნავთს. 1 ივლისისათვის ქარხანაში მოწყობილი იქნება ნავთის პროდუქტების გამწმენდი დამხმარე აპარატურა, რომლის ამუშავების შემდეგ ქარხანა დღეში დაამუშავებს 2.500 ტონა ნავთს.

ნავთსადენის ნავთსაქაჩ სადგურის მოწყობილობის მიღება ნორმალურად მიმდინარეობს. „აზნავთსტროის" მიღებული აქვს კოლომნის ქარხანაში დამზადებული პირველი 14 ძრავი და 16 ტუმბო, რომლებიც დამზადებულია ქარხანა „ბოლცი"-ს მიერ.

პარტიაში

პარტიის შემოწმებისა და წმენდის საკითხები

მუშაობა დავიწყეთ „ცარიელი ხელებით"—ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია და იქნება კიდევაც გამოსწორებული

I

პარტია შეუდგა თავისი რიგების შემოწმებასა და წმენდას, სათანადო კომისიები შედგენილია, რაიონები და უჯრედები დანაწილებულია, უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს „საწმენდი მუშაობაც". თუმცა კომისიები, რამდენადაც ვიცით, საერთოდ არ გასცილებიან ჯერ კიდევ პირველ უჯრედს იმ რიცხვიდან, რომლებიც მათ უნდა შეამოწმონ, მაგრამ უკვე მოგვეპოვება საკმაო მასალა, რომ შევადგინოთ წინასწარი აზრი იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც ახასიათებენ დაწყებული კამპანიის პირველ საფეხურს. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია შევაჩეროთ ამხანაგების ყურადღება ზოგიერთ ამ ნაკლოვანებებზე, რათა თავიდან ავიცილოთ მათი განმეორება მომავალში და გზადაგზა შევეხოთ იმ სიძნელეებს, რომლებთანაც გვიხდება [illegible] საქმე.

პირველი საკითხი, რომელსაც გვინდა შევეხოთ ამ წერილში, არის ის, თუ რამდენად მომზადებული შეუდგნენ კომისიები (თუ ყველა არა, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი უმრავლესობა) **თვით წმენდას.** უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ეს მომზადება არ იყო დაახლოებითაც კი დამაკმაყოფილებელი. ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ ვის მიუძღვის ამაში „ბრალი": თვით კომისიებს, თუ იმ ორგანოს, რომლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს „საწმენდი მუშაობა". უმთავრესი აქ აღიარება თვით ფაქტის, შეფასება მისი და სათანადო დასკვნების გამოყვანა.

წმენდას წინ უნდა უძღოდეს მწმენდელთა ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა პირობებში უხდება მოქმედება უჯრედს, რა საზოგადოებრივი ელემენტების გარემოცვაში ანვითარებს ის თავის მოღვაწეობას, როგორი ადგილი უკავია თვით დაწესებულებას (სადაც მუშაობს უჯრედი) საბჭოთა, საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების სისტემაში, ესე იგი როგორია ბუნება დაწესებულების, მისი სპეციფიურობა, რომელიც გარკვეულ ელფერს აძლევს შესამოწმებელი პარტუჯრედის მუშაობას? თუ კომისიას არ აქვს ნათელი წარმოდგენა იმ პირობების, იმ გარემოსი, რომელშიაც სცხოვრობს უჯრედი —ძნელი იქნება **შეფასება როგორც უჯრედის მუშაობის, ისე შემოწმება მისი შემადგენლობის.** ხოლო მიმდინარე კამპანიას მიზნად აქვს როგორც ერთი, ისე მეორე.

ჩვენ არა გვგონია, რომ კომისიების დიდ უმრავლესობას ჰქონდეთ სათანადო მასალა, როდესაც დაიწყეს უჯრედის შემადგენლობის ინდივიდუალური შემოწმება. ბევრმა კომისიებმა, თუ ყველამ არა, საკონტროლო კომისიის მიერ გამოცხადებული კალენდარული გეგმა ისე გაიგეს, რომ, თითქოს ხრონომეტრიული სიზუსტით უნდა დაწყებულიყო და გათავებულიყო ამა თუ იმ უჯრედის წმენდა: ადგილი ჰქონდა აჩქარებას. ამის გამო აღარ დარჩა დრო, რომ გულდასმით, დაწვრილებით განეხილათ კომისიებს როგორც ბიუროს, ისე უჯრედის მუშაობა მთლიანად. დროზე ვერ მივიღეთ ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია ინსტრუქციით, ვერ გამოვითხოვეთ დამატებით ის მასალები, რომლებიც უეჭველად იმყოფება ამა თუ იმ დაწესებულებაში უჯრედის ამა თუ იმ წევრის შესახებ. ერთი სიტყვით, უჯრედის შემადგენლობის წმენდას ჩვენ შევუდექით, შეიძლება ითქვას „ცარიელი ხელებით", ესე იგი ისე, რომ კომისიების პორტფელებში არ ყოფილა თითქმის არავითარი დოკუმენტი, არავითარი ინფორმაცია, ეს იყო **უდიდესი ნაკლი,** რომელიც შემდეგ ყოველ ფეხის გადადგმაზე საგრძნობი იყო და არის ჯერ კიდევ, სანამ არ გათავებულა პირველი უჯრედის წმენდა უჯრედთა იმ რიცხვიდან, რომელიც წილად ხვდა თვითეულ კომისიას. ეჭვს გარეშეა, რომ შემდეგ უჯრედს კომისიები შეუდგებიან უფრო მეტი გამოცდილებით, უფრო მეტი მასალით ხელში და ამნაირად გამოსწორებული იქნება ის ნაკლი, რომელიც აკლდა კომისიების მუშაობას დასაწყისში. ამისთვის საჭიროა კომისიები არ შეუშინდნენ იმას, რომ, გამოცხადებულ კალენდარულ გეგმასთან შედარებით, უფრო დაგვიანებით გაათავონ დაწყებული საქმე, ვინაიდან თვით ეს გეგმა უნდა იქნეს გაგებული, როგორც საორიენტაციო და არა სრული ასი პროცენტით გასატარებელი იმ სახით, როგორც ის იყო გამოცხადებული. ეს ცხადია, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ამა თუ იმ უჯრედის მრავალგვარ თავისებურებასთან, რომელიც შეუძლებელია სისრულით იქნეს გათვალისწინებული გეგმაში, რა რიგ სიფრთხილით არ უნდა იყოს ის შედგენილი, ამიტომ საჭიროა მეტი დრო მოვანდომოთ ბიუროსა და უჯრედის მუშაობის გაცნობას. ამისთვის საჭიროა დავესწროთ ბიუროს სხდომას, ზოგჯერ აქტივის მონაწილეობითაც, სადაც კომისია დაწვრილებით მოუსმენს ამხანაგებს, როგორც მდივანს, ისე სხვებს, გაეცნობა რაიკომიდან მიღებულ დახასიათებას უჯრედისას, არა ისეთ დახასიათებას, რომელიც შედგენილია რაღაც ტრაფარეტული წესით და, ვითომ ტელეგრამისებური ლაკონიურობით, მოკლეთ, მშრალად, არამედ რომელიც აშენებულია ფაქტიურ მასალაზე, დასაბუთებულია აზრებით. ამას თან დაერთვის საკონტროლო და სხვა ორგანოების მასალა და ამ გზით შევძლებთ მოვემზადოთ თვით ინდივიდუალური წმენდისათვისაც უჯრედის სხდომებზე, რომელთაგან პირველი კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ მოისმენს და განიხილავს მდივნის ანგარიშს.

ამ წესით, ასეთი შესწავლის შემდეგ კომისიის მუშაობის უნარიანობაზე და ამხანაგებზე, მათ დახმარებაზე, იქნება დამოკიდებული რამდენად წარმატებით ჩავატარებთ უჯრედის წევრების შემოწმებას და წმენდას და რამდენად გავამართლებთ იმ იმედებს, რომლებსაც პარტია ამყარებს ამ უდიდეს კამპანიაზე.

კომისიის წევრი.

სოფლის ბოლშევიკებო! თქვენ უნდა იყოთ მოწინავე რაზმში გლეხურ მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში

პარტუჯრედები და სოფლის კოლექტივიზაცია

პარტიის მთავარი ამოცანის — დაქსაქსულ, წვრილ - გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის პრაქტიკული განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს სოფლის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობითი როლის და უშუალო პრაქტიკულ მონაწილეობის გაძლიერებას კოლექტივიზაციის საქმეში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით სერიოზულ მნიშვნელობას ღებულობს დღეს, როდესაც კოლმეურნეობათა მოძრაობა ცალკე ცდების ვიწრო ფარგლებს გასცდა და მან უკვე მასიური ხასიათი მიიღო. ეს გარემოება იწვევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების აშკარა იერიშებს კოლმეურნეობათა წინააღმდეგ, ან და მათ მიერ ბრძოლის სხვა უფრო „ლოიალურ" ფორმების გამოყენებას კოლექტივიზაციის იდეის სახელის გასატეხად.

უდაოა, რომ წარსულთან შედარებით ამ მხრივ ჩვენს სოფლის უჯრედებს წინსვლა ახასიათებს, მრავალმა კომუჯრედმა შესძლო ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლექტიურ მშენებლობაში ჩაბმა, მაგრამ იმის თქმა, რომ საქმე ყველგან და ყოველთვის რიგზე იყოს, მეტად მავნე და სახიფათო თავის მოტყუება იქნებოდა.

ჯერ კიდევ ბევრგან სოფლის უჯრედები არ ჩასდგომიან სათავეში კოლექტიურ მოძრაობას, არ ხდება ღარიბი და საშუალო გლეხობის წინასწარი მომზადება კოლმეურნეობებზე გადასვლისათვის.

ჯერ ყველგან არ არის მიღწეული ის მდგომარეობა, რომ, ახალი კოლექტივების ორგანიზაციის საქმე ჩვენი კომუჯრედების ინიციატივის შედეგი იყოს. კოლექტივების ისტორიის უშუალო შესწავლა, ხშირ შემთხვევაში აშკარავებს იმას, რომ, **უჯრედები განზე დგანან ამ საქმიდან და ინიციატივა უმთავრესად ცალკე გლეხებიდან გამომდინარეობს.** ამას კი შედეგად მოსდევს კოლმეურნეობათა სტიქიური აღმოცენება, წვრილი კოლექტივების დაარსება, რომელთაც სასიცოცხლო ნიშან წყალი თავიდანვე არ უჩანთ და დასაშლელად არიან განწირულნი. ასეთი გარემოების მიზეზია, აგრეთვე ცრუ კოლექტივების შექმნა, კულაკობის მეთაურობით.

კახეთის მაზრაში კოლმეურნეობიდან 8 თვის განმავლობაში 450-მდე ოჯახი გამოვიდა, მრავალი ცრუ კოლექტივი დაიშალა და მრავალი კიდევ განაგრძობს არსებობას. თვით კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორების დასკვნით, საჭიროა დაშლილ იქნეს კახეთის მაზრაში კიდევ 16 კოლმეურნეობა, როგორც ცრუ კოლექტივი. ყოველივე ეს პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტის უშუალო შედეგია.

მეორეს მხრივ წინასწარ პირობების შეუსწავლელობას და გლეხობის მოუმზადებლობას ხშირად მივყევართ ისეთ გარემოებამდე, რომ კოლექტივი გარშემორტყმულ გლეხობაში სიმპატიის და ავტორიტეტის დამსახურების ნაცვლად აღელვებას და სიძულვილს იწვევს. ეს ხდება განსაკუთრებით ძვირფას კულტურათა რაიონებში. კახეთის მაზრაში ბევრჯერ ჰქონდა ადგილი კოლექტივებისა და კერძო გლეხების ურთიერთობის გამწვავების შემთხვევებს, რადგან კოლექტივები ზოგჯერ თავის ფარგლებში აქცევდნენ გლეხების ახლად გაშენებულ ვენახებს, საშუალო და ხან კი ღარიბ გლეხების საუკეთესო სახნავ მიწებს, ყოველგვარი წინასწარი მორიგების გარეშე. ასეთი ღრმა შეცდომებით გამოწვეულ გულისწყრომაზე ხელს ითბობს სოფლის კულაკური ელემენტი და საერთოდ კოლექტიური მოძრაობის ყველა მოწინააღმდეგე.

არ შეიძლება, რომ აქედან ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო დასკვნა არ გააკეთონ. მდგომარეობის ასე გაგრძელებას შეუძლიან მეტად არასასურველი შედეგი მოგვცეს. სოფლის პარტუჯრედებმა მეტი სიფხიზლე და სიბეჯითე უნდა გამოიჩინონ კოლმეურნეობათა მშენებლობის მოწესრიგებისთვის. ღრმა ახსნა-განმარტებითი მუშაობა, დაშვებულ შეცდომათა დაუყოვნებლივი გამოსწორება, კულაკური აგიტაციის ალკვეთა და ღარიბი და საშუალო გლეხობის აქტივის ჩაბმა კოლექტიურ მოძრაობაში — ასეთი უნდა იყოს სოფლის კომუჯრედების ძირითადი ამოცანა

არა ნაკლებ სერიოზულ ნაკლულოვანებებს აქვს ადგილი უჯრედების ხელმძღვანელობაში არსებულ კოლექტივების მიმართ. ჩვენმა უჯრედებმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინეს საჭირო გარდატეხა თავიანთ მუშაობის შინაარსში სამეურნეო ცხოვრების საკითხების დროულად და ღრმად განხილვის მხრივ. უჯრედების გეგმები მეტად სუსტად ითვალისწინებენ კოლმეურნეობათა მდგომარეობის საკითხებს, ისინი მეტ შემთხვევაში არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ კოლექტივებში მომუშავე კომუნისტებს. კოლმეურნეობებზე პარტმიმაგრებულთა სისტემა, რომელიც რუსეთის სინამდვილეში დიდ ნაყოფს იძლევა, ჩვენში თითქმის არსად არ არის შემოღებული. მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა უჯრედების სუსტი ხელმძღვანელობის დასამტკიცებლად, მაგრამ საკმაოდ მიგვაჩნია რამდენიმე ცოცხალი ფაქტით დავკმაყოფილდეთ.

სოფ. მირზაანის კომუჯრედმა, რომელიც 8 კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს, მთელი ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ 22 სხდომაზე მხოლოდ ერთხელ დასვა ერთი კოლექტივის მოხსენება, რომლის გარშემო არავითარი პრაქტიკული ღონისძიებაბი არ მიუღია.

სოფ. ტიბაანის უჯრედის 25 ოქმში, ვერ შეხვდებით ვერც ერთ საკითხს კოლექტივების მდგომარეობის შესახებ. **სოფ. წითელ წყაროში,** არსებობს ერთის მხრივ კულაკების კოლექტივები, მეორეს მხრივ უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოჯამაგირეობისაგან შემდგარი კოლმეურნეობა. კომუჯრედმა არ იცის რამდენი კოლექტივია მის სოფელში.

სრული უმოქმედობის და უვიცობის სურათს იძლევა **სოფ. ჯაფარიძის** უჯრედი. ამ სოფელში არსებობს ორი კოლმეურნეობა, რომელთა მუშაობაში ცრუ კოლექტივების ნიშნები გაცილებით მეტია, ვიდრე ნამდვილი კოლმეურნეობის. სათავეში სდგას ვინმე გორობინეკა, შეძლებული პირი, წარსულ საბჭოთა არჩევნების დროს ის კულაკების აქტიური ხელმძღვანელი იყო. კოლექტივში ირიცხებიან მოტორიანი წისქვილის და ზეთის სახდელ ქარხნის მეპატრონენი. კოლექტივი აქირავებს ძვირ ფასებში მანქანა-იარაღს, ეწევა სპეკულიაციას პურით, მოსავალს არ აბარებს საკრედიტო ამხანაგობას და ჰყიდის კერძო ბაზარზე, არ ღებულობს თავის რიგებში ღარიბებს და სხვ. ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება პარტუჯრედის გულისყურს არ უნდა გამოჰპაროდა და დროზე უნდა ყოფილიყო მიღებული ზომები მის გამოსასწორებლად, მაგრამ კომუნისტებმა არც იციან რა ხდება მათი ცხვირის წინ. **„ჩვენ ამის შესახებ არავითარი მოწმობა არ გვქონია და არავითარი ზომები არ მიგვიღია"** — ასე დააყენეს საკითხი ადგილობრივმა კომუნისტებმა, **„როგორ უხელმძღვანელოთ, როცა კოლექტივის კრებაზე არ გვიშვებენ"** — დაუმატეს სხვებმა.

მეტად დამახასიათებელია ზოგი სოფლელი კომუნისტის დამოკიდებულება კოლექტიურ მშენებლობისადმი, მრავალია ფაქტი, რომ, კომუნისტები გაურბიან კოლექტივში შესვლას, მიმართავენ ყოველგვარ ხერხს, იგონებენ სხვადასხვა მიზეზს, რათა ხელი იგდონ „გასამართლებელი" საბუთი კოლექტივში შეუსვლელობისათვის.

სოფ. ნუკრიანში არსებობს ორი კოლექტივი 27 მეურნეობით, რომელშიც მხოლოდ 1 კომუნისტი და 2 კავშირელი ირიცხება, ორგანიზაცია კი აერთიანებს 30-მდე კომუნისტს და 100-ზე მეტ კომკავშირელს. **სოფ. წინანდალში,** პარტიის 200-მდე წევრიდან და კომკავშირელიდან, მხოლოდ 11-ია კოლმეურნეობებში ჩაბმული. ამავე თემის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, პარტიის წევრი, არსებული კოლექტივების და მათში შესვლის კატეგორიული მოწინააღმდეგეა.

სოფ. ზემო მაჩხაანში 6 პარტიულიდან მხოლოდ 1-ია შესული კოლექტივში, დანარჩენები კოლექტივში შეუსვლელობის მიზეზად ასახელებენ ისეთი სახის სამსახურს, როგორიცაა სახ. დაზღვევის ანარიცხების ამკრეფად ყოფნა, თვითდაბეგვრით გაწერილ ფულის შეგროვება, აღმასკომის დარაჯობა და სხვა. ვამტკიცებთ, რომ ამ თანამდებობაზე ისინი მოეწყვნენ სწორეთ იმ მიზნით, რომ სამსახური კოლექტივში შეუსვლელობის „გასამართლებელ საბუთად" გამოიყენონ.

სოფ. ანაგის ორ კოლექტივში პარტიის არც ერთი წევრი არ შედის, პირიქით ყველანი თანდათანობით გამოსულან კოლექტივიდან იმის შიშით, რომ „დადგება მამულების განსაზოგადოებრივობის საკითხი". „ჩვენ ცალკე გვინდა კომუნისტების კოლექტივის დაარსება" —ასეთია მათი მოტივი.

დასახელებული მაგალითები, აშკარად მოწმობენ, თუ რამდენად არ აქვს შეგნებული ზოგ სოფლის კომუნისტს კოლმეურნეობების მნიშვნელობა და რა მაგალითის მიმცემია ის უპარტიო გლეხობისთვის.

აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც ცალკე კომუნისტები კოლმეურნეობის აშკარა ხელის შემშლელების როლშიაც გამოდიან და თავიანთი უმსგავსო მოქმედებით კოლმეურნეობანი დაშლამდე მიჰყავთ. **სოფ. ვეჯინში,** კოლექტივი „წითელი ნაპერწკალი"-ს, მიწად მოწყობის დროს, ადგილი ჰქონდა კულაკების სასტიკ წინააღმდეგობას, საქმის გამორკვევამ გამოააშკარავა, რომ კულაკების მოძრაობას თვით ადგილობრივი კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

სოფ. ვაქირში, მიუხედავათ ღარიბ გლეხობის დიდი სურვილისა, დღევანდლამდე არც ერთი კოლმეურნეობა არ არსებობს, მიზეზი ადგილობრივ გადაგვარებულ და გამდიდრებულ პარტ-წევრების მოქმედებაა. ეს „კომუნისტები" კულაკებისაგან სახლებს ყიდულობენ, გლეხობიდან მოწყვეტილნი არიან და თავიანთ დღეებს უმსგავსო დროს ტარებაში კლავენ.

მეტად დამახასიათებელია აგრეთვე **სოფ. ურიათუბნის** კომუნისტების საქციელი. ამ სოფლის კომუნისტების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ იქნა კოლექტივი, რომლის ფარგლებშიც მოჰყვა 16 საშუალო და ღარიბ გლეხის მამული. აღნიშნულ გარემოებამ აღელვება გამოიწვია გლეხობაში, იმის გამო, რომ მათ სამაგიერო მიწით არ აკმაყოფილებდნენ. კოლექტივში შესულმა კომუნისტებმა კი თავიანთი მამულები ახლო ნათესავებს გადასცეს. როდესაც დადგა საკითხი გლეხების მათი მამულების დაკმაყოფილების შესახებ, კომუნისტებმა დაუყოვნებლივ მიატოვეს კოლექტივი და ბევრი უპარტიოც თან გაიყოლიეს.

ეს მასალა სრულ საფუძველს იძლევა შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად. სოფლად მრავლად მოიპოვება ისეთი კომუნისტი, რომელიც არ ვარგა ახალი ცხოვრების ხელმძღვანელად, რომელიც თავისი უმსგავსო საქციელით სახელს უტეხს პარტიას და მის წამოწყებებს. **მიმდინარე პარტ-წმენდამ დაუნდობლად უნდა მოაცილოს პარტიას ასეთი ელემენტები.**

მეორეს მხრივ თვითეულ კომუნისტს გადაჭრით უნდა მოეთხოვოს ხელმძღვანელ პარტორგანოთა დადგენილებების შესრულება: ის უნდა იყოს კოლექტიურ მშენებლობის აქტიური მონაწილე.

საჭიროა უჯრედის გეგმებში უფრო მეტი ადგილი დაეთმოს აღნიშნულ საკითხებს, გაძლიერდეს ხელმძღვანელობა საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციაზე, კოლმეურნეობათა მშენებლობაში მათი აქტიურად ჩაბმის მხრივ.

თვითეული ახალი საქმე უსათუოდ მრავალი ნაკლით და ზოგჯერ დამარცხებით ხასიათდება. ამ ნაკლთა გადალახვა კი გაბედულ ხელმძღვანელობას საჭიროებს. კოლექტიურ მშენებლობის საქმეში ასეთი გაბედული ხელმძღვანელობის როლი მხოლოდ და მხოლოდ სოფლის უჯრედებს, სოფლის კომუნისტებს უნდა ეკუთვნოდეს.

თ. ქ—ლი.

კვალიფიციურ მუშების მომზადება

უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში სათანადო სკოლების საშუალებით მრეწველობისათვის მომზადებული იქნება 14.018 მუშა, სასოფლო მეურნეობისათვის — 3.199.

ვინაიდან პირველ წლებში საჭირო იქნება კვალიფიციურ მუშების დიდი რაოდენობა (ახალი წარმოების ამუშავების გამო), ამიტომ კვალიფიციურ მუშების მომზადება იწარმოებს მოკლევადიან კურსების საშუალებითაც.

1929 — 30 წლიდან გაიხსნება შემდეგი საქარხნო - საფაბრიკო სკოლები: 1 საფეიქრო სკოლა თბილისში, 2 სამთო სკოლა ჭიათურაში, ერთი სატყეო სკოლა ბზიფში, 3 საამშენებლო და 1 საგზაო სკოლა ქუთაისში, 1 სამთო სკოლა ტყვარჩელში, კერამიკული მცხეთაში, სატრანსპორტო—სოხუმში და სატრაქტორო - მექანიკური ქუთაისში. ამჟამად არსებობს 11 ასეთი სკოლა, 5 წლის განმავლობაში გაიხსნება 10 ახალი სკოლა.

პროფსკოლები ინდუსტრიალური განხრით ამჟამად არსებობს 2: ერთი ძირულაში (კერამიკული) და ერთიც ფოთში (საზეინკლო - სახელოსნო).

1929 — 30 სასწავლო წლიდან 5 წლის განმავლობაში გაიხსნება 6 პროფსკოლა. გარდა ამისა პროფსკოლებად გადაკეთებულ იქნება 21 ჭრა - კერვის სკოლა.

შინამრეწველობის დარგში კვალიფიციურ მუშა - ხელის მოსამზადებლად სასწავლო - საჩვენებელი სკოლები გაიხსნება: ხალიჩების საქსოვი 2 სკოლა, (კახეთსა და ბორჩალოში), ხის ნაწარმოების დამამზადებელი სკოლა რაჭა - ლეჩხუმში, ლითონის დამმუშავებელი სკოლები ქუთაისსა და ახალციხეში, ქვაზე მომუშავეთა სკოლა ქუთაისში, ხის დამმუშავებელთა — სამხრეთ-ოსეთში და კერამიკული — შორაპნის მაზრაში.

სასოფლო სამეურნეო დარგის კვალიფიციურ მუშაკების მოსამზადებლად გაიხსნება 14 სკოლა. სასოფლო სამეურნეო სკოლებში მოწაფეობა შეისწავლიან მებაღეობას, მეფუტკრეობას, მერძეობას, ტეხნიკურ კულტურის მეურნეობას და სხვ.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან--კვირამდე)

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განახლების საკითხი ინგლისში.—პუანკარეს ანტისაბჭოთა გამოსვლა.—მაროკოს ტომები კვლავაჯანყდნენ.—ბრიანის მემორანდუმი ავსტრიის შესახებ.—გუვერი და იუნგის გეგმა

წინანდელ მიმოხილვაში ჩვენ მოვიყვანეთ ზოგიერთი ინგლისურ და ამერიკულ გაზეთების ცნობა, თითქო მაკდონალდის მთავრობას განზრახული ქონდეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა განაახლოს ამერიკასთან შეთანხმების მიღწევის შემდგომ. მაგრამ ინგლისის და ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობა იმდენად ღრმაა და მწვავე, რომ მათი რაიმე შეთანხმება, თუ გინდ დროებითი და მოჩვენებითი, კიდეც რო მოხდეს, — ეს ახლო მომავლის საქმე ვერ იქნება. ამავე დროს კი მაკდონალდებმა ამომრჩევლებს სრულიად გარკვეული დაპირება მისცეს ჩვენთან დამოკიდებულების დაუყოვნებლივ განახლების შესახებ, თუ ისინი ძალა-უფლებას სათავეში მოექცეოდნენ.

აგრეთვე იუწყებოდნენ, რომ მაკდონალდი ფიქრობს შუამავლობა იკისროს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის და უკანასკნელზე ერთგვარი გავლენა მოახდინოს ჩვენი ცნობის საკითხში. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ ამგვარ „მზრუნველობაზე" გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ „მუშათა" მთავრობა ამ მხრივ თვით მისცემდა ამერიკას რეალურ მაგალითს, და ჩვენთან დამოკიდებულებას დროზე აღადგენდა.

საერთოდ მეტად საეჭვოდ გამოიყურებოდა ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის დაკავშირება ინგლის - ამერიკის დამოკიდებულებასთან. აქ ერთიანი ხაზის გამომუშავება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არსებითად შეიძლება მთლიან ანტი-საბჭოთა ფრონტად ქცეულიყო, რა რიგ „უწყინარ" ფორმებშიც არ ჩამოყალიბებულიყო იგი გარეგნულად.

უდავოა, რომ ვაშინგტონისათვის მიუღებელია რომელიმე სხვა სახელმწიფოს, კერძოდ ინგლისის ჩარევა მის პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ, რამდენადაც ეს ამ პოლიტიკის ერთგვარ შეზღუდვას ნიშნავს. მისთვის უმჯობესია ჩვენთან სრულიად დამოუკიდებლად განავითაროს ურთიერთობა: ასეთ პირობებში მას იმედი აქვს, რომ ის მეტ სარგებლობას ნახავს და ამ მხრივ სხვა ქვეყნებს გაუსწრებს.

შესაძლებელია, რომ ვაშინგტონის ახალმა ელჩმა ლონდონში, დაუესმა მაკდონალდთან შეხვედრის დროს მას აგრძნობინა, რომ მაკდონალდის ზემოხსენებული შუამავლობა უადგილოა და რომ ამერიკას დამოუკიდებლად სურს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების მოგვარება. ამასთან, ინგლისში უკმაყოფილება იზრდება, რომ მაკდონალდი მიუხედავად დაპირებისა, აგვიანებს ჩვენთან ურთიერთობის განახლებას. რომ არ ვილაპარაკოთ მუშათა მასებზე, რომელნიც საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას მოითხოვენ, თვით საქმიანი წრეები დიდად არიან დაინტერესებული ჩვენთან აღებ-მიცემობის გაფართოებით, რის წინასწარი პირობაა საბჭოთა კავშირთან ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენა. ამ წრეების განწყობილებას გამოხატავს ლოიდ ჯორჯი, რომელმაც ამას წინად წამოაყენა წინადადება ჩვენთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლების შესახებ. აქ ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ლოიდ ჯორჯს ამ შემთხვევაში ამოძრავებს მოტივი განამტკიცოს თავისი შინაური მდგომარეობა და მაკდონალდი თავის გავლენას დაუმორჩილოს

როგორადაც არ უნდა იყოს, ყოველივე ეს აიძულებს მაკდონალდის მთავრობას დააჩქაროს ჩვენთან ურთიერთობის განახლება. ამ მხრივ საგულისხმოა „დეილი ჰერალდ"-ის დიპლომატიური მიმომხილველის განცხადება, რომ უაზროა ხმები, თითქო ინგლის - ამერიკის დამოკიდებულების მოგვარებამდე გადაიდო საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება. შემდეგ ის დასძენს, რომ ნაბიჯები საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღსადგენად გადადგმული იქნება ახლო მომავალში, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება. თანამშრომელი „დეილი ჰერალდი"-სა, რომელიც მთავრობის ოფიციოზია, უნდა ვიფიქროთ, შემოწმებულ ინფორმაციას ემყარება. მაგრამ მაინც ეჭვს იწვევს სიტყვები— „როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება"-ო. რატომ არ არის დაუყოვნებლივ შესაძლებელი ამ ნაბიჯის გადადგმა, მით უმეტეს, როცა, ხსენებულ მიმომხილველის თქმითვე, ძალაში რჩება საბჭოთა კავშირის ცნობა მაკდონალდის პირველი მთავრობის მიერ. აგრეთვე საყურადღებოა მიმომხილველის განცხადება, რომ შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ „შეუდგებით მოლაპარაკებას სადავო საკითხების მომწესრიგებელ ხელშეკრულების შესახებ"-ო. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ჩვენ 1924 წ. დავდევით ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მთავარ სადავო საკითხების მოგვარებას. ხომ არ სურს მაკდონალდის მთავრობას ახალი, ჩვენთვის მიუღებელი პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის პირობები წამოაყენოს და ამრიგად უკან დაიხიოს 1924 წ. პოზიციასთან შედარებით. მაგრამ როგორადაც არ უნდა სურდეს ეს „მუშათა" მთავრობას, რომელიც ინგლისის კაპიტალის და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის ინტერესების გამტარებელია, ის იძულებული გახდება გადაჭარბებულ პრეტენზიებზე ხელი აიღოს. ამას უკარნახებენ მას ინგლისის ეკონომიური კრიზისი და მისი გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეთი — საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და სიძლიერე.

* * *

მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხი ინგლისში დღის წესრიგში სდგას, მაშინ, როდესაც ამერიკაშიაც ამ მიმართულებით, ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობის გაფართოების საფუძველზე, მოძრაობა ძლიერდება, — ამ დროს საფრანგეთის პრემიერი პუანკარე მკაცრად ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ. მან ამერიკულ ჟურნალ „ფორვეინ-აფფერს"-ში მოათავსა პროვოკაციით აღსავსე წერილი საბჭოთა კავშირის შესახებ, თუმცა მას კონკრეტულად არ ასახელებს.

იგი წერს: „ევროპას გააჩნია არა სახარბიელო პრივილეგია — აღმოსავლეთით მეზობლად ჰყავს საიდუმლოებით მოცული სახელმწიფო, რომლის პოლიტიკურ რეჟიმს არაფერი აქვს საერთო სხვა ცივილიზაციურ ქვეყნების სახელმწიფოებრივ წყობილებასთან". პუანკარე, რა თქმა უნდა, მოწადინებულია ეს „არასახეირო პრივილეგია" მოაშოროს ევროპას და იგი ისევ ოცნებობს საბჭოთა კავშირის განადგურებაზე და ამ მიზნით მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნაზე.

საბჭოთა კავშირს არაფერი აქვს საერთო „ცივილიზაციურ" ქვეყნების წყობილებასთანო. მართლაც, სად პროლეტარიატის დიქტატურა, განთავისუფლებულ შრომის და თანასწორუფლებიან ხალხთა სამშობლო, მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკის მატარებელი ხელისუფლება და სად ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც მშრომელთა მხეცური ექსპლოატაციით, ერების უკიდურესი ჩაგვრით და სისხლისმღვრელი ომებით ხასიათდება! და ამ მხრივ იმპერიალისტებისათვის საბჭოთა კავშირი „საიდუმლოებით მოცული სახელმწიფოა".

მაგრამ პუანკარე, ცხადია, ამ თვალსაზრისით არ უდგება საკითხს. „სულ მცირე, რაც შეიძლება ამ (საბჭოთა) რეჟიმზე ითქვას,— განაგრძობს ის, — ეს ისაა, რომ იგი პროგრესიულ იდეების საფარველ ქვეშ მიისწრაფვის გაალიზიანოს ყველაზე უფრო მდაბალი, რეაქციონური ვნებანი". პუანკარე ვერ ბედავს იმის უარყოფას, რომ საბჭოთა სისტემა პროგრესიულ იდეებს აყენებს. ამისათვისაც „მადლობელი ვართ". აქედან ლოღიკური დასკვნა ისეთი უნდა იყოს, რომ კაპიტალისტური წყობილება, პირიქით, დრომოჭმულ, რეაქციონურ იდეების მატარებელია. ეს ხომ ასეა, მაგრამ პუანკარეს ამის აღიარებას აბა როგორ მოვთხოვთ! რაც შეეხება მის მტკიცებას, რომ ჩვენ პროგრესულ იდეებს რეაქციონურ გრძნობების გასაღიზიანებლად ვიყენებდეთ, პუანკარეს ალბად ასეთ გრძნობების გაღვივებად მიაჩნია კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა, რასაც ხელს უწყობენ თვით არსებობა პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი წარმატებანი.

იგი უფრო შორს მიდის: „თვით იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ეს სახელმწიფო ოფიციალურ დამოკიდებულებაში იმყოფება, ის ამტკიცებს კონტაქტს ყველა იმასთან, ვინაც არევ - დარევა შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში"-ო. ამგვარად, საფრანგეთის პოლიტიკის მესვეური პირდაპირ გვიყენებს ბრალდებას, თითქო საბჭოთა მთავრობა ერეოდეს სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში და მათთან ოფიციალურ ურთიერთობას იქ არსებულ წყობილების ასაფეთქებლად იყენებდეს. ამ პროვოკაციის გაბათილება ზედმეტად მიგვაჩნია. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელნი იბრძვიან კაპიტალის ბატონობის დასამხობად და ამ მხრივ გამარჯვებული საბჭოთა პროლეტარიატის მაგალითი მათთვის უეჭველად წამქეზებელ როლს თამაშობს. და პუანკარე „მოითხოვს", რომ საბჭოთა კავშირმა ხელი აიღოს ასეთ როლზე, ე. ი. მოახდინოს თავის არსებობის თვითლიკვიდაცია. ამ ახირებულ პრეტენზიაზე შეჩერება არ ღირს. ამასთან პუანკარე „გულუბრყვილოდ" სდუმს იმაზე, თუ რა იწვევს „ქვეყნის" [illegible] გაღიზიანებას [illegible] შორის, ე. ი. რევოლუციონურ მოძრაობას, და რატომაა საბჭოთა კავშირის მაგალითი მათთვის წამახალისებელი; იგი, ცხადია, არაფერს ამბობს იმაზე, რომ რევოლუციონურ ბრძოლას კაპიტალისტური რეჟიმი, მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაცია იწვევს.

რა აზრი აქვს პუანკარეს ამ გამოსვლას? მისი მიზანია ინგლისისა და ამერიკის მხრით საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის საქმის ჩაფუშვა სწორედ იმ მომენტში, როცა ეს საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. საფრანგეთის იმპერიალიზმი კისრულობს მთლიანი ანტი - საბჭოთა ფრონტის ორგანიზაციას და ბურჟუაზიულ მსოფლიოს „ჯვაროსნულ ომებისაკენ" მოუწოდებს მუშურ - გლეხურ ქვეყნის დასამხობად.

მაგრამ დღეს - დღეობით ეს ფუჭი ცდაა. უდავოა, რომ ინგლისი იძულებული გახდება პუანკარეს „რჩევას" ანგარიში არ გაუწიოს და ჩვენთან ურთიერთობა განაახლოს. ამერიკაც სულ უფრო ანვითარებს ჩვენთან საქმიან დამოკიდებულებას, რომელიც ბოლოს საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ცნობით უნდა დამთავრდეს. ამას დაჟინებით მოითხოვენ ორივე ქვეყნის ეკონომიური ინტერესები. ახე, რომ თვითონ საფრანგეთმა ანტი - საბჭოთა პოლიტიკის ძველებურად გაგრძელებით საგრძნობი ზიანი შეიძლება ნახოს.

მაგრამ პუანკარეს გამოსვლა მაინც გამაფრთხილებელია. ის ერთხელ კიდევ მოგვაგონებს იმპერიალისტების ანტი - საბჭოთა ზრახვებზე და მათ მზადებაზე ჩვენზე თავდასხმისათვის. ამ მხრივ ჩვენს სიფხიზლეს ცხადია, ვერ მოადუნებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფო დაადგა ან ადგება საბჭოთა კავშირთან დაახლოების გზას.

* *

როგორც დავინახეთ, პუანკარე „ცივილიზაციის" სადარაჯოზე დგას „ბოლშევიკურ ბარბაროსობის" წინააღმდეგ. თუ რა ხასიათისაა ეს ნაქები ცივილიზაცია, ამას, სხვათა შორის, კარგად გვიჩვენებს ის ამბები, რომლებიც ამჟამად მაროკოში ხდება.

მაროკოს (ჩრდილოეთ - სამხრეთ აფრიკა) უდიდესი ნაწილი საფრანგეთის „მფარველობის" (პროტექტორატის) ქვეშ იმყოფება, ხოლო დანარჩენი ნაწილი ესპანეთს ეკუთვნის. საფრანგეთი (აგრეთვე ესპანეთიც თავის შესაძლებლობის მიხედვით) ენერგიულ მუშაობას ეწევა იქ „ცივილიზაციის" დასანერგავად, ე. ი. მაროკოს ტომების სრული დამონებისათვის და მათი გაძვალტყავებისათვის. ამ რამოდენიმე წლის წინად ფრანგ მოძალადეების დევნით და შევიწროვებით მოთმინებიდან გამოყვანილმა მაროკოელებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. აჯანყება, თუმცა მან მეტად ფართე და სერიოზული ხასიათი მიიღო, ბოლოს მაინც განადგურებულ იქნა საფრანგეთის ჯარებით, მისი ზარბაზნებით და აეროპლანებიდან გადმოყრილი ყუმბარებით. მოძრაობის მეთაური აბდულ ქერიმი იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. საფრანგეთის მთავრობას იმდენი უტიფრობა ეყო, რომ მაროკოს ხალხთა ეს მოძრაობა მან საფრანგეთზე თავდასხმად გამოაცხადა, ხოლო საფრანგეთი კი მათი „აგრესიულ" გამოსვლებისაგან თავდამცველ მხარედ. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისზე დადგნენ „სოციალისტებიც", რომლებმაც ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს მაროკოში ომის საწარმოებლად.

ამის შემდეგ აჯანყებები ხშირი მოვლენა იყო, მაგრამ მათ შესახებ კანტი - კუნტად თუ ქვეყნდებოდა ცნობები. ამჟამად კი კვლავ ისეთი დიდი ბრძოლის მოწმენი ვართ, რომლის დამალვა შეუძლებელი შეიქნა. საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს განცხადებით, ფრანგ ჯარების დანაკლისი აჯანყებულებთან შეტაკების დროს ერთ-ერთ რაიონში უდრის 81 მოკლულს და 38 დაჭრილს. რა თქმა უნდა, მაროკოელების მსხვერპლი ამას ბევრად აღემატება. სამხედრო მინისტრმა პენლევემ დეპუტატთა პალატაში ფართედ გადაშალა მაროკოში საფრანგეთის იმპერიალიზმის თანდათანი „მშვიდობიანი" შეჭრის პროგრამა. უდავოა, რომ „სოციალისტები" ეხლაც არსებითად მხარს დაუჭერენ მას, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ისინი რაიმე ბრძოლას არ გაუმართავენ საფრანგეთის იმპერიალიზმის კოლონიალურ მტაცებლობას.

როგორც აბდულ ქერიმის აჯანყების დროს, ისე ეხლაც, გასაგებია: მხოლოდ კომპარტია ამხელს შეუბრალებლად საფრანგეთის იმპერიალიზმს, მის აგენტებს „სოციალისტებს" და რაზმავს მასებს ომის წინააღმდეგ.

აჯანყება მაროკოში ერთ - ერთი გამოხატულებაა იმ განმანთავისუფლებელ მოძრაობისა, რომელიც ფართოდ ვითარდება მთელ აღმოსავლეთში. კაპიტალისტურ ქვეყნების მუშების რევოლუციონურ ბრძოლასთან ერთად ეს მოძრაობა იმპერიალიზმის მოახლოვებული დაღუპვის თავდებია.

* * *

კოლონიალურ მტაცებლობასთან ერთად საფრანგეთის იმპერიალიზმი ბოლო დროს განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს თვით ევროპაში თავის ჰეგემონიის განსამტკიცებლად. ბრიანის მემორანდუმი ერთა ლიგის მიმართ ავსტრიის შესახებ ამ მხრივ საგულისხმოა.

მსოფლიო ომის ყოფილ ავსტრო - უნგრეთის იმპერიის ნანგრევებზე, როგორც ვიცით, მრავალი წვრილი სახელმწიფო აღმოცენდა, ხოლო ავსტრიის ძლიერება და როლი ძალზე შეზღუდულ იქნა. სხვათა შორის, სენჟერმენის ხელშეკრულების თანახმად ავსტრია განაიარაღეს და მას შეიარაღების უფლება წაართვეს. ავსტრიას უნდა ჰყოლოდა იმდენი სამხედრო ძალა, რამდენიც საკმარისი იყო შინაურ „წესრიგის" დასაცავად, ე. ი. რევოლუციონურ მოძრაობის ალსაკვეთად. ამ დადგენილების გასატარებლად ავსტრიაზე დაწესებულ იქნა მოკავშირეთაშორისო კონტროლი. ეს კონტროლი 1929 წლის 31 იანვარს გააუქმეს, რადგან სცნეს, რომ ავსტრიამ უკვე შეასრულა სენჟერმენის ხელშეკრულების ხსენებული მუხლი.

მაგრამ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ეხლა ოფიციალურად გამოდის და აცხადებს, რომ ავსტრია იარაღდებაო. ის მოითხოვს ამ ქვეყანაზე კონტროლის კვლავ აღდგენას. ჩვენ აქ არ შევეხებით, თუ რამდენად შეეფერება სიმართლეს ბრიანის ცნობა ავსტრიის შეიარაღების შესახებ. უფრო საყურადღებოა სხვა რამ. ავსტრიის მოსახლეობის 95 პროცენტი გერმანელებისაგან შესდგება. ამასთან, ავსტრია ეკონომიურად გერმანიასთანაა დაკავშირებული. დიდი ხანია გერმანიის და ავსტრიის ნაციონალისტები ამ ქვეყნების გაერთიანებაზე, უკეთ, მეორის პირველისადმი შეერთებაზე ოცნებობენ. ამ გზით მათ სურთ შექმნან დიდი იმპერიალისტური გერმანია, რომელიც ომის დროს დაკარგულ მდგომარეობას დაიბრუნებს და საფრანგეთს დაემუქრება. ამიტომაცაა, რომ საფრანგეთი არა მარტო გერმანიას, ავსტრიასაც არ აძლევს შეიარაღების საშუალებას და მათ დასუსტებას ცდილობს. ამიტომაა, რომ იგი მთელი ძალ - ღონით ილაშქრებს ამ ქვეყნის გაერთიანების წინააღმდეგ. ბრიანის ახლანდელი მემორანდუმი, ამგვარად, მიმართულია არა მარტო ავსტრიის, არამედ გერმანიის წინააღმდეგაც და მიზნად ისახავს მათზე თავის ბატონობის შენარჩუნებას. კერძოდ საფიქრებელია, რომ ესაა მანევრი რეინის ოლქის დაპყრობის გასაგრძელებლად. გერმანია სარეპარაციო შეთანხმების შემდეგ დაჟინებით მოითხოვს მის დაცლას, რის საპასუხოდ საფრანგეთმა შესაძლებელია მიუთითოს იმ საფრთხეზე, რომელსაც ვითომ ავსტრიის შეიარაღება ქმნის, რა კი თვითონ გერმანიის განიარაღება ოფიციალურად დადასტურებულია.

გერმანიაში მოიპოვებიან წრეები, რომელნიც საფრანგეთთან პოლიტიკურ კავშირის შექმნაზე და სამაგიეროდ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მთლიანი იმპერიალისტურ ფრონტის ორგანიზაციაზე ოცნებობდნენ. სარეპარაციო შეთანხმებამ ეს წრეები რამოდენიმედ აამოძრავა. ბრიანის გამოსვლა ავსტრიისა და გერმანიის წინააღმდეგ ერთ - ერთი გაკვეთილი უნდა იყოს ასეთი ელემენტებისათვის.

⁂

ეს სარეპარაციო შეთანხმება, რაზედაც ბევრი იმედს ამყარებს, როგორც ევროპის სახელმწიფოთა დაახლოვების და მშვიდობიანობის განმტკიცების ფაქტორზე, რა თქმა უნდა ამ მიზანს სრულებითაც არ ემსახურება. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ის, გარდა იმისა, რომ გამოიწვევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას გერმანიაში, რამდენადაც სარეპარაციო ტვირთი გერმანიის მშრომელ მასებს დააწვებათ, — გარდა ამისა, იგი გააძლიერებს ბრძოლას უცხოეთის ბაზრებისათვის: ექსპორტის საგრძნობლად გადიდების გარეშე გერმანია დაკისრებულ ვალდებულებებს ვერ გაანაღდებს, ხოლო ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ სხვა იმპერიალისტურ ქვეყნების ინტერესების შელახვის გზით.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ამერიკის პრეზიდენტი გუვერი უარს ამბობს იუნგის გეგმის რატიფიკაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე დაამტკიცეს საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებმა. ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ შეიძლება გუვერსა და იუნგს შორის რამე სერიოზულ წინააღმდეგობის არსებობაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იუნგის გეგმა საბოლოო არ არის; ის საფუძველია მთავრობათა მომავალი მოლაპარაკებისათვის. ამერიკის კაპიტალს არ სურს წინასწარ მოახდინოს ამ გეგმის რატიფიკაცია, რომ ხსენებულ მოლაპარაკების დროს მანევრების მეტი შესაძლებლობა შეინარჩუნოს და თავის ინტერესების სასარგებლოდ გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნებზე.

აქ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ გუვერს უნდა იუნგის გეგმის დამტკიცების საკომპენსაციოდ საფრანგეთი აიძულოს ინგლისთან კავშირის გაწყვეტაზე. მაშასადამე, გუვერის ნაბიჯი მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ. შემდეგ: ამერიკა კვლავ შეეცდება რეპარაციების საკითხი მოკავშირეთა ვალების პრობლემას ჩამოაშოროს, ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ცვლილებები შეიტანოს იუნგის გეგმაში, რომელნიც სარეპარაციო გადასახადებისაგან ამერიკას „ლომის კერძს" მიანიჭებენ.

სარეპარაციო კომპრომისი სულ ამას წინად იქნა მიღწეული, მაგრამ ახლაც იჩენს თავს უთანხმოება მის გარშემო. მომავალში ჩვენ, ეჭვს გარეშეა, მისი გაკოტრების მოწმენი შევიქნებით, ისევე როგორც დაუესის გეგმის გაკოტრების მოწმენი გავხდით. ცხადია, შეუძლებელია დაძლეულ იქნან კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის არსებული წინააღმდეგობანი, რომელნიც, სხვათა შორის, სარეპარაციო პრობლემაში მკაფიო გამოხატულებას პოულობენ.

ვ. კ—ლი.

კომუნისტები უკან რჩებიან

(დილომი, თბ. მაზრა)

სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ პერიოდში ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე გადაყვანა წარმოადგენს.

სოფლის კომუნისტი, როგორც მოწინავე რიგებში მდგომი, ინიციატორი უნდა იყვეს ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ამოცანის წარმატებით განხორციელების საქმეში. სოფლის კომუნისტი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვეს უპარტიო გლეხებისათვის. სამწუხაროდ, ზოგიერთ კომუნისტსა და კომკავშირელს, ზოგჯერ კი უჯრედსაც, ვერ შეუგნია თავისი დიადი მოვალეობა ამ მხრივ და ხშირად თავისი უხეში მუშაობით კიდევაც აფერხებს კოლექტივიზაციის საქმეს. მაგალითისათვის ჩვენ დავასახელებთ ს. დილომის საკანდიდატო ჯგუფის წევრთა მოქმედებას.

ამ სოფელში დაიწყო მოძრაობა კოლმეურნეობების ჩამოსაყალიბებლად. უპარტიო გლეხები დიდის ხალისით ჩაებნენ მოძრაობაში, პირველად ერთი კოლექტიური მეურნეობა ჩამოაყალიბეს, სადაც უმთავრესად ღარიბი გლეხები შედიოდნენ. მათ რიცხვში ორიოდე კომუნისტიც ერია. სამწუხაროდ, კომუნისტები მალე გამოვიდნენ კოლმეურნეობიდან და თავს იმით იმართლებენ, რომ „ძნელი და აუტანელია ჩვენთვის იქ მუშაობა"-ო. ასეთი დაუდევრობით ჩაიშალა გლეხობის ეს პირველი ცდა.

ამის შემდეგ გლეხები გაერთიანდნენ ორ არტელში: „გუთანი" და „მარანი". პირველი კოლექტივი მარცვლეულ კულტურების მოყვანას მისდევს, მეორე კი —მევენახეობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიაც კომუნისტები უკან ჩამორჩნენ უპარტიო გლეხებს და არტელებში მონაწილეობას არ იღებენ. მხოლოდ ერთი კანდიდატი ითვლება არტელ „გუთან"-ის წევრად.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის კომუნისტები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ პირდაპირ მოვალეობას და ყურადღებას არ აქცევენ უმაღლეს პარტორგანიზაციების მიერ მიცემულ დირექტივებს, აღნიშნული კოლექტივები ღარიბ გლეხების ინიციატივით მაინც სათანადო სიმაღლეზე დგანან.

პარტიის დირექტივებში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ როგორ სერიოზულად უნდა ეკიდებოდეს კოლექტივიზაციის საქმეს კომუნისტი. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კომუნისტი ამ საქმის დამწყები უნდა იყვეს, მან პირველმა უნდა აამოძრაოს გლეხობის ფართო მასა კოლმეურნეობებში ჩასაბმელად. დილომის კომუნისტები კი (და განა მარტო დილომის?) მოისუსტებენ ამ საკითხში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ერთგვარი გამოცოცხლება მათ მუშაობასაც დაეტყო.

ახალგაზრდობა უფრო მეტად არის დაინტერესებული კოლექტივიზაციის საქმით, ცდილობს გააღრმავოს ეს მუშაობა. დილომში, კომკავშირის ორი უჯრედი არსებობს; ერთი გლეხური და ერთიც გლ. ახ. სკოლასთან. სოფლის აგრონომის საერთო ხელმძღვანელობით მათ განიზრახეს მოაწყონ კოლექტივი მეცნიერულ ნიადაგზე და დაადგინეს: „8 საათი იმუშაონ კოლექტივში და ოთხი საათის იმეცადინონ თეორიულად". საჭიროა სათანადო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობის ინიციატივას და ხელი შეუწყონ ამ მნიშვნელოვან საქმის გამარჯვებას.

დილომის საკანდიდატო ჯგუფის მაგალითზე ჩვენ საერთოდ უნდა გამოვაფხიზლოთ სოფლის უჯრედები. შევაგნებინოთ მას თუ რა დიდი მოვალეობა აწევს ყველა კომუნისტს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. სოფლის პარტუჯრედებმა კარგად უნდა დაიხსომონ, რომ მათ აწევსთ უდიდესი მოვალეობა: დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება და მათი გადაყვანა სოციალისტურ რელსებზე.

ნ—ძე.

ასეთი გზით შორს ვერ წავალთ

(ქუთაისის მაზრა)

ზედა სიმონეთის თემის მცხოვრები, აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ნიკ. უკლება მანდატით კომუნისტია. მაგრამ, ერთ რამეში მას სრულიად „არ უშლის ხელს" კომუნისტური პარტიის წევრობა: იგი კულაკია, მას რამდენიმე დესეტინა მიწა ჩამოართვეს.

„კომუნისტი" უკლება, მოსახლეობაში გაფართოებულ აგიტაციას ეწევა, სოფლის კოლექტივიზაციის საწინააღმდეგოთ. ის შეიჭრა ახლად ჩამოყალიბებულ ს.-სამ. კოლექტივში და წევრებს შორის დაიწყო „საუბარი": „კოლმეურნეობა არაფერ სარგებლობას არ იძლევა, ეს თვალების ახვევაა"-ო და სხვ. ამავე დროს კოლ. მეურნ. წევრებს ემუქრებოდა: „არ გაბედოთ იმ ადგილებში ჩასვლა, რომელიც მე ჩამომართვეს, თორემ არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთ".

მიუხედავად „პარტიის ხაზის ასეთი დაცვისა" უკლება დღემდე კიდევ შემორჩა პარტიის რიგებს.

ოფურჩხეთის თემში ახლა ხან ჩამოყალიბდა სას.-სამ. კოლექტივი. მასში შედის რამდენიმე პარტიის წევრიც, მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთმა მათგანმა ეხლავე მიმართა დაქირავებული შრომის გამოყენებას. ერთ დღეს, როცა კოლექტივს მუშაობა ჰქონდა და მისი წევრები ყველა მინდორში უნდა მისულიყო, აღმოჩნდა, რომ პარტიის წევრები ვერა კვიმსაძე და შალ. ალხაზაშვილი არ არიან, მათ მაგივრად კი თოხებით მხარზე გამოცხადნენ ღარიბი გლეხები, რომლებიც კვიმსაძეს და ალხაზაშვილს დაექირავებიათ. ცხადია ასეთი წევრები კოლმეურნეობას შორს ვერ წაიყვანენ,

ზრ. ალალიანი.

აღმოვფხვრათ შრომის დეზერტირობა

(იანეთის თემი)

გაზ. „კომუნისტ"-ში ა.-წ. მარტში აღნიშნული იყო, რომ იანეთის თემის პარტიულები და კომკავშირელები გაურბიან სას.-სამეურნეო კოლექტივებში მონაწილეობას და ამით ხელს უშლიან კოლექტივიზაციის საქმეს სოფლად. ასეთი მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ მიღებული იქნა ზომები ადგილობრივი პარტორგანიზაციის მიერ.

აპრილში პარტიულების და კომკავშირის საერთო კრებაზე ჩატარდა ახსნა-განმარტება კოლექტივიზაციის მნიშვნელობისა და პარტიის ამოცანების შესახებ სოფლად. კრება გაეცნო აგრეთვე თესვის კამპანიის ამოცანებს. ყველა დამსწრეებმა მიზნად დაისახეს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ხელის შეწყობა. კომკავშირელებმა თავს იდევეს რამდენიმე ქცევა მიწის კოლექტიურად დამუშავება.

ამასთანავე კრებამ კერძო მეურნე პარტიულ და კომკავშირელებისათვის სავალდებულოდ სცნო იანეთის სას.-სამეურნეო კოლექტივში ჩაწერა. გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ბაბუნაშვილი აცხადებს კოლექტივში ჩაწერის სურვილს და მოუწოდებს დანარჩენებსაც. მსურველი აღმოჩნდა 18 კომუნისტი და კომკავშირელი. შესდგა სია და გადაეგზავნა იანეთის სას.-სამეურნეო არტელს „მოსავალს".

შემდეგ მოეწყო იანეთში არსებულ კოლექტივების „მოსავალი"-ს, „ნამგალ ჩაქუჩი"-ს და სამანქანო ამხანაგობის „შრომა"-ს წევრთა საერთო კრება ღარიბი და საშუალო გლეხობის თანდასწრებით. ამ კრებაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიის წევრებმა და კომკავშირელებმა, ჩაეწერნენ კოლექტივში და მოუწოდეს გლეხობას გაჰყოლოდნენ მათს მაგალითს. მართლაც ამ დღეს კოლექტივებს 12 გლეხი შეემატა:

მიუხედავად ასეთი ენერგიული და ერთსულოვანი მუშაობისა კოლექტივებში სამწუხაროდ მაინც ადგილი აქვს შრომის დეზერტირობას, იმ 15 კომკავშირელიდან, რომლებიც ჩაეწერნენ არტელში, მეორე დღეს სამუშაოზე მხოლოდ 4 ამხანაგი გამოცხადდა. საჭიროა მეტი სიმტკიცე და მეტი დისციპლინა ადგილობრივ ორგანიზაციებში, რაც რასაკვირველია მოითხოვს რაიკომების მეტ ხელმძღვანელობას და კონტროლს სოფლად მომუშავე კომუნისტების საქმიანობაზე.

დამსწრე.

პირველი ქართული გაზეთი

(ქართული წიგნის სამასი წლის თავის გამო)

მიმდინარე წელს ქართული წიგნის ბეჭდვის სამასი წლის თავი სრულდება. ჩვენს პრესაში უკანასკნელ ხანებში გახშირდა წერა საიუბილეო სამზადისზე ამ დღისათვის.

მიუხედავად ამისა, ზედმეტად არ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს ჩვენს ხელთ დაგროვილი მასალები პირველი ქართული გაზეთის შესახებ. თუმცა, რასაკვირველია, ჩვენი ცნობები ჯერ კიდევ შევსებას საჭიროებს.

პირველად ქართული გაზეთი, როგორც ეს ყველასათვის ცნობილი არ არის, დაიბეჭდა თბილისში 1819 წელს და არა 1817 წელს და ან უფრო გვიან, როგორც ამას გადმოგვცემენ პროფ. ალ ხახანაშვილი1), ზ. ჭიჭინაძე2), გრ. ყიფშიძე3) და სხვები.

პირველ ქართულ გაზეთს ეწოდებოდა „საქართველოს გაზეთი“, მისი პირველი ნომერი გამოვიდა 8 მარტს 1819 წელსა ამ გაზეთის ისტორია პირველად შეისწავლა (სისწორით) და დაბეჭდა ე. ვეიდენბაუმმა4). ვეიდენბაუმი სარგებლობდა უშუალოდ ამ გაზეთის არქივით. საარქივო მასალების საშუალებით ჩვენ შევძელით ვეიდენბაუმის გამოკვლევის შემოწმება.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს გაზეთი“-ს პირველი ნომერი გამოიცა 1819 წ. 8 მარტს. მანამდე კავკასიაში არც ერთ სხვა ენაზე გაზეთი არ დაბეჭდილა. კიდევ მეტი: გასული საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე მთელ რუსეთის იმპერიაში გარდა სატახტო ქალაქებისა (მოსკ. და პეტერბ.) გამოდიოდა სულ სამი გაზეთი: უნივერსიტეტების ორგანოები ყაზანსა და ხარკოვში და კერძო გამოცემა ასტრახანში.

როგორც საარქივო მასალებიდან სჩანს, „საქართველოს გაზეთი“-ს ტექსტი სდგებოდა რუსულად და შემდეგ გადაითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ეს გაზეთი შეიცავდა შემდეგ განყოფილებებს: უცხოეთის და შინაური მიმოხილვა, ნარევი, სახელმწიფო და კერძო განცხადებანი. შინაური და უცხოეთის მიმოხილვისათვის, როგორც ვეიდენბაუმი ასაბუთებს, „საქართველოს გაზეთი“ ცნობებს იღებდა მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებიდან. განცხადებათა ნაწილში იბეჭდებოდა ცნობები, რომ ესა თუ ის მემამულე ჰყიდდა თავის ყმებს როგორც ცალობით, ისე ბითუმად, ოჯახობით და მთელი შეძლებით.

„საქართველოს გაზეთი“ 1819 წელს გამოიცა 40 ნომრის რაოდენობით. 1820 წლისათვის ნავარაუდევი იყო 50 ნომრის გამოცემა, გამოიცა კი 51 ნომერი. ხელმოწერის ფასი იყო 8 მან. ვერცხლით. გადაგზავნისა კი დამატებით ერთი აბაზი წლიურად.

რედაქცია აცხადებდა, რომ ხელმოწერის ეს თანხა ეყოფა მხოლოდ ქაღალდს, მთარგმნელებს და საბეჭდ თუ სხვა ხარჯებს. ამიტომაც გაფრთხილება ეძლეოდათ ხელისმომწერთ, რომ გამოცემა გაზეთისა გაგრძელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი 500 ნაკლები არ იქნებოდა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯებს ვერ დაფარავსო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ხელისმომწერთა რიცხვმა 500 დაჰფარა, პირველ წლებში მაინც, რადგანაც გაზეთი გამოდიოდა არა მარტო 1820, არამედ 1821 წელსაც. გაზეთი იბეჭდებოდა საწერი ზომის თაბახზე ოთხ გვერდად. 1820 წლის მეორე ნახევრიდან ამ გაზეთს „საქართველოს გაზეთი“-ს ნაცვლად აწერია „ქართული გაზეთი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უბრალოდ მთარგმნელის საქმის ნაყოფია და არავითარ გადაკეთებას თუ რეორგანიზაციას, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ, ადგილი არ ჰქონია: რუსულად ამ გაზეთს უწოდებდნენ „გრუზინსკაია გაზეტა“-ს, რომელსაც მთარგმნელი წინად „საქ. გაზეთად“ სთარგმნიდა, ხოლო შემდეგ კი „ქართულ გაზეთად“.

გაზეთის გამომცემლობას განაგებდა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი, რომელიც თავისივე სტამბაში ბეჭდავდა მას. რედაქტორი არა სჩანს. არც ცენზორის კვალი ატყვია გაზეთს, მაგრამ ეს ალბად იმიტომ, რომ მას თვით „ცენზორები“ სცემდნენ. სიმართლეს არ შეეფერება ვაიდენბაუმის აზრი, თითქოს მაშინ რედაქტორი გაზეთისათვის სავალდებულო არ იყო. იმ დროს უკვე მოქმედებდა 1804 წლის საიმპერიო საცენზურო წესდება, რომელიც გარკვეული წესების დაცვას მოითხოვდა გამომცემლობათაგან.

„საქართველოს გაზეთი“, შემდეგში „ქართული გაზეთი“ მთელი 1821 წლის განმავლობაში გამოდიოდა. გამოურკვეველია მხოლოდ, გამოდიოდა თუ არა ის 1822 წელს. 1821 წ. დასასრულს გაზეთმა გამოაცხადა 1822 წლისათვის ხელმოწერის პირობები. 1821 წლის დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საქმეთა გენერალ გუბერნატორი სწერდა თბილისის პოლიცმეისტერს, რათა ამ უკანასკნელს ყოველგვარი დახმარება გაეწია გაზეთის ხელისმომწერთა გასამრავლებლად. მიუხედავად ამისა, პლეშჩეევმა, (ალბად რედაქტორთაგანი) დიდი ცდის წყალობით 1822 წლის მარტის დამლევისათვის მთელ თბილისში მხოლოდ 19 ხელის მომწერის შეგროვებაღა მოახერხა, რომლებმაც 57 მანეთი გაიღეს.

ამრიგად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თუ არა 1822 წლის პირველ დღეებში, მარტის შემდეგ მაინც შესწყდებოდა ამ გაზეთის გამოცემა. ყოველ შემთხვევაში, ამ წლის არც ერთ ნომერს ჩვენს დრომდი არ მოუღწევია, არც სხვა რაიმე დამარწმუნებელი საბუთი მოგვეპოვება გაზეთის არსებობის შეწყვეტის შესახებ.

აქვე აღსანიშნავი, რომ ამ პირველ ქართულ გაზეთს გენერალი ერმოლოვი პირადათ უწევდა მეთვალყურეობას. (იხ. გაზ. „Кавказ“, № 4. 1896 წ.). ალბად რუსული ტექსტის (ხელთნაწერის) საშუალებით.

პირველი ქართული გაზეთის გამოცემის შეწყვეტიდან, ვიდრე 1828 წლამდე, როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში გაზეთი არ გამოდიოდა. 1828 წლიდან იწყებს გამოსვლას „თბილისის უწყებანი“ როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზედაც.

პაატა გუგუშვილი.

---

1) ახალი ქართული ლიტერატურის მოძრაობა („კვალი“, 1894 წ.).

2) ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია, გვ. 10.

3) Периодическая печать на Кавказе— გვ. 24.

4) Кавказские этюды Т. I, 1901 г. აგრეთვე „Тифл. Лист.“ № 21, 1900 г.



საქართველოს გაზეთი
მარტის 8 დღეს 1819 წელსა ტფილისში.
სანკტპეტერბურღს

ახალწლის დღეს საზამთროს სასახლის ეკკლესიაში საღმრთოს ჟამის წირვის შემდგომად, სადაცა სხვასა შორის დაესწრენ უცხოს ქვეყნის მინისტრნიც, მათ დიდებულებათ ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ მარიამ თეოდორის ასულმა და მათ იმპერატორებითი სიმაღლეთ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ პავლეს ძემ და დიდმა მთავრინამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინებეს მილოცვის მიღება ყოვლთა სასახლეში მიართულთა ორისავე სქესის გვამთაგან, მეუხრად სრულიადი ქალაქი განათლებულ იყო ჩირაღდნებითა.

წყნარი, ცხადი და თბილი დარი კეთილ საამურ ჰქმნიდა და მარცხნივ ახალის ბირჟის გარემო მშვენიერება და განსხვავებული დაწყობა ამა აღრჩეულთ მხედრობათა, მრავალრიცხვედი შეკრება ყოვლის ასაკისა და მდგომარეობისა მნახავთ, რომელნიც მოსრულიყვნენ როგორც დღესასწაულის სიხარულითა, ისე მისთვის, რომე იმპერატორებითის სახლის უსაყვარლესნი ჟამნი იქ ბრძანდებოდნენ დიდებულ, ზღვა სამღუდელოთა რომელ— ვსთქვათ ყოველივე შეერთებული იყო მისთვის, რათა სანახავთა ესე ესმინათ ყოვლად მშვენიერად, და გამოსაჩენად ჯვარისა წყალში ჩასვენების ჟამს გამოხდა გრგვინვა ზარბაზნებისა, როგორც ციხიდამ, ისე ვასილიევსკის კუნძულზედ მდგომის არტილერიიდამ წყლის კურთხევის შემდგომად ზემოხსენებულთ პოლკთ გაიარეს თავად დაწყობილთა ჩინებულის სამხედროს ხმა ტკბილად მხმობარისა.

რა ხდება ადგილებზე

პარტიის წმენდა დაიწყო

ზუგდიდი, 22 ივნისი. (საქ. კორესპ.). 21 ივნისს დაიწყო ქალაქის ორგანიზაციაში პარტწმენდა. წმენდის მიმდინარეობაში პარტიასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ უპარტიო მუშები და გლეხები.

ა. კოდუა.

კანალიზაციის მოწყობა

ზუგდიდი, 22 ივნისი. (საქ. კორესპ.) ამ დღეებში დამთავრდება ქალაქის ყველა ქუჩებში კანალიზაციის გაყვანა.

ა. კოდუა.

ღვინის გატანა მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში

ქუთაისი, 21 ივნისი. ქუთაისის რაიონიდან ყოველთვიურად იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში 30 ვაგონი ღვინო (ადს).

პროფკავშირთა წევრების რიცხვის გაზრდა ქუთაისში

ქუთაისი, 21 ივნისი. ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს ცნობით, ქალაქ ქუთაისის და ქუთაისის მაზრის პროფკავშირთა წევრების რიცხვი 19.228 კაცამდე ავიდა. ყველაზე დიდი კავშირი ქუთაისში მშენებელთა კავშირია, რომელშიაც 3.645 წევრი ირიცხება. (ადს).

დიდი სიცივეები

ცხინვალი, 21 ივნისი. სამხრეთ-ოსეთში უკანასკნელი კვირის განმავლობაში დიდი სიცივეები იყო. მთებზე ჩამოთოვა. საძოვრებზე მთაში სიცივისაგან დაიღუპა მრავალი შინაური საქონელი. ძალიან დაზიანდა აგრეთვე ნათესი, განსაკუთრებით სიმინდი (ადს).

თესვა

ახალსენაკი, 21 ივნისი. წვიმების შემდეგ მთელს მაზრაში დაიწყო თესვა. ამინდი ხელს უწყობს თესვას. თესვა დამთავრდება 10 დღის შემდეგ (ადს).

არც ერთი უჯრედი შეჯიბრების გარეშე

ახალსენაკი, 21 ივნისი. პროფაქტივის თათბირმა განიხილა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობა. თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ შეჯიბრებას აკლია გეგმიანობა, კამპანიაში სუსტად მონაწილეობენ კედლის გაზეთები, ხოლო პროფკავშირთა უჯრედები ყოველთვის ვერ გვევლინებიან შეჯიბრების ხელმძღვანელებად.

მიღებულ რეზოლიუციაში პროფაქტივი მოითხოვს, რომ პროფკავშირის არც ერთი უჯრედი შეჯიბრების გარეშე არ დარჩეს. (ადს).

მოჯამაგირეთა მდგომარეობის გამოკვლევა

ახალსენაკი, 21 ივნისი. მაზრაში ამჟამად მოჯამაგირეთა მდგომარეობის გამოკვლევა. გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს, როგორია მოჯამაგირეთა შრომის პირობები და ხელფასი. კამპანიის მიზანია—რაც შეიძლება მეტ მოჯამაგირეზე გავრცელდეს კოლექტიური ხელშეკრულება (ადს).

კონტრაქტაცია და დამზადება

ზურჯაანი, 21 ივნისი. სოფლის კავშირმა დაიწყო სიმინდის და თივის დამზადება. დამზადდა 115 ტონა სიმინდი და 2454 ტონა თივა. კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნა 1.161 ჰექტარ მიწაზე და 74 ტონა აბრეშუმის პარკზე (ადს).

მოსავლიანობის გადიდების კურსები

სოხუმი, 21 ივნისი. აფხაზეთის მიწსახკომმა სოფლის აქტივისთვის გახსნა მოსავლიანობის გადიდების კურსები. კურსების მიზანია—ერთი თვის განმავლობაში გამოუშვას აგრორწმუნებულები. თვითეული ჯგუფი მუშაობს ამა თუ იმ კულტურაზე. პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, მიმდინარეობს თეორიული ახსნა-განმარტება. კურსები გაყოფილია ოთხ ჯგუფად: მემინდვრეობა, ბაღი და ბოსტანი, მევენახეობა და სპეციალური კულტურები. კურსები ნავარაუდევია 100 კაცისათვის. კურსებისთვის გადადებულია 9.000 მანეთი. (ადს).

კოლექტიური მეურნეობანი და ახალი მოსავალი

(კოლმეურნეცენტრის ცირკულიარული წერილი)

მოსავლის აღების დაწყებამდე ცოტა დრო არის დარჩენილი, გასაკეთებელი კი ბევრია. კარგად ჩატარებული თესვის კამპანია და ნათესების კარგი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ კარგ მოსავალს მივიღებთ. თუ მოსავალი არ იქნა თავის დროზე და სწრაფად აღებული, ადვილად შესაძლებელია, რომ მისი მეტი ნაწილი დავკარგოთ. თუ მოსავალი არ იქნა გაწმენდილი, დახარისხებული და შენახული მავნებლებისაგან დაცული და დასუფთავებულ საწყობებში, შეიძლება რომ ის წაგვიხდეს. თუ ჩვენ წინდაწინვე არ ვიქნენით მომზადებული მოსავლის აღებისათვის, შეიძლება, რომ თესვის კამპანიის შედეგები გავაბათილოთ.

ხართ თუ არა თქვენ მომზადებული ამისათვის?

მოსავლის თავის დროზე აღებისათვის საჭიროა, რომ ყველა მოსავლის ამღები მანქანა - იარაღები — სამკალი მანქანები, სალეწები, ტრაქტორები მათი ასამუშავებლად, ფოცხები და სხვა — წინდაწინვე იქნენ გამზადებულნი სამუშაოზე გასატანად.

გაქვთ თუ არა თქვენ გაკეთებული ეს მანქანები?

ის კოლექტივი, რომელსაც არ მოეპოვება მოსავლის ამღები რომელიმე მანქანა, ამ თავითვე უნდა შეუთანხმდეს ან სხვა კოლექტივებს ან მეზობელ საბჭოთა მამულებს, ან გამქირავებელ პუნქტს, რომლებიც მოვალენი არიან მიაქირავონ მას ეს მანქანა შეღავათიან ფასებში.

გაქვთ თუ არა თქვენ მომარაგებული ტომრები და გამზადებული ურმები მოსავლის შინ შემოსაზიდავად?

გაქვთ თუ არა თქვენ წინდაწინვე გამორკვეული სად უნდა შეინახოთ მოსავალი და დაიტევს თუ არა თქვენი საწყობები მთელ მოსავალს?

თუ თქვენ აქედანვე არ იზრუნეთ ამაზე და არ მიიღეთ სათანადო ზომები, შემდეგ გვიან იქნება.

ამხანაგებო!

აწარმოეთ მოსავლის აღრიცხვა თვითეული კულტურისათვის ცალკე- გვაცნობეთ რამდენ ფუთ მოსავალს მიიღებთ ერთ დესეტინაზე ხორბალს, სიმინდს, ქერს, თამბაქოს, ბამბას და სხვა. ასეთი ცნობების მიღებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დაიხმარეთ ამ საქმეში რაიონის აგრონომები.

თქვენ გახსოვთ, რომ საკრედიტო ამხ-ბასთან დადებული საკონტრაქციო ხელშეკრულების თანახმად, თქვენ დაგევალათ ნაცვლად იმ დახმარებისა, რომელიც აღმოგიჩინიათ ფულადი ავანსების, სათესი მასალის, მუშა - საქონლის და სხ. მიწოდების სახით — თქვენი მოსავლის ნაწილის ჩაბარება სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბისთვის არა უგვიანეს ივლისი — აგვისტოსი მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში, ეს დავალება აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული; ყველა კოლექტივების მიერ, რომელიმე კოლექტივის მხრივ ამ დავალების არ შესრულება და ამით საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დარღვევა, ცუდ შედეგებს გამოიწვევს ამ კოლექტივისათვის, მისი სრული დაშლამდე.

თუ კონტრაქტაციის ძალით სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბისათვის მოსავლის ნაწილის ჩაბარების შემდეგ, კოლექტივში რჩება იმდენი მარაგი, რომელიც აღემატება კოლექტივის წევრთა საკუთარ მოთხოვნილებას, ზედმეტი ნაწილი უნდა ჩაბარდეს კოლექტივის საშუალებით სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბას. — მოსავლის არც ერთი ფუთი არ უნდა იქნეს გატანილი კერძო ბაზარზე. კოლექტივის წევრი, რომელიც შემჩნეული იქნება ამაში, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გარიცხული კოლექტივიდან.

ამხანაგებო!

სას.-სამ. კოლექტივებმა, რომლებშიაც შეკავშირებულია ჩვენი გლეხობის მოწინავე და შეგნებული ნაწილი, უნდა მისცენ მაგალითი დანარჩენ გლეხობას მიღებულ დავალებათა შესრულებაში და, ამით ხელი შეუწყონ ჩვენი სოციალისტურ სახელმწიფოს ეკონომიურ განმტკიცებას და დაწინაურებას.

საქ. კოლმეურნეცენტრი.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში

ნაწილობრივი მუშაობა აგვისტოდან დაიწყება

ახლო მომავალში დამთავრდება თბილისის მაუდის ფაბრიკის აგება. მისი შენება დაიწყო 1926 წელს. ფაბრიკა მთელი თავისი მოწყობილობით ჯდება დაახლოებით 7 მილიონი მანეთი. ფაბრიკა მოეწყობა მხოლოდ საზღვარგარეთული მანქანებით. მანქანების ნაწილი შეძენილია ინგლისში, ნაწილი გერმანიაში. ფაბრიკაში მუშაობა იწარმოებს სამ ცვლად (თვითეული ცვლის სამუშაო დღე გაგრძელდება 7 საათს).

წლის განმავლობაში ფაბრიკა დაამზადებს 1.390.000 მეტრ ფართალს. აქედან წლიურად დამზადდება 530.000 მეტრი მაუდი და — 860.000 მეტრი სელის ფართალი. მუშაობაში ჩაბმული იქნება სულ 1000-მდე მუშა. აქედან სართავ განყოფილებაში იმუშავებს 400 კაცი, საქსოვ განყოფილებაში—280 კაცი, აპარატურაში—120 კაცი ხოლო მუშების დანარჩენი რაოდენობა იმუშავებს დამხმარე ცეხებში. სრული მუშაობის პირობებში ფაბრიკა წლიურად დახარჯავს 1472 ტონა ნედლეულს. ამ რაოდენობიდან მას მიეცემა 53 პროცენტი ადგილობრივი, 7 პროცენტი აქლემის და 40 პროცენტი შემოზიდიული მატყლი. ფაბრიკა იმუშავებს „ზაჰესი“-ს ენერგიაზე. წყლით უზრუნველსაყოფად იქვე გაჭრილია ჭა. ფაბრიკამდე გაყვანილია რკინის გზის შტო, რაც საგრძნობლად გაადვილებს როგორც ნედლეულის მიზიდვას, ისე დამზადებული პროდუქციის გამოზიდვას.

ფაბრიკის კორპუსის აგება დამთავრებულია. ამჟამად სწარმოებს მონტაჟი. უკვე დაყენებულია მოწყობილობის 30 პროცენტი. სხვადასხვა ცეხებში მუშაობა დაიწყება აგვისტოში, ხოლო ფაბრიკა მთლიანად ამუშავდება მიმდინარე წლის ოქტომბრიდან. ფაბრიკა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით. რაც შეეხება მუშა-ხელს, კვალიფიციური მუშების კადრი ნაწილი მომზადებულია, ნაწილი ამჟამად ემზადება. 55 მუშა გაგზავნილი იყო პრაქტიკაზე. მათ იმუშავეს საფეიქრო მრეწველობის ცენტრალურ მსხვილ ფაბრიკებში. ამჟამად ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში პრაქტიკაზე იმყოფება 40 კაცი. ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ფაბრიკაში გაიგზავნება 230 კაცი. პირველ ხანებში ფაბრიკაში იწარმოებს მუშაობა ერთ ცვლად, ხოლო წლის დამლევისათვის შემოღებული იქნება სამი ცვლა.

ქრონიკა

მისალმება სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს

ოზურგეთიდან სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ოზურგეთის პედაგოგიურ ტეხნიკუმის ახლად კურსდამთავრებულები მხურვალეთ გესალმებათ და ფიცს სდებენ, რომ ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში არ დაზოგავენ თავიანთ ძალღონეს“.

„სამშენის“ რეორგანიზაცია

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ახლო ხანში უნდა მოხდეს სამშენებლო საზ-ბის „სამშენის“ რეორგანიზაცია.

„სამშენის“ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა დავალებული ქონდა თბილისის აღმასკომს. თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა „სამშენი“-ს რეორგანიზაციის საკითხი და მიზანშეწონილად სცნო, მის მაგიერ რესპუბლიკანური საამშენებლო ორგანიზაციის დაარსება, რომელიც შევა სახ. მეურ. უმ. საბჭოს სისტემაში.

საქართველოს პროფსაბჭოს საქალაქო პლენუმი

ოთხშაბათს, 26 ივნისს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებული საქალაქო პლენუმი კავშირების ცენტრ. გამგ. წევრებთან ერთად.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. კუზნეცოვის მოხსენება სრულიად საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს მეორე პლენუმის შედეგების შესახებ.

სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა

დღეს საღამოს 6 საათზე ახალგაზრდა მაყურებელთა თეატრის დარბაზში გაიხსნება სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა.

თივის დამზადება

1929—30 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნება 24.000 ტონა თივა; აქედან აზერბეიჯანში დამზადებული იქნება 3.800 ტონა, საქართველოში—10.600 ტონა და სომხეთში—1.600 ტონა. ამიერ-კავკასიისათვის სულ საჭიროა 76.000 ტონა თივა, დანარჩენი რაოდენობა (53.000 ტონა) შემოტანილი იქნება ჩრდილოეთ კავკასიიდან.

მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

საქ. უმაღლეს სასწავლებლებში, განათლების კომისარიატის დადგენილებით, მისაღები გამოცდები დაიწყება 15 აგვისტოდან და გასტანს 31 აგვისტომდე.

თბ. აღმასკომში

◆ ტრამვაის შეღავათიანი ბილეთები. თბ. აღმასკომმა დაადგინა ექსკურსანტებს მისცეს ტრამვაის შეღავათიანი ბილეთები.

◆ ქართულ მეორე დივიზიის საზაფხულო ბანაკში აღმასკომის დადგენილებით, კომუნალურ განყოფილებას გაყავს თავის ხარჯით ელექტრონის სინათლე.

განათლების კომისარიატში

◆ ახალი პედაგოგები. ოზურგეთის პედაგოგიური ტეხნიკუმი დაამთავრა 37 კაცმა.

◆ გადასამზადებელი კურსები. განათლების კომისარიატი 1 ივლისს შორაპნის მაზრის მასწავლებელთა გადასამზადებლად ზესტაფონში ხსნის 1 თვიან გადასამზადებელ კურსებს.

◆ პოლიტგანათლების მუშაობის გასაძლიერებლად აჭარისტანს გადაეგზავნა 8.000 მანეთი, აფხაზეთს — 9.000 და სამხრეთოსეთს — 8.000 მ.

სხვადასხვა

— გლეხკომების პლენუმი. დღეს ზუგდიდში გაიხსნება გლეხკომების პლენუმი, რომელზედაც დასასწრებლად გაემგზავრა ცენტრ. გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. ქ. ხომერიკი.

დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრება დანიშნულია დღეს, საღამოს 6 საათზე.

— ტრამვაით უფასოთ მგზავრობის წითელი ფერის ბილეთები, ტრამვაის დირექტორის ცნობით, 1 ივლისიდან გაუქმებულია, ამიტომ დაწესებულებებმა ბილეთები უნდა ჩააბარონ ამ დროისათვის დირექციას.

— ახალი ავტომობილები. „ზაკავტოპრომტორგმა“ საზღვარგარეთ შეიძინა 30 ცალი „ფიატის“ სისტემის ავტომობილი, 30 ავტ. „ზაურერის“, 18 მოტოციკლეტი და 10 მსუბუქი ავტომობილი.

— სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარს ამხ. ვ. ვაშაკიძის მივლინებაში წასვლის გამო, მისი მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა ამხ. ვ. ცინცაძეს.

50.000 მანეთი ბავშვთა ბაგების მოსაწყობად

შრომელ ქალების ოჯახურ პირობების შემსუბუქებისა და ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება შეუდგა რესპუბლიკაში არსებულ ქარხნებთან და კოლექტიურ მეურნეობებთან ძუძუმწოვარა ბავშვთა ბაგების მოწყობას.

პირველ რიგში ბაგები გაიხსნება ჩაქვში ჩაის პლანტაციებში მომუშავე ქალთა ჩვილი ბავშვებისათვის, ხულოში და ქედაში გაიხსნება ბავშვთა კონსულტაციები.

გარდა ამისა აჭარისტანის წარმოებში ჩაბმულ მშრომელ ქალთა ბავშვებისათვის ბათომის ახლო მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე მოეწყობა სპეციალური სახლი.

ბაგა გაიხსნება აგრეთვე ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანასთან, რომლის მოწყობა უკვე დაწყებულია. ეს ბაგა იქნება საუკეთესოთ მოწყობილი, რისთვისაც გადადებულია 4.000 მანეთი.

ბაგები ეწყობა კიდევ სამტრედიასა, ხონში და ქუთაისში.

კახეთის მაზრაში ბაგა ეწყობა ზემო-ქედის კოლექტიურ მეურნეობასთან. თელავში აბრეშუმის ქარხანასთან.

გორის მაზრაში ბაგა გაიხსნება საკონსერვო ქარხანასთან.

დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების გეგმით წელს ბაგები და კონსულტაციები მოეწყობა ყველა ქარხანასა და კოლექტიურ მეურნეობებთან.

ამ საქმისათვის გადადებულია 50.000 მანეთი.

კარაკულისა და ბეკონის ექსპორტი საქართველოდან

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა გეგმა საქართველოში კარაკულისა (ძვირფასი ქურქების) და ბეკონის მრეწველობის შესაქმნელათ. კარაკულზე, რომელიც ითვლება ძვირფას საექსპორტო საქონლათ, უდიდესი მოთხოვნილებაა როგორც ევროპის, ისე ამერიკის ქვეყნებში. აღნიშნული საქონლის დამზადება დღემდე სწარმოებდა საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი თურქესტანში.

კარაკულის დამზადებას აწარმოებენ განსაკუთრებული ჯიშის ცხვრის ტყავიდან. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა საქართველოში მოეშენებია ასეთი ჯიშის ცხვარი, რისთვისაც უკვე გადადგმულ იქნა შესაფერი ნაბიჯები და ჩარუიში შეიძინეს 180 სული ჯიშიანი ცხვარი. შემოდგომამდე კიდევ შეძენილი იქნება ამდენივე ცხვარი. ცხვრების მოსაშენებლად მოწყობილი იქნება ცალკე კოლექტიური მეურნეობა. საექსპორტო კარაკულის დასამზადებლად კოლექტიურ მეურნეობასთან მოეწყობა ცალკე სახელოსნო, რომელიც პირველ თავის პროდუქციას გამოუშვებს ერთი წლის შემდეგ, ხოლო ორი წლის შემდეგ ე. ი. 1931 წლიდან დაიწყება აღნიშნული საქონლის გატანა უცხოეთში.

გადაწყვეტილია აგრეთვე სენაკის მაზრაში მოეწყოს ბეკონის ქარხანა. ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალის მისაწოდებლათ ჭალადიდის რაიონში გადაწყვეტილია ჯიშიანი ღორების სამოშენებლოს მოწყობა. ბეკონის ქარხნის მოწყობამდე და ნაწილობრივ შემდეგ სამოშენებლოდან ღორის ხორცი გაიგზავნება თბილისის ბაზარზე. სამოშენებლოს საჭიროებისათვის შეძენილი იქნება ორქშირის და სხვა ცნობილი ჯიშების ღორები.

შაქრის ქარხნის აგება

უნდა დამთავრდეს სამ თვეში

ს.მ.უ. საბჭოსთან არსებულ შაქრის მრეწველობის საუწყებათაშორისო კომისიის ცნობით, შაქრის ქარხნის აგება გორის მაზრაში უნდა დასრულდეს სამი წლის განმავლობაში, ანუ 1932 წლისათვის. ამჟამად მუშაობა სწარმოებს ქარხნისათვის საჭირო ნედლეულის (ჭარხლის) ბაზის შესაქმნელად. საამისოდ უკვე დაწყებულია შაქრის ჭარხლის პლანტაციების გაშენება.

შაქრის ქარხნის ასაგები ადგილი უკვე ამორჩეულია გომი-აგარას რაიონში, ქარხნის საამშენებლო პროექტის შესადგენად და საჭირო წინასწარი სამზადისის ჩასატარებლად ახლო ხანში მოსკოვიდან მოელიან შაქრის ტრესტის სპეციალისტთა კომისიას.

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, შაქრის ტრესტის საამშენებლო განყოფილებასთან უკვე მოწყობილია გორის შაქრის ქარხნის საამშენებლო კომიტეტი, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს ქარხნის საამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

საბჭოთა აპარატის წმენდა

20 ივნისს ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა საბჭოთა აპარატის გამწმენდ ამიერ-კავკასიის კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საბჭოთა აპარატის გამწმენდ აზერბეიჯანისა და სომხეთის კომისიების მოხსენება წინასწარ მუშაობის შესახებ. კომისიებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტების კამპანია წმენდის მნიშვნელობის შესახებ და ამ საქმეში ჩააბან მუშათა მასები. შემუშავებულია წმენდის ვადები: 1930 წლის 1-ლ იანვრამდე წმენდა დამთავრებული უნდა იქნეს ყველა საადგილმამულო, სასამართლოს, ფინანსიურ და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში. ოლქებსა და თემებს მიეცათ განკარგულება გამოჰყონ სათემო და სასოფლო დაწესებულებებში. უმუშევართა წმენდა ჩატარებული იქნება საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიების მიერ და დამთავრდება მიმდინარე წლის სექტემბრისათვის. წმენდის შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული პრესაში. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშგლეხკორთა მასებმა.

საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიის შემადგენლობა

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩამოაყალიბა საბჭოთა აპარატის გამწმენდი ამიერ-კავკასიის კომისია. კომისიაში არჩეული არიან ამხ. ვარძიელი (თავმჯდომარე), ვარდანიანი, ტაგიევი, იაშვილი, ხარაბაძე, კვარაცხელია, გუსეინოვი, გოლდბაუმი, ბაგიროვი, ფირუმოვი და სამი მუშა წარმოებებიდან.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 1929—30 სასწავლო წლისათვის შემოღებულია ახალი წესები, რომლის მიხედვით, წელს გასულ წლების მსგავსად ადგილების განაწილება ადგილობრივ განათლების ორგანოებს შორის აღარ იწარმოებს.

წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა თავისუფალია იმათთვის, ვინც ჩააბარებს საკონკურსო გამოცდებს.

უმაღლეს სასწავლებლებში მიიღება ორივე სქესის მოქალაქენი, - რომელთაც შესრულდათ 17 წელი.

ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ არა შრომითი შემოსავლით, ან მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებებს, უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულნი არ იქნებიან.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველებმა საკონკურსო გამოცდები უნდა ჩააბარონ მათემატიკაში, ფიზიკაში, რუსულ ენაში და საზოგადოებათმცოდნეობაში.

მუშათა ფაკულტეტების კურსდამთავრებულებზე არ ვრცელდება უმ. სასწავლებლებში შემსვლელთათვის დაწესებული მისაღები პირობები.

სახელოვნო უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა, გარდა საერთო საგნებისა, გამოცდები უნდა ჩააბარონ იმ დარგის საგნებში, რომელზედაც აპირებენ შესვლას.

განცხადებები გადაგზავნილი უნდა იქნეს უშუალოდ სათანადო სასწავლებლების მიმღებ კომისიების სახელზე. განცხადებაში გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული ის ფაკულტეტი, ან განყოფილება, რომელზედაც განცხადების გადამგზავნს სურს შესვლა.

განცხადებებს თან დართული უნდა ქონდეს შემდეგი საბუთები (დედნები, ასლები არ მიიღება): 1) წლოვანობის მოწმობა (შემსვლელი 1929 წლის 1 სექტემბრისათვის არ უნდა იყოს 17 წლის ჰასაკზე ნაკლები), 2) განათლების მოწმობა; 3) სახელმწიფო საექიმო ორგანიზაციების მიერ გაცემული მოწმობა იმის შესახებ, რომ შემსვლელი ჯანსაღია, აგრეთვე ყვავილის აცრის მოწმობა; 4) დოკუმენტები სოციალური მდგომარეობის შესახებ (დოკუმენტებში აღნიშნული უნდა იქნეს თვით შემსვლელის და მისი მშობლების შრომის სტაჟი, აგრეთვე მოწმობა გაცემული სათანადო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ იმის შესახებ, რომ შემსვლელი ან მისი მშობლები არ არიან საარჩევნო უფლებებს მოკლებულნი; გარდა ამისა, გლეხებმა უნდა წარადგინონ აღმასკომების, ან ნოტარიალურ წესით შემოწმებული მოწმობები 1927—88 წელში შეწერილ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის რაოდენობის შესახებ; 5) ორი ფოტოგრაფიული სურათი საკუთარი ხელის მოწერით და შემოწმებულ სახელმწიფო დაწესებულების მიერ; 6) შევსებული ანკეტები, შემოწმებული მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულების, ან პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციის მიერ და 7) შემსვლელის სწავლისა ან საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობის დამახასიათებელი მოწმობები და სხვ. (კერძო პირთა სარეკომენდაციო წერილები განხილული არ იქნება).

განცხადებების მიღება უკვე დაწყებულია. განცხადებების მიღება იწარმოებს 20 ივლისამდე. მისაღები გამოცდები დაინიშნულია 1—15 აგვისტომდე.

პროფკავშირების სამხატვრო მუშაობა

1929 წლის მეორე ნახევარში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტდგანყოფილებამ შეიმუშავა სამხატვრო მუშაობის გეგმა 1929 წლის მეორე ნახევრისათვის (ივლისი-დეკემბერი). გეგმის მიხედვით, თეატრების გარშემო მუშა - მაყურებლის დარაზმვის მიზნით დაარსებული უნდა იქნას მუშათა ზოლის ცენტრალური სახელმწიფო სალარო, რომელიც გაანაწილებს ბილეთებს ყველა თეატრებში. აგვისტოში მოწვეული იქნება თეატრების სამხატვრო საბჭოების (მუშათა ნაწილის) საოლქო თათბირი, რომელიც მოისმენს მოხსენებას მომავალი სეზონის შესახებ. ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილების თვითმოქმედ თეატრთან დაარსებული იქნება სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო; ჩატარებული იქნება სამხატვრო მუშაობის გამოკვლევა ბორჩალოში, ჭიათურაში, ფოთში და ქუთაისში, თბილისის ორი დრამატიული წრე გადაყვანილი იქნება მუშაობის მცირე ფორმებზე.

აგვისტოში ჩატარებული იქნება ორი დისპუტი: თვითმოქმედ თეატრის გზები და ლიტერატურული მუშაობა კლუბებში. გამზრახულია დაარსებული იქნეს საკლუბო რეჟისორების მუდმივი თათბირი თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების დასამუშავებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სექტემბერში გადაწყვეტილია კონკურსის მოწყობა პროფკავშირის წევრ საუკეთესო კორესპონდენტზე; ამას გარდა მოეწყობა სახვითი-ფოტო ხელოვნების მოყვარულთა საერთო საქალაქო კონფერენცია.

ხელოვნების მთავარ მმართველობის წინაშე აღძრული იქნება საკითხი, რათა დაარსებული იქნეს დიდი გუნდი ორკესტრით მუშათა კლუბებში სამუშაოდ. ამასთანავე წამოყენებული იქნება საკითხი, რომ გამოცემული იქნეს ჟურნალი „ხელოვნება“, რომელსაც უნდა ექნეს განყოფილება „თვითმოქმედი ხელოვნება“.

აგვისტოში გამოკვლეული იქნება ლიტერატურული წრეების მუშაობა და შემოღებული იქნება მათთვის მაცადინეობის ერთიანი პროგრამა. სექტემბერში გამოცემული იქნება ბროშურა „მხატვრული მუშაობა კლუბებში“.

ხელოვნება

ხელოვნების მუშაკთა კვალიფიკაციის შემოწმება

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს ხელოვნების მუშაკთა კვალიფიკაციის შემოწმება.

შემოწმების მიზანია კვალიფიციურ მუშაკთა კადრის გაწმენდა არა კვალიფიციურ პირებისაგან, რაც დღემდე იწვევდა მრავალ გაუგებრობას.

თბილისში შემოწმება დაიწყო 2 ივნისს. წმენდას აწარმოებს ხელოვნების მუშაკთა კავშირის საშუამავლო ბიურო, რომელთანაც დაარსებულია სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია.

ვოკალისტების და საკონცერტო სხვა ძალების შემოწმება უკვე დამთავრდა. სულ შემოწმებული იქნა 65 კაცი, აქედან როგორც შეუფერებელი, აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 35 კაცი, მოხსნილთა დიდი ნაწილი კონსერვატორიის კურსდამთავრებულია.

საბალეტო ძალებიდან შემოწმებაზე გამოცხადდა 25, მათგან აღრიცხვიდან მოხსნილია 30 პროცენტი. 11 კაცი შემოწმებაზე არ გამოცხადებულა.

ამჟამად სწარმოებს კინო-აქტიორების შემოწმება. სულ ბიუროს აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 150 კაცი.

ოპერის ადგილობრივ ძალების კვალიფიკაციის შემოწმება მოხდება, როცა დაბრუნდება ოპერის კოლექტივი, რომელიც ამჟამად წარმოდგენებს მართავს მაზრებში.

დრამის მსახიობთა და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკთა შემოწმება ჩატარებული იქნება შემოდგომაზე.

ისინი, რომლებიც არ გამოცხადდებიან შემოწმებაზე, აღრიცხვიდან მოხსნილნი იქნებიან მექანიკურად.

სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის შესახებ

(საკავშირო პარტთათბირის გამო სახალხო განათლების საკითხებზე)

ჩვენი სახალხო განათლების სისტემა ათი წლის წინ ჩამოყალიბდა. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის და მასში შემავალ რესპუბლიკების ცხოვრებაში უდიდესი სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. ამიტომ „მეტის მეტად არა მარქსისტული, არა დიალექტიური იქნებოდა შეხედულება, რომ ამ ხნის განმავლობაში, რომელიც აღინიშნა ქვეყნის ყოველ მხრივი განვითარების, განსაკუთრებით კი ეკონომიური განვითარების მეტად ჩქარი ტემპით,—სახალხო განათლების სისტემის დეტალები დარჩენილიყო ან რომ დარჩეს სწორედ იმ მდგომარეობაში, როგორც იქნა ის მოფიქრებული 1918 წელს“ (მ. პოკროვსკი). რადა თქმა უნდა ქვეყნის ეკონომიური საფუძვლის რეკონსტრუქცია სათანადო შესწორებების შეტანას ითხოვს სახალხო განათლების სისტემაშიც.

ჩვენი სახალხო განათლების სისტემა რადიკალურად განსხვავდება ბურჟუაზიის ასეთივე სისტემიდან იმ მთლიანობით, რომლის ძალითაც ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლა (უმდაბლესიდან სულ უმაღლესამდე) სრულიად თავისუფალია.

ამ წესს ჩვენი სისტემა ვერ უარყოფს; მიუხედავად ამისა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში გამოითქვა შეხედულება, რომლის ავტორებიც ასე აყენებენ საკითხს: უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა ყველას არ შეუძლია; საჭიროც არ არის, რომ ყველამ უმაღლესი სასწავლებელი გაათაოს. ამიტომ მეორე საფეხურის მეორე კონცენტრში უნდა მივიღოთ მხოლოდ ისინი, ვინც უმაღლეს სასწავლებელში სწავლას გააგრძელებს. დანარჩენი ახალგაზრდებისათვის პროფესიონალური სკოლები, ტეხნიკუმები და უნივერსიტეტის კარები უნდა დავხუროთ.

ამ შეხედულებას ზოგიერთები იმათიც ამართლებენ, რომ განათლების დარგში ჩვენზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც (მაგ. ამერიკა) არის სკოლის ისეთი ტიპები, რომლებიც მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლისთვის ამზადებსო.

აქაზე ჩვენ შემდეგი უნდა ვუპასუხოთ: „თუ ბურჟუაზია მუშათა კლასს აძლევს ცხოვრების საშუალებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა მისთვის (ბურჟუაზიისთვის),—[illegible] არ არის გასაკვირი, რომ განათლებასაც ის აძლევს მას იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი (ბურჟუაზიის) ინტერესებისათვის“. *) რა გასაკვირია, რომ ბურჟუაზიას აქვს სკოლის ისეთი ტიპები, სადაც მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლებისთვის ამზადებენ. სკოლის ეს ტიპები უმთავრესად ბურჟუაზიის შვილებისათვის არსებობს, მუშათა კლასის შვილებს ბურჟუაზია აძლევს მხოლოდ ვიწრო ტეხნიკურ განათლებას. უმაღლესი სასწავლებელი კი მაღალი კვალიფიკაციის „კომანდირებს“ ამზადებს.

ჩვენ ვამბობთ: პრაქტიკა და მეცნიერება განუყრელია. მეცნიერება მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული პრაქტიკასთან. ის მუშა და გლეხი, რომელიც ჩვენს წარმოებას ხელმძღვანელობს, მაგრამ უნდა იყოს შეიარაღებული მეცნიერების მიღწევებით. საკმარისი არ არის, რომ მან მარტო პროფსკოლა (ან ტეხნიკუმი) დაამთავროს. მას უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ, როცა ეს შესაძლებელი იქნება, პრაქტიკული ცოდნა გაიღრმაოს მეცნიერული მომზადებით. არ შეიძლება ვიმსჯელოთ ასე: პროფესიონალური სკოლა და ტეხნიკუმი პრაქტიკული ცხოვრებისთვის ამზადებს ახალგაზრდობას. ამიტომ მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას იძლევა, უმაღლესი სასწავლებელი მეცნიერულ მუშაობისთვის ამზადებს ახალგაზრდობას, ამიტომ მხოლოდ თეორიულ ცოდნას იძლევა. როგორც პროფსკოლა ისე ტეხნიკუმი, ისე უმაღლესი სასწავლებელი ყველა პრაქტიკულ ცხოვრებისთვის ამზადება, ამიტომ მათი მუშაობის ხასიათიც ერთნაირი უნდა იყოს (გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტი მოცემული ცოდნის მოცულობით და სიღრმით განსხვავდება). მუშაობის ხასიათი ეს არის—„თეორიული და პრაქტიკული ტეხნოლოგიური განათლება“ (მარქსი), მჭიდრო კავშირი წარმოებასთან, ფართო საწარმოო პრაქტიკა. ყოველივე ეს გვავალებს ჩვენს სისტემაში თანამიმდევრობის, მთლიანობა დავიცვათ, რომ უმაღლესი საფეხური არ იყოს მოწყვეტილი უმდაბლეს საფეხურს.

ამრიგად ჩვენი სახალხო განათლების სისტემის არსებითი დამახასიათებელი თვისებებია პოლიტეხნიზმი და მთლიანობა, რაც ამ სისტემას უნდა შერჩეს საბოლოოდ. ეს აუცილებელია. „პოლიტეხნიკური მუშაობის შინაარსი ჩვენი სკოლა არის და უნდა იყოს პროლეტარული თავისი კლასიური მიმართულებით. განათლების საფეხურები, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებიდან ასპირანტურამდე წარმოადგენს ერთიან მთელს; თვითეულ საფეხურს ყველა არ გაივლის, მაგრამ ყველას შეუძლია გადავიდეს ერთი საფეხურიდან მეორეზე ყოველგვარი ნახტომისა, ხვეული გზის გარეშე“ (პოკროვსკი).

არავინ ამტკიცებს, რომ მე-2 საფეხურის სკოლა იმ სახით, როგორიც ის ეხლა არის—ჩვენთვის გამოსადეგია. პირიქით, მეორე საფეხურის სკოლა დღეს ფაქტიურად წიგნზე არის დაფუძნებული და არ აწვდის ახალგაზრდობას პოლიტეხნიკურ ცოდნას. თავისი სოციალური ხასიათით ის წვრილ-ბურჟუაზიული სკოლაა, სადაც, მაგ., ასეთ სურათს აქვს ადგილი: „სწავლას იწყებენ ჩვენს სკოლაში (მე-2 საფეხური) 12.595 მუშის შვილები და 11.000 დანარჩენი მოსახლეობის, ხოლო ათავებენ მას 715 მუშის შვილები და 2.656 დანარჩენი მოსახლეობის“ (ალექსინსკი—მოსკოვის განათლების განყ. გამგე. ციფრები მოსკოვის სკოლებს ეხება). თუ ამნაირი მდგომარეობაა ისეთ სამრეწველო ცენტრში, როგორც მოსკოვია, ადვილი წარმოსადგენია, როგორი მდგომარეობა იქნება სხვა რაიონებში. უნივერსიტეტისთვის მომზადების საკითხიც ასევე ვერ არის რიგზე.

ამრიგად მე-2 საფეხურის სკოლის მდგომარეობა მეტად რთულია და ეს დარჩება მანამ, სანამ სკოლა არ დაუბლოვდება წარმოებას და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, არ გადიდდება სწავლის ვადა საშუალო სკოლაში, რადიკალურად არ დაისმება საკითხი პროლეტარული ელემენტების უზრუნველყოფის შესახებ და საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის შორის არ დამყარდება უფრო მტკიცე კავშირი. 1918 წელს, როდესაც საშუალო სკოლისთვის ცხრა წელი იქნა დაწესებული ეს მიღებულ იქნა, როგორც დროებითი ზომა, დროებითი დათმობა, მძიმე ეკონომიური მდგომარეობით გამოწვეული. ჩვენი პარტიის პროგრამით განსაზღვრული პოლიტეხნიკური სკოლის ნორმა 17 წლის ასაკიდან 15 წლამდე იქნა დაყვანილი. მაგრამ ეს ზომა, ხაზგასმით იყო მაშინ აღნიშნული, როგორც დროებითი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისას უნდა შეცვლილიყო.

ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა და დღეს კულტურული რევოლიუციის საკითხები, გადაუდებელ ამოცანად არის დასმული ჩვენს წინაშე, ეკონომიური და კულტურული ტემპის ერთმანეთისაგან დაშორება უკვე საშიშროებად არის აღიარებული.

მეათე წლის მომატება ჩვენი საშუალო სკოლისთვის აუცილებელ საჭიროებად არის ცნობილი, ხოლო ეს საკმარისი არაა. მეათე წელი უნდა დაემატოს მეორე კონცენტრს, ეს ცხადია, მაგრამ ისევე აუცილებელია ერთი წლის მომატება კიდევ ქვევიდან, დღეს ჩვენ 8 წლიდან ვღებულობთ ბავშვებს სკოლაში. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნორმალურ მდგომარეობად ჩაითვალოს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში თითქმის ყველგან 6 წლია სასკოლო ასაკათ დაწესებული. მართალია იქ ისე გავრცელებული არ არის სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები, როგორც ჩვენში, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების ქსელიც ჯერ კიდევ მეტად მცირეა და დიდხანს ვერ შევძლებთ ამ ქსელის სავსებით დამაკმაყოფილებლად გაშლას ეკონომიური უსახსრობის გამო. მანამდე კი, სანამ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების ქსელის გაფართოებას შევძლებთ, აუცილებელია ოთხწლედს ქვევიდან მივუმატოთ კიდე ერთი წელი მოსამზადებელი ჯგუფი იმ ბავშვებისათვის, რომელთაც სკოლის ასაკამდე მომზადება არ გაუვლიათ. ამ ჯგუფში 7 წლის ბავშვები უნდა მივიღოთ.

ამრიგად ჩვენი საშუალო სკოლა მიიღებს შედარებით ნორმალურ სახეს (11 წელი). ის პირნათლათ შეასრულებს მაშინ იმ ამოცანებს, რომელიც მის წინაშე არის დაყენებული: უმაღლესი სასწავლებლისთვის ახალგაზრდობის სათანადოთ მომზადება და იმათი შედარებით დამაკმაყოფილებლად აღჭურვა პრაქტიკულ თეორიულ ცოდნით, ვინც უმაღლეს სკოლის გარედ დარჩება.

სანამ პოლიტეხნიზმის პრინციპებს განვახორციელებდეთ, მანამდე კიდევ მოგვიხდება მივმართოთ ერთ დათმობას, რაც შემდეგში გამოიხატება: როგორც უკვე ვსთქვით, ჩვენი მე-2 საფეხურის სკოლა უმთავრესად წიგნზეა დამყარებული, გამოსავალს ასეთ არანორმალურ მდგომარეობიდან პროფესიონალურ განხრებში ეძებს. მეორე მხრით უკრაინის სპეციალური საშუალო სკოლა (საერთო განათლების სკოლა მათ არა აქვთ) საერთო განათლების საგნებიდან მეტის-მეტად მოწყვეტას სჩივის და ისიც სათანადო გამოსავალს ეძებს. ასეთი გამოსავლად ორივე ამ სისტემისთვის დროებით უნდა იქნას ცნობილი საშუალო სკოლის უკანასკნელი საფეხურის პროფესიონალიზაცია. რა თქმა უნდა, ეს იქნება სუროგატი პოლიტეხნიკური სკოლის, მაგრამ ეს აუცილებელია ეხლა იმ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიაც მოემწყვდა მეორე საფეხურის სკოლა.

ამრიგად სახალხო განათლების სისტემა ასეთ სახეს ღებულობს: 1-ლი საფეხურის მასიური სკოლა—4-წლედი, ქვევიდან მოსამზადებელი ჯგუფის მიმატებით, ე. ი. სულ ხუთი წლის სასწავლო კურსით (იმათთვის, ვისაც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულება არ გაუვლიათ). ეს სკოლა უნდა მოხდეს საყოველთაო, მასიური, როგორც სავალდებულო სწავლების შემოღების ბაზისი. ეს საფეხური ერთნაირია ყველა ზემდგომი საფეხურებისათვის.

ამაზე შენდება მეორე საფეხურის სკოლის 1-ლი კონცენტრი—სამწლიანი კურსით (ისე როგორც იყო)—ხოლო ზოგიერთი ადგილებისათვის დაბალი საფეხურის პროფესიონალური სკოლა. მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი საერთო განათლების პოლიტიკური სკოლაა, მაგრამ სოფელში მას ეძლევა სასოფლო-სამეურნეო ხასიათი (გლეხთა ახალგაზრდ. სკოლა), ხოლო ქალაქის საწარმოო ცენტრებში—საქარხნო, საფაბრიკო ხასიათი.

ამ კონცენტრზე შენდება მეორე კონცენტრი—სამწლიანი კურსით, რომელსაც საერთო განათლებასთან ერთად პროფესიონალური მიმართულება ეძლევა ადგილობრივი პირობების სათანადო მოთხოვნილების მიხედვით.

რჩება ტეხნიკუმების საკითხი. ტეხნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკურ პერსონალს (ტეხნიკოსი, მემანქანე, აგრონომის თანაშემწე და სხვ.) რა თქმა უნდა, ამ სახის მუშაკების მოთხოვნილება ჩვენში დიდია. მეორე მხრით ტეხნიკუმი უმაღლესი სასწავლებლის შესაფერი ფაკულტეტისთვისაც კარგ მომზადებას იძლევა. ამ სახის სკოლა ჯერ-ჯერობით უნდა დარჩეს, შეიძლება ის, როგორც ცალკე ტიპი, საჭირო არ იქნეს მაშინ, როდესაც საშუალო სკოლა სრულ პოლიტეხნიკურ ხასიათს მიიღებს, რადგანაც სხვადასხვა დარგის წარმოების პრინციპების და საწარმოო ინსტრუმენტების გაცნობას, რასაც ეხლა ტეხნიკუმი ასრულებს, მაშინ საშუალო პოლიტეხნიკური სკოლა შეასრულებს. წერილის ისედაც გაგრძელების გამო, აქ არაფერს ვამბობ პოლიტგანათლების სკოლების ქსელზე; ყოველივე ზემოთქმულს კი უნდა დაემატოს შემდეგი: ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ, როგორც ტეხნიკუმს, ისე პროფესიონალიზაციაქმნილ მეორე საფეხურის და დაბალ პროფესიონალურ სკოლას არაფერი საერთო აქვს ბურჟუაზიული ტიპის პროფესიონალურ სკოლასთან, რადგანაც ერთი მხრით ფართო საერთო განათლება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური (კომუნისტური) აღზრდა ხოლო მეორე მხრით უაღრესად მჭიდრო კავშირი წარმოებასთან აუცილებელი პირობაა თვითეული ამ საფეხურისათვის. მთელ ამ სისტემისთვის პოლიტეხნიზმის ელემენტები განუყრელი ნაწილი უნდა იქნეს და ის თანდათან უნდა გაფართოვდეს.

ვ. აფხაძე.

---

*) იხ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ გვ. 149.

რკინის გზებზე

კაზანცევის მუხრუჭის გამოცდა

ივლისის პირველ რიცხვებში ამიერ-კავკ. რკინის გზებზე მოემგზავრება გზათა სახალკომისარიატის ტეხნიკური კომისია, რომელიც მიზნათ ისახავს ჩაატაროს ფ. პ. კაზანცევის ერთმავთულიანი ავტომატიური მუხრუჭების გამოცდა. გამოცდა ჩატარდება უმთავრესად სურამის და ჯავახურის უღელტეხილზე. ტეხნიკურ კომისიაში მონაწილეობას იღებენ როგორც გზათა სახ. კომისარიატის და რკ. გზათა ცენტრალურ სამმართველოს, ისე ამიერ-კავკ. რკ. გზათა წარმომადგენლები.

დიდ შემადგენლობათა მიმოსვლა

ამ დღეებში გზათა სახალხო კომისარიატმა ჩაატარა ცდები მატარებლების მძიმე შემადგენლობის მიმოსვლისა სურამის საუღელტეხილო უბანზე ხაშურიდან ზესტაფონამდე. გამოცდილ იქნა 680 ტონიანი სიმძიმის მატარებლის შემადგენლობა, რომელსაც მართავდა სამი ორთქლმავალი. ერთ-ერთი ორთქლმავალი მოთავსებული იყო შემადგენლობის შუა ნაწილში. გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. ეს საკითხი ამ დღეებში განიხილა რკინის გზების გამგეობამ და შესაძლებლად სცნო შემადგენლობის წონის გადიდება 750 ტონამდე, მხოლოდ იმ პირობით თუ სამივე ორთქლმავალი დიდი ძალისანი იქნებიან (სერია „Э“). გზათა გამგეობამ მისცა მთელი რიგი დავალებები წევისა და სალიანდაგო დარგებს ასეთი შემადგენლობის მატარებელთა მოძრაობის შესახებ სურამის უღელტეხილზე.

საბინაო მშენებლობა

რკინის გზათა ცენტრალურმა სამმართველომ აცნობა ამიერ-კავკ. რკ. გზათა გამგეობას, რომ მომავალ 1929—30 წელში ამიერ-კავკ. რკ. გზას საბინაო მშენებლობისათვის მიეცა 2.200.000 მანეთი. ხსენებული თანხის ნახევარს იძლევა გზათა სახალხო კომისარიატი, ხოლო მეორე ნახევარი მიეცემა გზას სესხის სახით ცეკომბანკიდან. გზათა გამგეობამ დაამუშავა საბინაო მშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი წლისათვის. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია—11 ახალი სახლის აგება წყალსაქაჩავის სადგურებთან — შამხორში, ტაუზში, უჯარაში, დალამამეტლში, გორში, კარაკლისში, კალადახჩიში, შაგალში, ყარაიაზში, ბელეჯში და გარდაბანში და აგრეთვე 15 საცხოვრებელ სახლების აგება, რომელთაგან 6 აიგება საქართველოს რკ. გზის ხაზზე ავჭალაში, დიდუბეში, ნავთლუღში, ფოთში, შორაპანში და ტყიბულში. დანარჩენი 9 სახლი აიგება სომხეთისა და აზერბეიჯანის რკ. გზაზე.

ძველი შენობების აღსადგენად ხარჯთაღრიცხვით გაღებულია 683.103 მანეთი.

უბედური შემთხვევები

21 ივნისს, ღამის 11 საათზე ხაშურ-ლიხის გადასარბენზე მატარებლიდან ლიანდაგში ჩავარდა მემუხრუჭე აკაკი მაღრაძე, რომელსაც მატარებელმა გადასჭრა ორივე ფეხი. დაშავებული მოათავსეს ხაშურის რკ. გზის საავადმყოფოში.

— იმავე დღეს სალიეთ-ჭიათურის გადასარბენზე შავი ქვის მატარებელი დაეჯახა ლიანდაგზე მდგარ ცხენს, რასაც შედეგად მოჰყვა ერთი ვაგონის გადავარდნა ლიანდაგიდან.

გაზეთ „კომუნისტი“-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

ივლისის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.

ივნისის დამლევამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ ივლისიდან შეწყვეტილი იქნება.

პროვინციის წლიური ხელისმომწერლებმა ივლისის მორიგი გადასახადი 1 მან. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს ივნისის 1-მდე წინააღმდეგ შემთხვევაში—1-ლ ივლისიდან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი“-ს გზავნა.

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სასამართლო

სახლის პატრონის მხეცობა

გიორგი სიმონის ძე ყოჩიშვილი სახლის მეპატრონეა.

მას ჰქონდა საკუთარი სახლი და ამ სახლში უნდოდა ყოფილიყო მბრძანებელი.

სძულდა ჭირივით ყველა საბჭოთა მდგმური. ყველაზე მეტად ყოჩიშვილს ეჯავრებოდა მდგმური შალვა ნამორაძე. რატომ? იმიტომ, რომ 2 წლის განმავლობაში ის ბინის ქირას იხდიდა, როგორც წითელი მოლაშქრე, ხოლო შემდეგ კი—როგორც უმუშევარი.

ყოჩიშვილმა სასამართლოშიაც აღძრა საჩივარი. ითხოვდა ნამორაძის გასახლებას, მაგრამ საბინაო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა მისი პრეტენზიები, როგორც უსაფუძვლო.

— მაშ, ჩემთვის სამართალი არ არის! ყველა შენს მხარეზეა! ამიერიდან მე ვიცი როგორ ვიმოქმედო! მე თვითონ ვარ „კანონი“ ბრძანა სახლის პატრონმა, რომლის მუქარასაც ისმენდნენ მდგმურები.

ა.-წ. 23 აპრილს, სასამართლოს განაჩენით გულდაწყვეტილი სახლის პატრონი საბურთალოს სამიკიტნოში იქარვებს თავის დარდებს.

ღამის 10 საათზე გალეშილი ყოჩიშვილი ბრუნდება თავის სახლში იმ მიზნით, რომ აწიოკოს საბჭოთა მდგმურები.

პირველი იერიში მიაქვს მდგმურ შალითაურის ბინაზე.

— გამოდით გარეთ, საქმე მაქვს თქვენთან, თქვენი სისხლი მწყურია!—აბრახუნებს სახლის პატრონი შალითაურის კარებზე.

ცოლს ღვიძავს. ქმარს კი სძინავს. ქალმა იცის, რომ უსიამოვნება მოჰყვება ამ უდროო-დროს მთვრალ სახლის პატრონთან ლაპარაკს და არ აღვიძებს ქმარს.

ამ დროს ეზოში შემოდის სწორედ ის მდგმური შალვა ნამორაძე, რომელიც ყველაზე უფრო ეჯავრება სახლის პატრონს.

შალვა ნამორაძე ნელი ღიღინით შედის თავის ოთახში.

— აჰ! მელიისა, ანგარიშებს ეხლა გავასწორებ... შენი... გამოდი გარეთ!

მდგმური ნამორაძე გამოდის ოთახიდან და წყნარად მიმართავს სახლის პატრონს:

— ნუ იგინები, ნუ ხმაურობ, ეხლა შენთან ლაპარაკი არ შეიძლება, ხვალ მოდი და, თუ რამე გაქვს სალაპარაკო, ვილაპარაკოთ.

სახლის პატრონს ნამორაძისათვის მომზადებული აქვს დანა.

— მობრძანდით აქეთ!—უბნება ნამორაძეს სახლის პატრონი.

ნამორაძე, რომელიც არავითარ სიმხეცეს არ მოელის, გამოდის აივანზე.

ამ დროს სახლის პატრონს უკვე თავისი გეგმა სისრულეში მოჰყავს. იძრობს დანას და ჩასცემს მუცელში.

დაჭრილი ნამორაძე გარბის. შეუხვევს იქვე თავის ამხანაგთან სიმარლიშვილთან, რომელიც არ ღებულობს მას, როგორც დაჭრილს, რადგან ეშინია, რომ მასზე ეჭვი არავინ მიიტანოს. შემდეგ დაჭრილი ნამორაძე გარბის თავის მშობლებთან, საიდანაც სასწრაფო დახმარების ეტლის საშუალებით იგზავნება საავადმყოფოში.

საავადმყოფოში ნამორაძემ დაჰყო ერთი კვირა. შემდეგ კი ჭრილობის გართულების გამო გარდაიცვალა.

სახლის პატრონი ყოჩიშვილი დაპატიმრებულია.

ვფიქრობთ, რომ ასეთი მხეცი სახლის პატრონი საჯარო-საჩვენებელი პროცესით იქნება გასამართლებული.

ვერ.

შემთხვევები

მილიციონერის გმირობა

3 ივნისს სოფ. საყდრიონიდან ერწოს სამილიციო რაიონის უფროს მილიციონერს, მიხეილ ზარიძეს ავჭალის მიმართულებით მიჰყავდა 6 პატიმარი. ზარიძემ შემთხვევით გზაში გაიგო, რომ საბადურის ტყეში ჩასაფრებულნი არიან ყაჩაღები და მგზავრებს ძარცვავენო.

ვინაიდან პატიმრები დიდი დანაშაულის ჩამდენი არ იყვნენ და არსად გაიქცეოდნენ, ზარიძემ მოაბრუნა ისინი უკან და ჩააბარა ერთ - ერთ სანდო პირს, თვითონ კი ცხენით გაეშურა ყაჩაღების წინააღმდეგ. გზაში ზარიძეს წაექცა ცხენი და ცხვირიდან წასკდა სისხლი. მიუხედავათ ამისა მან ფეხით გასწია და ყაჩაღებს აუტეხა სროლა. სროლა დიდხანს გაგრძელდა; სროლის დროს ზარიძემ მოკლა ცნობილი ყაჩაღი მელიტონ კანაშვილი.

კანაშვილს ორჯერ ჰქონდა მისჯილი ყაჩაღობისათვის დახვრეტა, მაგრამ ორივეჯერ მოახერხა გაქცევა. უკანასკნელად ის მეთაურობდა ყაჩაღების ბანდას და აწიოკებდა მშვიდობიან მცხოვრებთ. მეთაურის მოკვლის შემდეგ დანარჩენი ყაჩაღები დაფრთხენ და გაიქცნენ. ზარიძემ მათ დაატოვებინა იარაღი და 6 ცხენი. აღმოჩნდა, რომ ცხენები ყაჩაღებს წაურთმევიათ ახლო - მახლო მცხოვრებ გლეხებისათვის. პატრონებს დაუბრუნდა ცხენები. ზარიძის გმირობამ დიდი სიხარული გამოიწვია გლეხებში. თბილისის ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა თბილისის ალმასკომის წინაშე ზარიძის შესაფერად დაჯილდოების შესახებ.

დაჯახება

საბჭოს ქუჩაზე მიმავალი ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი აზიზ მირზოევი, დაეჯახა „ავტოპრომტორგი“-ს ავტომობილი და დაზიანდა როგორც ვაგონის წინა ნაწილი, ისე ავტომობილი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

შეპყრობა

შეიპყრეს ანტონ ივანესძე გლავაცკი, გიორგი ლუკასძე გიტიაშვილი, რომელთაც ბრალდებათ მოქ. პაროშინისათვის ჩემოდანის მოპარვა. — დააპატიმრეს ვალერიან დომენტისძე ცანავა, რომელსაც ბრალდება მოქ. ახვლედიანის ბინის გაქურდვა (მდებარე პლეხ. პრ. 44).

ჯიბგირობა

ფოკა ვასილისძე გაბუნიას თათრის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს 800 მანეთი. — ნატალია ჯავახიშვილს ცენტრ. ბაზარში ამოართვეს 30 მან.—ტრამვაის ვაგონში მიხეილ დავარიშვილს მოპარეს 40 მან.

ველო-გადარბენა

თბილისის მოტო-ველო საზოგადოება დღეს აწყობს პირველ საცდელ ველო-გადარბენას შემდეგი მიმართულებით—თბილისი — კოჯორი—თბილისი.

გადარბენა დაიწყება დღეს, დილის 10 საათზე. გადარბენა იწარმოებს მხოლოდ გზატკეცილებზე, გზაზე დაყენებული იქნება კონტროლიორები, რომლებიც მეთვალყურეობას გაუწევენ გადარბენას.

კოჯორში, გადარბენაში მონაწილენი მიიღებენ შესაფერ ნიშანს და შეუსვენებლად გამობრუნდებიან უკან.

მოკლე გზით წასვლა, ან გზაზე მიმავალ ავტომობილების და ეტლების გამოყენება დაუშვებელია. ამ წესის დამრღვევნი გამორიცხული იქნებიან გადარბენიდან.

ფეხბურთი

ფოთი—თბილისი

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ფოთის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“.

გუშინვე სტუმრებს შეხვედრა ჰქონდათ „დინამო“-ს მეორე გუნდთან. მატჩი დამთავრდა 2:2 (ფოთის გუნდიდან თამაშობდნენ სათადარიგო მოთამაშეები).

დღეს ფოთის „დინამო“-სთან თამაშობს თბილისის „დინამო“-ს პირველი გუნდი.

ფოთელები დღევანდელ შეხვედრაში გამოდიან ძირითადი შემადგენლობით: მეკარე—ფუკუა, ბეკები—ახალაია და გვალია, ხავბეკები—კურციძე, ლაითაძე და ულენტა, ფორვარდები—მიქაძე, გოგიბაძე, [illegible], კალიჩავა და გუნია.

შეხვედრა გაიმართება „დინამო“-ს სტადიონზე საღამოს 6 საათზე.

ტრანსპორტელები—მილიციონერები

დღეს, საღამოს 5 ნახ. საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ტრანსპორტელთა (ყოფ. გემთ-კავშირის) და მილიციონერთა კავშირების პირველი გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

აღნიშნული გუნდები მიმდინარე სეზონში პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

ექსკურსიები

დღეს მასიური ექსკურსიის დღეა. სხვადასხვა ადგილებში ეწყობა მრავალი ექსკურსია დაახლოებით 800 კაცის მონაწილეობით.

ექსკურსიებს აწყობენ პროფკავშირები. მშენებელთა ექსკურსია 60 კაცის მონაწილეობით მიემგზავრება ბორჯომში; მიწა-ტყის მუშაკების კავშირი 25 კაცს აგზავნის კოჯორში; გემთ-კავშირის წევრთა ექსკურსია 400 კაცის შემადგენლობით ინახულებს ზაჰესს და მცხეთას, ამ ექსკურსიაში მონაწილეობას ღებულობენ კვებოკავშირის შეფობის ქვეშ მყოფი 150 წითელ-არმიელი კავშირის ხარჯზე; მელითონე მიდის ზაჰესში, 20 [illegible] მუხრანში, მეტყევეთა კავშირი ექსკურსიას აწყობს კარსანის გეო-მაგნიტურ ობსერვატორიის დასათვალიერებლად.

ექსკურსანტები გაემგზავრებიან დღეს, დილის 9 საათზე.

ექსკურსიები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა მუშათა ექსკურსიები ვორონეჟიდან და მოსკოვიდან.

რადიო-გადაცემა

კვირა, 23 ივნისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას:

დღის 9 საათიდან—პიონერების რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საბავშო კონცერტი; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; საგლეხო კონცერტი; მორზეს ანბანი, ქართულ ენაზე.

საღამოს 6 საათიდან—პიონერის რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; გლეხის საათი—„მოსავლის მოსაკრებათ საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანები“, ქართულ ენაზე; საუბარი ციკლიდან—რევოლიუციონური კანონიერება—„მოსახლეობის სოციალურად უზრუნველყოფა“, ქართულ ენაზე; ჩვენი პოეტები და მწერლები მიკროფონთან; კომკავშირელების რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; საუბარი—„სასარგებლოა თუ არა ზღვაში ბანაობა“, რუსულ ენაზე; პასუხის გაცემა რადიო-მოყვარულთა წერილებზე; კონცერტის ტრანს-

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

ხვალ, 24 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ეკატერინე სიდორჩუკი, ნატალია ბდამია, სტეფანე პირკულოვი, ანტონინა პოპოვა, მარიამ ტრეგერი, ვერა ჩერკაიო, იოსებ კვალიაშვილი, ლიუდმილა პისემსკაია, საყვარელიძე, გალუმოვი, გარეგინ ავაქიანი, ქსენია შოთაძე, ილარიონ კალანდარაშვილი, მარგალიტა სოფრომაშვილი, ანნა მესხი; მარიამ ანდრიაშვილი, დარეჯან ცინცაძე, ალექსანდრა ლევოჩევსკაია, სერგო ბოგუსლავსკი, ზაქარია ბენიაშვილი, სერგო აკოფოვი, სოლომონ ჯორბენაძე, ქსენია ფოგელი, მარიამ სპოკოიასკაია, სემირა მიდა შერმაზანოვა, ნინო ორლოვა, ნინო გოგიჩევა, სარფანე იმნაიშვილი, ოლღა დეკვერი, პარასკევა ჯაფარიძე, თამრო იუნიშვილი, ეკატერინე პატარიძე, ასლან აკოპიანი, ზოია რომუკი, ვერა კვირიკაშვილი, ბარბალე სულხანიშვილი, ლონილა შარაშიძე, ანნა ნასიძე, ეკატერინე მილიკოვა, მიხეილ შახნუბაროვი, შალვა ცინცაძე, სტეფანე კაპკაპაშვილი.

სტენოგრაფისტთა სექციიდან: პუჩინოვა, კავერშევა, ივანოვა, ხანდამიროვა და ილინა.

მედიკოსებიდან: მარიამ შიხაშვილი, გიორგი კანდელაკი.

შავ მუშათა სექციიდან: გიორგი აიმაროვი, პავლე პეტრიაშვილი, არმენაკ ვარიანოვი, გრიგორიშვილი, ნიკოლოზ ხმალაძე, ხარიტონ ზაქარეიშვილი, გიორგი ჩატკაძე, ივან ელლოევა, ივანე დევდარიანი, ნინო ტარნოვსკაია, ვართან კაზარიანცი, გარეგინ სტეფანიანი, გიგო მეკობრიშვილი, სავლე კიკნაველიძე, ისაკი არჩაკოვი, ცატუროვი, სოლომონ კანკავა, კინიანცი, სტეფანე გახჯელოვი, მაღლაკელიძე, ბიქტორ პავლოვი, ხაჩატურ ენგოიანი, ჩახლიანი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: სტეფანე მიასნიკოვი, სიმონ სერგეევი, კონსტანტინე ბეზპროზვანი, ვანო სოსიაშვილი, სარქის ოგაჯოვი, იაგორ პეტროსოვი, სტეფანე ნონიევი, ალექსანდრე ომონაშვილი, ეფრემ ტრუტნევი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. ქალაქებში მუშათა მშენებლობის წახალისების შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების მიზნით საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს დაუბრკოლებლად მიუჩინონ მიწის ნაკვეთები მუშებსა და მოსამსახურეებს ინდივიდუალური აღნაგობისათვის.

2. მუშა-მოსამსახურეთათვის მიწების მიჩენა ინდივიდუალური აღნაგობისათვის უნდა სწარმოებდეს შემდეგ საფუძველზე:

ა) მიწის ნაკვეთები მიჩენილ უნდა იქნეს სივრცით 300-დან 450 კვ. მეტრამდე ფასადით არა ნაკლებ 15 მეტრისა სიგრძით;

ბ) ნაკვეთი გაიცემა 65 წლის ვადით; ამასთანავე, ხელშეკრულება აუცილებლად დადებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით.

გ) საღნაგო უფლების შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეაღნაგის ვალდებულება, რომ იგი საცხოვრებელი სახლის შენებას შეუდგება 2 წლის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულების დადებისა;

დ) მიჩენილი მიწის ნაკვეთის დაგეგმვა — მასზე სკვერებისა, ქუჩებისა, მოედნებისა და საზოგადო სარგებლობის ნაგებობის აღნიშვნით—სწარმოებს ადგილობრივ საბჭოების ძალებით უფასოდ.

ე) მიჩენილ ნაკვეთებამდე ქუჩების გაყვანა და აგრეთვე კანალიზაციისა, წყალსადენისა, განათებისა და ქვაფენილების მოწყობა სწარმოებს ადგილობრივი საბჭოების ხარჯზე.

3. გაცემულ ნაკვეთებზე შენობები აიგება ადგილობრივი საბჭოების მიერ დამტკიცებული გეგმების თანახმად.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:—
გ. მგალობლიშვილი
საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:—
პ. მეზრელიშვილი.
1929 წ. ივნისის 11.
თბილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 24 ივნისს, დილის 11 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი კომუნალურ მუშაკთა კავშირში მასიურ კულტმუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ კლუბების შემდეგი გამგეები: შინამოსამსახურეთა კლუბის გამგე, ტრამვაის კლუბის გამგე, ტრამვაის პარტკოლექტივის აგიტპროპი, კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის კლუბის გამგე, ამხ. შელიძე, ბოგდანოვი და ქეიშვილი (სახ. უნივერსიტეტი).

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში (ოთახი № 66), გამოძახებულია შემდეგი ამხანაგები: სარქისოვი (მცხოვრები სერგეევის ქ. № 20), ხალამპრე თომას ძე ბილაკოვი, ჯაში და ნიკოლოზ პავლეს ძე ლიაპკოვი.

საქ. კომპ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო - განმანაწილებელ განყოფილების საარიცხვო სექტორი იწვევს ამხ. ლეო გაბუნიას, რომელიც ორი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს საარიცხვო სექტორში.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მიხეილ, შვილები: თამარა დონჯაშვილი-გორდაძისა ქმრით გოგით, იოსები, ვანო ცოლით—ქეთოთი, ალექსანდრე, ირაკლი, ერასტი დონჯაშვილები, და ნატალია მესროპოვისა ქმრით—მიხეილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, ქ. ლაგოდეხში, კვირას 23 ივნისს დღის 12 საათზე სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ეკატერინე ნიკოლოზის ასული დონჯაშვილის

ხსოვნის ალსანიშნავად 2332

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, საღამოს 6 საათზე, უდროოდ დაღუპულ

ექ. სოსო დონჯაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ, ვერის ახალ სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2336

მეუღლე დავითი, შვილები: თამარი, ჟორჟი, ქსენია, დედა ევა იუწყებიან დაუვიწყარ

ლიზა ცინცაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს, 7 ს., გამოსვენება—ვაკე, [illegible] სახლი, კვირას, 12 ს. [illegible]

შვილები მიხეილ, დიმიტრი და ნინო შევარდნაძეები იუწყებიან, რომ კვირას 23 ივნისს 1-ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, დაუვიწყარი დედის

გაგალე საყვარელის ასული შევარდნაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 2333

დამწუხრებული მეუღლე მიხეილ პლატონის ძე, ქალიშვილი იდა და დედამთილი პელაგია აუწყებენ საზოგადოებას და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინა ნიკოლოზის ას. ნემსაძისა

დაკრძალვა დღეს, 23 ივნისს 4 საათზე. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ავლაბრის სასაფლაოზე 2344

გულდათუთქული ოლღა პლატონის ასული მეუღლით სიმონ პართენის ძე გივიშვილები შვილით ნუნუთი, ქეთო პართენის ასული გივიშვილი აუწყებენ რძლის

ნინა ნიკოლოზის ას. ნემსაძის

უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა დღეს, 23 ივნისს. გამოსვენება 4 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან ავლაბრის საავადმყოფოდან 2344

დამწუხრებული ამხანაგები ერ. შუშანია, ბ. უჩანეიშვილი, აკ. დგებუაძე და პ. რთველაძე აუწყებენ საზოგადოებას, საუკეთესო რკინის გზელი აქტიური მუშკორის

ირადიონ გრიგოლიას

გარდაცვალებას. დასაფლავება 23 ივნისს თეკლათის თემში. ნ. 2892

მეუღლე რაინუშ ოვანესის ასული თათარიშვილისა აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს 23 ივნისს დღის 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ერთად-ერთი, უდროოდ დაკარგული, ნუგეშის

კონდრატე დავითის ძე თათარაშვილის

ხსოვნის ალსანიშნავად (შ)

ანისია ისაკის ასული თათარიშვილი, შვილები: ნინა, რაისა, ტატიანა; სიძეები: მიშა ბროძელი, თათარხან იბეიძე, და გიორგი გუგუშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 23 ივნისს დილის 12 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

კონდრატე დავითის ძე თათარიშვილის

ხსოვნის ალსანიშნავად 2337

ღრმად დამწუხრებული მელანია აბრამის ას. ფარესაშვილი ქმარ-შვილებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს საყვარელი დის

ანა აბრამის ასულის თუხარელის

გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან 24 ივნისს, 4 ს. ვერ. ზე. 2341

დამწუხრებულნი მეგობრები: ცარახოვი, ფერაძე, ბარაძე, ცხიშვილი და ჯიბუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ძვირფას მეგობრის

გრიშა სანიკიძის

ხსოვნის ალსანიშნავად 23 ივნისს ს. ჩხენიშში (სამტრედია) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2343

ორშაბათიდან 24 ივნისიდან კინო-თეატრებში

პალასი — მხატვრული სურათი **განწირულნი** ვიქტორ ჰუგოს ცნობილი რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად

საზაფხულო ეთერი — ანა სტენ ლ. ლილინა, ნ. კუტუზოვი მხატვრულ დრამაში **მისი კარიერა**

მინიონი — სეზონის საუკეთესო ფილმი **2 ჯავშნოსანი** რეჟისორი ს. ტიმოშენკო

საზაფხულო აპოლო (დარბაზის ბაღში) — უცხოეთის მხატვრული ფილმი **დიდი ქალაქის სიმფონია** (ბერლინი) რეჟისორი რუტმანი

მალე ჰაჯი კარა მალე 2894

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო პლეხ. 105)

კვირა, 23 ივნისი, ესტრადაზე კონცერტი

სიმღერა-იუმორესკები ნ. ალექსი-მესხიშვილი

ოპერის პრემიერი—ლადო კავსაძე, მარ-კაზბი, კოზელი, ბარონკინა, ოვჩარენკო, ფაინერი, გაუზეინ, ცომაია, პრიგალოვი, ლინევიჩი, ლინა-ლინ.

თეატრში ლენინგრადის მუშათა თეატრის „სტროიკა“-ს გასტროლი. კონფერანსიე ი. ვოლსკი. როიალთან ვ. შავერზაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

ნ. 2882

საზაფხულო აპოლო	**რიაზანელი დედაკაცები** 24 ივნისიდან დიდი ქალაქის სიმფონია
საზაფხულო ეთერი	**დიდი ქალაქის სიმფონია** 24 ივნისიდან მისი კარიერა
საზ. ფხული პალასი	**ორი ჯავშნოსანი** 24 ივნისიდან განწირულნი
აპოლო	**გულუბრყვილო მკერავი** 24 ივნისიდან ღვიძლი ძმა
ხოლეი	**აურზაური** 24 ივნისიდან მეორე ქორწინება
მინიონი	**ღამის მეეტლე** 24 ივნისიდან 2 ჯავშნოსანი

დალე ჯამბაზი ქორწინ გვერდის

რუსთაველის თეატრი

ბაქოს მუშათა თეატრის მსახიობთა კოლექტივის მხოლოდ 5 გასტროლი

ბარბარე ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ოთხშაბათი, 26 ივნისი — ვიტალინი — **მე ვყიდი მზეს** პიესა 10 სურათად (მარკიტანკა სიგარეტ)

ხუთშაბათს, 27 ივნისს — ს. ლევიტინა — **განაჩენი** პიესა 3 მოქმედებად

პარასკევი, 28 ივნისი — გავრო და კაიავე — **ცელქი გოგონა** კომედია 4 მოქმედებად

შაბათი, 29 ივნისი კროსპერ მერიმე — I. **ხამოთხე და ჯოჯოხეთი** (ესპანელი ქალის სიყვარული) კომედია 1 მოქ. II **ბიარი და ვანდერბუხი** „შოუფი პარიზელი ბიჭი“ კომედია 2 მოქმედ.

კვირა, 30 ივნისი — გამოსათხოვარი წარმოდგენა **ვარიეტე** (კიკი) ვ. ალექსი-მესხიშვილის თარგმანი კომედია 2 მოქმედებად

ყველა აღნიშნულ წარმოდგენაზე ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11-დან 3 ს. დ საღამოს 6-დან 9 ს. თეატრის სალაროში ადგილკომების დაკვეთით შეიძლება ტალონების მიღება 50 პროც. შეღავათით

საქართველოს გზატკეცილების უამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს პირველი უბანი

აცხადებს, რომ

ა. წ. 28 ივნისს დღის 12 საათზე უბნის ანგარანის შენობაში, მაჩაბლის ქუჩა № 8

დანიშნულია

შერეული საჯარო შეჯიბრება

სადაც იჯარით გაიცემა საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კილომეტრზე რკინა-ტინობის ორ მანძილიანი ხიდის გაშენების სამუშაოები.

ორგანიზაციებს და არტელებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი მშენებელთა პროფკავშირის მიერ და რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები არა უგვიანეს ა.-წ. 28 ივნისის დილის 10 საათისა დახურულ კონვერტში წარწერით „საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კილომეტრში რკინა-ტინობის ხიდის საჯარო შეჯიბრებისათვის“ ამავე დროს შეჯიბრებაზე უნდა გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები ზეპირ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

სამუშაოს ტეხნიკური პირობების დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უბნის ანგარანში 9—2 საათამდე ყოველ-დღე.

ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან განთავისუფლებულნი საწინდარის შეტანისაგან, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ასეთი სამუშაოს მთელი ღირებულების 10 პროც-ტი. უბანი უფლებას იტოვებს სამუშაო გასცეს განცხადებული უმცირესი თანხის გარეშე.

უბნის უფროსი ვახვახიშვილი

საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხ-ბა „მწყემსი“-ს

დასკვნითი შეერთებული ბალანსი

1929 წლის იანვრის 1-სათვის

აქტივი

№ რიგზე	ანგარიშების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
1	კონება	—	55366—27
2	პაიები და აქციები	—	34941—97
3	საქონელი	—	162071—64
4	ნაღდი საშუალებანი		
	ა) კასა	40092—40	
	ბ) მიმდინარე ანგარიშები	204119—98	244212—38
5	თამასუქები		
	ა) მიღებული	38596—00	
	ბ) დაზურდავებული	175462 - 20	
	გ) საინკასო	45963—40	260021—60
6	ანგარიშ-ვალდებული პირები		4751—33
7	დებიტორები		
	ა) მუშა - მოსამსახურენი	61 09	
	ბ) მომწოდებლები	84368—61	
	გ) მყიდველები	20893—11	
	დ) სხ. და სხ. პირი და დაწესებ.	61987—07	
	ე) საეჭვო დებიტორები	33612—36	
	ვ) განყოფილებანი	283634 99	
	ზ) ამხანაგობის წევრნი	54683 77	539241—00
8	მომავალი წლის ხარჯები		13244—84
	ბალანსი		1313851—03

პასივი

№ რიგზე	ანგარიშების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
1	კაპიტალი		
	ა) ძირითადი	49850—51	
	ბ) საპაიო	113758 56	
	გ) საამორტიზაციო	5670—67	169279—7
2	ფონდები		
	ა) მუშა - მოსამსახ. მდგომ. გაუმჯობ.	1604—54	
	ბ) საეჭვო დებიტორები	33612 - 36	
	გ) სპეციალური ფონდები	32488—98	
	დ) ფასების დაკლების	956—94	68662—82
3	სესხები		
	ა) სპეციალ. სახელდახ. ან-შები	72256—54	
	ბ) გრძელვადიანი	5974 00	
	გ) ბანკებში განაღდ. თამასუქები	175462—20	253692—74
4	გაცემული თამასუქები		51825—00
5	კრედიტორები		
	ა) მუშა - მოსამსახურენი	218—37	
	ბ) მომწოდებელნი	30388—34	
	გ) მყიდველები	240182—94	
	დ) ამხანაგობის წევრნი	18061—22	
	ე) გამგეობა	283634—99	
	ვ) სხ. და სხ. პირები და დაწესებ.	172820—94	745306 80
6	საანგარიშო წლის მოგება		25083—93
	ბალანსი		1313851—03

მოგება-ზარალის ანგარიში

№		კერძო	საერთო
1	სავაჭრო ხარჯები	77531—78	
2	უიმედო დებიტორების ზარალი	12960—80	
3	საეჭვო დებიტორების რეზერვი	22438 40	
4	ზარალი ქონების გაუქმებისაგან	4500—00	117430—98
	წმინდა მოგება		25083—93
	ბალანსი		142514—91

№		კერძო	საერთო
1	შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	135583—20	
2	დივიდენდი მიღებული სხვა წარმოებაში მონაწილეობით	6931—71	142514—91
	ბალანსი		142514 - 91

გამგეობის თავმჯდომარე გ. ქურციკაშვილი
თავმჯდომარეს მოადგილე ქ. ხამაშურიძე
მთავარი ბუხჰალტერი ი. ყოჩიშვილი

ბალანსი განხილული და დამტკიცებულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ 13 მაისს 1929 წ., ოქმი № 4.

ნ. 1289

მუშკოოპი მუნდგა **შეშის** გაყიდვას

შეშა მიეცემა პაის პატრონებს ნაღდ ფულზე

ა. წ. 1 აგვისტომდე

შეშის ანგარიშში კოლექტიური დაკვეთით შეიძლება მიღებულ იქნას იმ **სამეურნეო ორგანიზაციების თამასუქები** სადაც მეპაიები მუშაობენ

ცნობების მიღება შეიძლება

მუშკოოპის სათბობ განყოფილებაში

მაზუთის შესახვევი № 5, ტელ. № 11—99

3—1 2858

ჭრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენაზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქუჩა, № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4—7 საათამდე

24—23 94

გადავცვლი

2 პატარა ოთახს, მეორე სართულში, 22 კვ. ს., ყოველგვარი მოწყობილობით დიდ სივრცეზე 2—3 ოთახ. ჯორჯიაშვილის ქუჩა (ყოფ ბარიატინსკის), კინო „მინიონ“-ის გვერდით. იკითხეთ 5—7 საათამდე ბეგიჯანოვთან. ნ. 2864

ბავშვის აღმზრდელი ქალი

ეძებს ადგილს. მსურველს შეუძლია ინახულოს შემდეგი მისამართით: ფეოდოსიევის ქ. № 5, მელაძის ბინაზე, ელენა ხოსიევა. 2338

მოითხოვეთ მუშკოოპის, „ზაკტპო“-ს და „ზაკვოენპოს“

— ყველა მაღაზიაში —

ძმარი ეტიკეტით

მხოლოდ ამ ეტიკეტით

ძმარი
УКСУС
ТРУДХИМ

იძლევა კარგი ხარისხის ძმრის გარანტიას

დამზადებული სარეწაო კოოპერატიული არტელის „ტრუდხიმ“-ის მიერ

საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის), № 13

5—1 ნის 2884

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგუსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).

25—1

ექიმი

პ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე.

13—1

ექიმი

დ. ლ. თევზაძე

(სპეციალისტი ყელის და ყურის სნეულებათა)

წასულია თბილისიდან და განაახლებს ავადმყოფების მიღებას ოქტომბრის პირველიდან

2334 13 1

ექიმი

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან.

ქ. ქუთაისში

ექიმი

დ. ა. ჩიჯელაშვილი

იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს

დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

БЮРО БАБАЛОВА

сущ. 1909 г.

Дворцовая ул. № 6

принимает исключительно переписку бумаг на всех языках. Безукоризненное выполнение заказов. 20 летний опыт. Цены знач. снижены. Просьба за советами и составлением бумаг не обращаться.

2—1 2318

ექიმი

მ. ბ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი

ა. დ. პეპელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ხემელის აფთიაქთან ტელ. 14—23. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 2601.

ექიმი

ს. ი. ანდრეევისა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ტელეფონი—11—78.

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის მიერ მოცემული საწევრო წიგნაკი № 5076 გრიგოლ მღვდელაძის სახელზე, ჩ. გ. 2331

დაიკარგა პურის წიგნაკები თითო სულიანი № 2419, 489, 341 წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 2335

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 30 კალისტრატე ზოსიმეს ძე ჰილაიას სახელზე, ჩ. გ. 2342

დავკარგე: ჰუმან. ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № 665 ფოთის ტექნიკუმიდან გაცემული ამირა დო კოწიასძე ჯიჯეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2342

დავკარგე: დავკარგე პირადობის მოწმობა ეფრემ ნიკოლოზის ძე არუთინოვის სახელზე, ჩ. გ 2345

დავკარგე: სიმწიფის მოწმობა № 186 მე-9-ე შრომის სკოლიდან გაცემული თამარა გულიევრდაშვილის სახელზე, ჩ. გ 2346